გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№354 (413) 8-15 მარტი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ბალადა ნასუკარ რესპუბლიკელზე

გვ.2



დიახ, ნაციონალები საქართველოს გაუკუღმართების გზაზე შეყენების ერთადერთ ბერკეტად სწორედაც რომ ლიბერასტ “რესპუბლიკელებს” მოიაზრებენ და ყოველ საძაგლობაზე წავლენ მათთვის პოლიტიკური არსებობის გასაგრძელებლად. სწორედ ამისთვის სჭირდებათ მათ ადამიანის სახედაკარგული ბერძენიშვილებ, ზურაბიშვილები, ხიდაშელები, კორძაიები, სხვანი და სხვანი...

## ჯ. ზარანდია: უხუცესთა კავშირი „სხუნუ” კატეგორიულად მოითხოვს!

გვ.6-7

## იზა თამაზაშვილი: დამაბრალეთ “რუსეთუმეობა”, ამით მხოლოდ ვიამაყებ, რომ დემოკრატი არა ვარ!

გვ.8





2016 წლის 7 თებერვალი. კიევი, სირკას ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ

## უკრაინის სააკაშვ-ილიზა-ცია

გვ.4-9



გია კრიალაშვილი

## ალექსანდრე ტოლსტოი: დაუფასდებათ კი მუხროვანის ამბოხის მონაწილეებს ღირსების დასაცავად გამოჩენილი თავგანწირვა?

გვ.3



## კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურაია): რენესანსი ლიტერატურაში

ადამიანის ღრმა ცოდნის, მისი ესთეტიკური განცდის და ნების ურთიერთობის გამომრკვეველი ფაქტი რუს-თაველს მოცემული აქვს ავთანდილისა და ტარიელის მეორე შეხვედრისას.

გვ.3



## გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

ცივზედაც ნაოსნობა შესაძლებელია“, — წერს ს. ჯანაშია

გვ.5

## ალ. კაკულია — სვატოპლუკ ჩეხის წიგნი საქართველოზე

გვ.9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალადა ნასუქარ რესპუბლიკელზე...



გაზეთ **"ჯორჯიან თაიმსის"** 2008 წლის 17 აპრილის ნომერში დასტამბული იყო სტატია სათაურით **"ვინ და რატომ "ჩაუშვა" ლევან ბერძენიშვილმა "სუკ"-ის იზოლატორში".** უფრო სწორად ეს იყო **"სუკ"**-ის განსაიდუმლოებული დოკუმენტების ქსეროასლები, რის საფუძველზეც გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოში"** (2010 წ. 17-23 მარტი) დაიბეჭდა ჩემი წერილი სათაურით **"როგორ იქცა სპილო კურდღლად"** და სანამ წინამდებარე წერილის შექმნის დღევანდელ მიზეზებზე ვისაუბრებ, თხრობას სწორედ იმ, 2 წლის წინანდელი სტატიიდან ამონარიდით დავიწყებ: **"როგორც ცნობილია, აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო სპილოა. რაც შეეხებათ ქართველ რესპუბლიკელებს, მათი სიმბოლიკით არასოდეს დავინტერესებულვარ, მაგრამ, სავარაუდოდ, და, გნებავთ, ლოგიკურადაც მათი, როგორც საქართველოში აშშ-ის წამყვანი პარტიის ფილიალის, სიმბოლო სპილო თუ არა, სპლიყვი, ანუ პატარა სპილუკა უნდა იყოს".**

როგორც იმ დოკუმენტებიდან ირკვევა, სინანულში ჩავარდნილ ლევან ბერძენიშვილისთვის თხოვნა შეუსრულებიათ და საკანში საწერი მოწყობილობა მიურთმევიათ. ჰოდა, მას შემდეგ კალამი ვერ გააგდებინეს ხელიდან – 1984 წლის 6 იანვარს დაიწყო და წავიდა აღიარება-მონანიება-ჩაშვების კასკადები.

მაშ ასე, პიკანტური ამონარიდები ლევან ბერძენიშვილის აღიარებითი ჩვენებიდან:

**"თვითნაბეჭდი** (ე. წ. სამიზდატი. – დ.მ.) **ჟურნალი "სამრეკლო", მეტი სოლიდურობისთვის გამოცხადდა არარსებული პარტიის** (ესეც თქვენი უძველესი პარტია. – დ.მ.) **ორგანოდ, ხოლო "პარტიას"** (სტილი აქაც და ყველგან დაცულია. – დ.მ.) **მოეძებნა პომპეზური და პრეტენზიული სახელი: "საქართველოს რესპუბლიკური პარტია".**

და იქვე – **"ჩვენი უსუსურობის კიდევ უფრო შესანიღბად ჟურნალის პირველსავე ნომერს დაერთო "რესპუბლიკური პარტიის"** (არარსებულის. – დ.მ.) **წესდება, რომელიც ჩემი რედაქციით მომზადდა".**

და კიდევ – **"გადაწყდა, რომ სტატიები მოგვემზადებია მე, ვ. ძაბირაძესა და ვ. შონიას, რაც შეეხება ჟურნალის გავრცელებას, ჩემი წინადადებით, ეს "საქმე" დაევალა ჩემს უმცროს ძმას, დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილს".**

რა ჰქვია ამას, თუ არა ელემენტალურად **"ჩაშვება"**?

ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ლევან ბერძენიშვილი მაგრად **"შაშინებულა"** და **"სიხარულით მივიღე აფხაზეთის უნივერსიტეტის მოწვევა. სწორედ აქ, სოხუმში ჩვენი (ჩემი და ჩემი მეუღლის) ცხოვრების პირველსავე დღეებში მოვიდა გამოფხიზლება და არ ვმალავ, რომ აფხაზეთში წასვლა იყო ფაქტიური გაქცევა არალეგალური საქმიანობისგან ნამდვილი და საჭირო საქმიანობისკენ. მე ფაქტობრივად გავწყვიტე კავშირი "სამრეკლოსთან" და "რესპუბლიკურ პარტიასთან", "სამრეკლოს" მეორე ნომერი ჩემი მონაწილეობის გარეშე გამოვიდა".**

ჰა, როგორია? მაგრამ ჯერ სადა ხართ... დღეს, ვისაც არ ეზარება, სააკაშვილის სიმხდალეზე ლაპარაკობს მათ შორის, ლევან ბერძენიშვილიც, რომელიც, აი, რას წერს: **"ჩემი დაშინებული და კურდღლადქცეული პიროვნება შვებას პოულობდა მხოლოდ მუშაობაში".**

აი, ასე იქცა სპილო კურდღლად...

და ბოლოს, **"დედას ლევანას"** დისიდენტობის აპოგეა, გნებავთ, კვინტესენცია – **"ჩვენ (ანუ ძმები. – დ.მ.) დავუბრუნდით ჩვენს საზოგადოებას, ჩვენ გვახარებს ჩვენი დიადი ქვეყნის წარმატებები და განსაკუთრებით ყველაფერი კარგი, რაც ჩვენს რესპუბლიკაში კეთდება ბოლო წლებში. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა "სუკ"-ის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი სამძებრო განყოფილების გამგეს, პოლკოვნიკ ა. მირიანაშვილსა და გამომძიებელს, კაპიტან გ. ცინცაძეს, რომლებმაც მამაშვილური და მეგობრული (ავოეეე!!! – დ.მ.), ჰუმანური დამოკიდებულებით საშუალება მომცეს, ამეხსნა ჩემი სულისთვის ეს მძიმე ტვირთი ("საღოლ ლეოჯან", კარგი ხარ! – დ.მ.) და მეღიარებინა ჩემი დანაშაული. ველოდები დამსახურებულ სასჯელს და იმედი მაქვს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ რაიმეთი მაინც გამოვადგები ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას, ჩვენს საბჭოთა ხალხსა და მის იდეალებს. როგორც იქნა, ჩემი სინდისი სუფთაა"...**

უუუჰ, ფინალი რავარია? თუმცა არა, ამ სადღეგრძელოს ნაღდად მოუხდებოდა ძმების ორხმაში ნამღერი – **"სოიუზ ნერუშიმი, რესპუბლიკ სვობოდნიხ"...**

სერიოზულად კი, ეს კაცი დღევანდელი რესპუბლიკური პარტიის საპატიო, ანუ სამუდამო თავმჯდომარეა და **ნატო-ევროკავშირის** ტრუბადური უპირველესი...

ახლა – რესპების დღევანდელობასა და შედარებით ახლო წარსულზე:

დათა თუთაშხიასი არ იყოს, **"ჯინჯოლიას გაზრდილები მამაზე უკეთესები ვითომ რატომ გამოვლენო"** და მართლაც, რესპუბლიკელების დღევანდელი თავმჯდომარე, **"დიდი ლევანას გაზრდილი"** დავით უსუფაშვილი, სანამ რესპუბლიკურ პარტიაში ლიბერალური მწვერვალებისკენ მიმავალ აღმართებს შეუყვებოდა, 1989 წლის 13 აპრილს (!!!) სსრკ კომუნისტური პარტიის რიგებში გაწევრიანებულა. მართალია, ეს ის დრო იყო, როდესაც მთელი საქართველო კომუნისტებს დედ-მამის სულს უტრიალებდა და უფრო მეტიც, თბილისში ჯერ კიდევ ე. წ. კომენდატის საათი მოქმედებდა და ქუჩებშიც ტანკები იდგა, მაგრამ მაინც...

ეს ისე, ცნობისათვის და იმის წარმოსადგენად, თუ რა **"ნათელი ფიქრები"** უტრიალებდა დავით უსუფას თავში სულ რაღაც ოციოდე წლის წინათ, როცა სასოებით ელოდა ლენინის პროფილიანი წითელი მანდატის გულში ჩახუტებას...

თუმცა, შევეშვათ მის სიჭაბუკისდროინდელ კარიერისტულ ვნებებს და ვნახოთ, აგერ სულ ახლახან თუ რა წამოაცდენინა საკუთარმა შინაგანმა ხმამ დათუნას ერთ-ერთი ტელევიზიით (ე.წ. მეორე არხით) გამოსვლისას და მიხვდებით, თუ რის გამო ეძახიან რესპუბლიკელებს ჩვენში ლიბერასტებს:

**"როდის გვექნება საარჩევნო წარმატება? მე ვთვლი, რომ რესპუბლიკური პარტია, რომელიც არის ლიბერალური მიმართულების პარტია, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ისეთი შეხედულება და ისეთი იდეა, რომელიც, შესაძლოა, ჩვენი თანამოქალაქეების ერთ ნაწილში ვერ არის ისეთი პოპულარული. მაგალითად, ჩვენ ჩვენ შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ, ჩემო შვილო, შენ დაიბადე და გაგაჩინეთ იმისთვის, რომ სამშობლოს გმირულად უნდა შეეწირო. მე ამას არ ვეუბნები შვილებს. მე ვეუბნები, რომ, შვილო, თქვენ დაიბადეთ და შეიქენით და გაჩნდით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალნი და ბედნიერნი და ყველა საკითხზე გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი და იყოთ ბედნიერნი. და თუ თქვენი არჩევანი იქნება, გინდ სამშობლოს შეეწირებით, გინდ თქვენს პროფესიას, რასაც გინდა. ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს არ ესმის ეს და მსაყვედურობს, რომ არ ხარ პატრიოტიო"...**

აბა, რა კომენტარი უნდა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის ამ **"აღიარებით ჩვენებას"** იმის გარდა, რომ რესპების მიერ დეკლარირებული ლიბერალური დემოკრატიის ამოსავალი წერტილი, მათი იდეოლოგია **"ჩემს შემდეგ, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილას"** ფილოსოფია ყოფილა. ჩვენს წინაპრებსაც მსგავსი ფილოსოფიით რომ ეზარდათ შვილები, მაშინ მართლაც ქვა ქვაზე აღარ იდგებოდა საქართველოში.

თუმცა არა, კიდევ ერთი რამის თქმა შეიძლება: ეტყობა, დაიჯერეს ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი, რომ რესპუბლიკელების ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ ხალხისთვის გასაგებ ენაზე ვერ ლაპარაკობენ და, აჰა, პირდაპირი ტექსტით გვეუბნებიან, რასაც ფიქრობენ. ეს რომ ასეა, გავიხსენოთ ისევ რესპების საპატიო თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი და ვნახოთ, მანაც როგორ გაითვალისწინა ბიძინას შეგონებანი და როგორი **"აღიარებითი ჩვენებები"** დაახვავა, როგორ აჭიკჭიკდა ხალხისთვის გასაგებ ენაზე. ოღონდაც ადრინდელივით არა, როგორც **"სუკ"**-ის იზოლატორში, არამედ ამჯერად **"მაესტროს"** კომფორტულ სტუდიაში, თამარ ჩიქოვანის საავტორო გადაცემაში, სადაც აქა-იქ **"მიმობნეულ მარგალიტებს"**, რა თქმა უნდა, ციტირების სახით გაგაცნობთ:

**"...პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით, პოლიტიკური პარტიები ბევრად წინ არიან, ვიდრე საზოგადოება";**

**"...საზოგადოების პრეტენზიები – რატომ არ ამხობს აშშ ნაცების ხელისუფლებას, პოლიტუკულტურობაა",** მაგრამ მთავარი, ანუ **"საით უბერავდა"** ყველაზე მძიმეწონიანი (პირდაპირიც და გადატანითი მნიშვნელობითაც) რესპუბლიკელი, გადაცემის ბოლოსკენ გამოჩნდა, და ამიტომ მეც ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი...

**"ჩვენ ხომ საერთოდ არაფერი გაგვიკეთებია, მაპატიოს მსოფლიომ, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, ჩვენთვის ვაკეთეთ, რაც ვაკეთეთ. მსოფლიოსთვის სტალინის მეტი არაფერი მიგვიცია და იმანაც გენოციდების, ეთნოციდების და უბედურობების მეტი, რა აჩუქა მსოფლიოს? ჩვენ სატრაბახო რაც გვქონდა, ლიტერატურა, პოეზია, მსოფლიომ ნუ, არ წაიღო, გაიარა მსოფლიოს მატარებელმა ჩვენს მიღმა. ჩვენ ხომ ერთადერთი ნაცია ვართ, რომელსაც ეტიმოლოგიური ლექსიკონი არ დაუწერია";**

საკუთარ ხალხზე, ქვეყანაზე ასეთი აგდებით, დაცინვით, ცუდად შეფარული სიძულვილით საუბარი გაგონილა?!

ეტიმოლოგიის ლექსიკონი თუ ჯერ არ გვაქვს (როგორც ჩანს, ეს არის ლევანას აზრით ამა თუ იმ ერის პროგრესულობის მთავარი მაჩვენებელი), სამაგიეროდ შოთა, ტატო, ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკალა, გალაკტიონი, ჭაბუა გვყავს, რომელთა მსგავსი ეტიმოლოგიური ლექსიკონების მქონე ერების აბსოლუტურ უმრავლესობას ვერც კი დაესიზმრება. ხოლო ეს გენიოსები თუ **"ნუ არ წაიღო"** მსოფლიომ, ეგ იმ მსოფლიოს პრობლემაა და არა საქართველოსი, რადგანაც მაგით არაფერი აკლდება ამ ტიტანების შემოქმედებას!

მაგრამ, ეს რომ გაიგო, უნდა გტკიოდეს, რომ გტკიოდეს, უნდა გიყვარდეს და, რომ გიყვარდეს, **"გულქართლი"** უნდა იყო და არა ლიბერასტი რესპუბლიკელი... რომელიც არა თუ **"ზეჭებზე ვარდება"**, უფრო და უფრო უმატებს **"აბაროტებს"** და ბოლოს შეურაცხყოფასაც გვაყენებს მთელ საქართველოს:

**"საქართველოში მოდაშია – მოდი, შე ურეიტინგოვ! რესპუბლიკურ პარტიას უზომავენ რეიტინგს, როცა ის არ აპირებს არჩევნებში ცალკე გასვლას (როცა დააპირა და გავიდა, ხომ რას ამბობ, "კრამიტებს ლაწალუწი აუტეხა",– დ.მ.). რეიტიგის გაზომვას რა აზრი აქვს, ვიცი – არ ჰყავთ ბევრი მომხრე. ვენაცვალე იმ ადამიანს, ვისაც ჰგონია, რომ დიდი სიკეთეა, რესპუბლიკურ პარტიას არა აქვს მაღალი რეიტინგი. მე მიმაჩნია, რომ რესპუბლიკური პარტიის დაბალი რეიტინგი არის ამავე დროს საქართველოს დაბალი რეიტინგი. ეს ასეთი პარტიაა. როცა ამას მაღალი რეიტინგი ექნება, ჩემს ქვეყანასაც მაღალი რეიტინგი ექნება და აღარ იქნება 103-ე ადგილზე".**

აი, თავხედობაც ასეთი უნდა, ანუ, აი, **"საით უბერავდა"** ზემოთ ჩვენი ლევანა: ჩვენ, ქართველი საზოგადოება სანამ არ ავმაღლდებით რესპუბლიკელების დონემდე, ვიქნებით მაჩანჩალები მსოფლიოში დემოკრატიულობის კუთხით! თუ ეს მართლა ასეა, მაშინ თანახმა ვარ, მარად მაჩანჩალები ვიყოთ! თქვენ, ჩემო მკითხველო?

**დავით მხეიძე**

**"ილორის" კომენტარი:** ფაქტია, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის შეცვლისას, ამერიკელებმა დააძალეს ბიძინა ივანიშვილს "რესპუბლიკელების" კოალიციაში შეყვანა და ეს მისი იდეა არ იყო. ალბათ, ეს იყო ულტიმატუმი – თუ არ იქნებოდნენ კოალიციაში "რესპუბლიკელები", ივანიშვილს საპარლამენტო არჩევნებზე გამარჯვების შანსი არ ექნებოდა. ამრიგად, უტყუარია ის ამბავი, რომ რომ "რესპუბლიკელები" ტროას ცხენივით შემოყვნენ ივანიშვილს პოლიტიკაში და უცხოელი პატრონების დაკვეთით მოექცენ ხელისუფლების სათავეში. მათი სუნთქვის სიმყრალე კი დიდ უსიამოვნებებს გვიქადის, თუ ავადსახსენებელ "ნაცთა" მსგავსად, ისინი სამუდამოდ არ მოვიშორეთ თავიდან. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ ისეთი აშკარად არაქართული ძალები, როგორებიც იყვნენ დაშნაკური სულისკვეთების მქონე "ნაცები" და ასევე "მოდაშნაკო რესპები", ამერიკელებისაგან დიდი თანხის მიღების სანაცვლოდ ეცდებიან საქართველოს გაპიდარასტებას. და ისიც იციან რა, რომ ქართველი ხალხი მათ არასოდეს დაუჭერს მხარს, ყოველნაირად ეცდებიან არჩევნების გაყალბებას. ვიდრე პრემიერი ღარიბაშვილი იყო, რესპები კრინტის დაძვრას ვერ ბედავდნენ, მაგრამ როგორც კი ღარიბაშვილის ადგილი "პოლიტიკურმა მჩვარმა" გიორგი კვირიკაშვილმა დაიკავა, რესპმა პედერასტებმა გველებივით წამოასაქსაქეს თავები, გააყალბეს არჩევნები საგარეჯოში და ახლა ყველაზე მეტ ადგილს ითხოვენ მომავალი კოალიაციის საპარლამენტო საარჩევნო სიაში!

მეტი თავხედობა და უტიფრობა წარმოუდგენელია. აშკარად არაკაცმა ძმებმა ბერძენიშვილებმა წამის უმალ დაივიწყეს, რომ პარლამენტში ისინი ივანიშვილმა გაათრია, თორემ ნაკლებსარწმუნოა, რომ ამომრჩეველთა ხმების 3 პროცენტი მიეღოთ. ამიტომ, "ქართულმა ოცნებამ" თუ ხიდაშელი და ზნებაცემულ რესპთა ბანდა კვლავ მიიწვია კოალიციაში, გამორიცხული არაა, რომ მათ არამც თუ უმრავლესობის მოპოვება, არამედ მინიმალური ზღვარის გადალახვა მოახერხონ და მძიმე მარცხი იწვნიონ, რაც უპირველესად საქართველოსათვის იქნება დამღუპველი! თუ ხელისუფლების სათავეში კვლავ ის რესპუბლიკელები დარჩებიან, რომელთაც ძალაუფლების ხიბლმოძალებულებმა გააყალბეს საგარეჯოში არჩევნების შედეგები, ეს იმას ნიშნავს, რომ ისევე, როგორც სააკიანცისა და მისი ნაცბანდის უღელქვეშ, ქვეყანა იცხოვრებს სიყალბეში, რაც საბოლოოდ დაასამარებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეას!

ამიტომ, საბოლოოდ უნდა გამოვუცხადოთ რესპუბლიკელებს უნდობლობა და იმ პოლიტიკურ სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ, სადაც 2012 წელს ნაცხროვას მივუჩინეთ ადგილი!

რაც შეეხება ივანიშვილს, მას კიდევ ერთხელ უნდა დავუჭიროთ მხარი, რადგან არც რესპუბლიკელები და არც მარგველაშვილი მისი შერჩეული არ გახლავთ და ისინი ამერიკელებმა მოახვიეს თავს, რათა ნაცების მიერ სტარტმიცემული ქვეყნის გაპიდარასტების პროცესი არ შენელებულიყო. სწორედ რესპუბლიკელების დიდი იმედი აქვთ ევროამერიკელებს, რომ დააკანონებენ ერთსქესიანთა ქორწინებას, რაც საქართველოს მიერ ისტორიულ ტრადიციებზე ხელის აღების მკაფიო დასტური იქნება.

დიახ, ნაციონალები საქართველოს გაუკუღმართების გზაზე შეყენების ერთადერთ ბერკეტად სწორედაც რომ ლიბერასტ "რესპუბლიკელებს" მოიაზრებენ და ყოველ საძაგლობაზე წავლენ მათთვის პოლიტიკური არსებობის გასაგრძელებლად. სწორედ ამისთვის სჭირდებათ მათ ადამიანის სახედაკარგული ბერძენიშვილებ, ზურაბიშვილები, ხიდაშელები, კორძაიები, სხვანი და სხვანი...

როგორც ხედავთ, დაშნაკ ნაცთა მონობის უღლისაგან თავდახსნილი საქართველო კვლავ ყოფნა-არყოფნის არჩევის ზღვარზე იმყოფება. ამიტომ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, ჩვენო ძვირფასო ქართველებო – ძმებო და დებო!

# პრენესანსი საქართველოში – შოთა რუსთაველი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

კაპანელის ტიპოლოგია, დღევანდელი მეცნიერული თვალსაზრისით, სავსებით მისაღებია: ადამიანი მთლიანობაა თავისი ფიზიკურ-ფსიქიკური წყობით. არსებობისათვის ბრძოლის პროცესში ამ მთლიანობის სამი მთავარი საწყისია; გრძნობა, გონება და ნება. ამ საწყისთა შორის მუდმივი ურთიერთობაა: ერთი საწყისი მოქმედებს მეორეზე, მეორე – მესამეზე. ადამიანის ქცევა არსებობის ყოველ წუთს განისაზღვრება ამ საწყისთა ურთიერთობით. მაგრამ ეს საწყისები თავისუფლად არ მოძრაობენ, თვითოეული მათგანი გასაგნებულია მიზნობრივად, ობიექტურად. რაც უფრო ძლიერია მიზნობრივი გასაგნება, მით უფრო მალე იმორჩილებს თითოეული მათგანი დანარჩენს. რუსთაველის ფაბულა სწორედ სწორედ იმით განსხვავდება ყველა ფაბულისაგან, რომელიც ცნობილია ლიტერატურის ისტორიაში, რომ პოემის ფაბულაში ჩაქსოვილია რუსთაველის უდიდესი მეცნიერულ-ფილოსოფიური კონცეფცია: ნება, ერთი მხრით, ემოციის განკარგულებაშია, მეორე მხრით – ინტელექტისა. ნესტანის და ტარიელის ინდივიდუუმებში ნება შეკრულია და შეზღუდულია ემოციით, თინათინისა და ავთანდილის ინდივიდუუმებში ნება გაშლილია ინტელექტის კარნახით. გაიხსენეთ მინდორ-ველად გაჭრილი ტარიელი: ზის წყლის პირას და ტირის, ან გულწასულია მის მიერ მოკლულ მხეცთა შორის, მოძრაობისა და ლაპარაკის ხალისს მოკლებული. სულ სხვაა ავთანდილი: გაიხსენეთ ავთანდილი მულღაზანზარის ველზე, მომღერალი და მოსაუბრე პლანეტებთან. რა მარჯვედ და ოსტატურად ეუფლება რუსთაველის გმირი თავის გრძნობათა ღელვას და ნებას! ავთანდილი ორგანულად განიცდის თინათინისადმი სიყვარულს, მაგრამ მისი **მე** მომართულია ძლიერი შინაგანი ხილვით და ინტელექტით, მისი სული განათებულია მდიდარი ინტუიციით. ავთანდილი აპოლონური ტიპია, ტარიელი დიონისური; თინათინი ავტანდილისებურია ტიპოლოგიურად, ხოლო ნესტან-დარეჯანი – ტარიელისებური.

განა ფაბულაში ეს საყურადღებო არ არის?! განა ამაში არ მოჩანს მთელი სიდიადე და ორიგინალურობა?! რა იქნებოდა რუსთაველის პოემა, რომ ეს ტიპოლოგიურ-ფსიქოლოგიური პრობლემა არ იყოს მასში წამოყენებული? ცხადია, რუსთაველი თავის პოემას წერს გარკვეული მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრით. მთელ ფაბულას, მის სიუჟეტურ-კომპოზიტიურ თვისებებს აშკარად ეტყობა მოაზროვნისა და მეცნიერის ხელი. მთელი პოემა წარმოადგენს გმირების მეთოდურ-ფილოსოფიურ გამოცდას: გმირები რუსთაველს ყოველთვის ისეთ სიტუაციაში ჰყავს ჩაყენებული, სადაც გარკვევით ჩნდება ხასიათისა და ქცევის თავისებურება, მათი მიზეზები და წარმომშობი პირობები. გაიხსენეთ ტარიელი ქაჯეთის ციხის აღების დროს: კაცი რომელიც მუდამ ტიროდა, რომელსაც დალაპარაკება ეზარებოდა, რომლის გონება და ნება მოჩლუნგებული იყო, უცბად გამოფხიზლდება და თავისი სამხედრო გეგმით ყველაზე უკეთეს რჩევას იძლევა. რა მოხდა? რა არის ამის მიზეზი? ტარიელმა იცის, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ნესტანთან იქნება. ამის წარმოდგენა მასში ათავისუფლებს ემოციით დატყვევებულ გონებას: ფსიქიკურ მიმოქცევაში ინტელექტი იკავებს ემოციის ადგილს და ადამიანის მე იძენს მოქმედების შინაგან თავისუფლებას. ემოციურ-ინსტინქტური ლტოლვა დიალექტიკურად გადადის ინტელექტუალურ-ინტუიციურ მიგნებასა და მიხვედრაში. ტარიელი უძრავად გდია, ბევრს ელაპარაკება ავთანდილი, მაგრამ არაფერი გამოდის. ავთანდილი ფიქრობს რა იღონოს, როგორ შეცვალოს ტარიელის განწყობილება. ბოლოს მოიფიქრა: ცხენზე შევსვამ, გავატარებ მინდვრად, ნერვული სისტემა შეირხევა, ნიავი სხვანაირად დაუბერავს და განწყობილებაც შეეცვლებაო. ყური უნდა დავუგდოთ, როგორ ეხვეწება ავთანდილი ტარიელს და როგორ გაზომილია მეთოდურად ავთანდილის ყოველი სიტყვა. ღრმა ცოდნა ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობისა და განწყობისა რუსთაველს გამოსახული აქვს მეტყველების საოცარ სილამაზეში. აი, მსგავსი ადგილი **„ვეფხისტყაოსანში"**, როდესაც ავთანდილი ეხვეწება ასმათს გამოქვაბულში: ავთანდილს უნდა შეიტყოს ტარიელის ამბავი, ასმათი კი არაფერს ეუბნება, არ იკარებს სალაპარაკოდ. ავთანდილი ჯერ სთხოვს, შემდეგ სიკვდილით ემუქრება, დანას ყელთან მიუტანს, მაგრამ ასმათს ვერ დაიმორჩილებს; მაშინ ავთანდილი დაჯდება და ტირილს იწყებს იმ მიზნით, რომ სიბრალულის გრძნობა გამოიწვიოს ასმათში. განა ასეთი ადგილები არ შეადგენენ რუსთაველის პოემის ღირებულებას? განა მასში არ გამოიხატება რუსთაველის გენიოსობა? განა აქ არ გამოიყურება დიდი მეცნიერი-ფილოსოფოსი? ჩამოაშორეთ **„ვეფხისტყაოსანს"** მისი ფაბულისა და სიუჟეტის აგებულების თავისებურება, მისი გმირების ტიპოლოგია და დაგრჩებათ ჩვეულებრივი სადევგმირო მოთხრობა.

რუსთაველის მეტყველება ამოწყობილია მის აზროვნებაში. რუსთაველის მხატვრული თქმა ამოქსოვილია მის ფილოსოფიურ გააზრებაში. უმართებულოა ლაპარაკი რუსთაველის მხატვრულ თქმაზე, მისი აზროვნებისა და მსოფლმხედველობისაგან დამოუკიდებლად რუსთაველის მშვენიერი მეტყველება მისი ფილოსოფიურ-მეცნიერული გააზრების სამოსი და გარსია.

## 10 ცხოვრება და ბრძოლის კულტი

ადამიანის ღრმა ცოდნის, მისი ესთეტიკური განცდის და ნების ურთიერთობის გამომრკვეველი ფაქტი რუსთაველს მოცემული აქვს ავთანდილისა და ტარიელის მეორე შეხვედრისას. ტარიელი ზის მწუხარე, ერთ მხარეს **„უც ლომი მოკლული და ხრმალი სისხლმოცხებული, კვლა სხვაგნით – ვეფხი უსულო, მკვდარი, ქვედანარცხებული"** (866). იგი **„მიახლებოდა სიკვდილსა, მოშორვებოდა თმობასა"** (867). ავთანდილი ეხვეწება, სთხოვს გონს მოვიდეს, გამაგრდეს მამაცურად. **„ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა; თავისისა ცნებისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა"** (872) – ეუბნება ავთანდილი ტარიელს. აქ, ერთი მხრივ, დასმულია ნებელობის საკითხი: სუბიექტური, შინაგანი მძლეობის დახვედრა გარედან მოწოლილ უბედურებას, მოზღვავებულ საფრთხეს. ცხოვრება ბრძოლაა არსებობისათვის და ბრძენი პოეტიც ქადაგებს არა მორჩილებას, ლოცვას და მონობას, არამედ გამაგრებას, გაჭირვების ატანას, შეტევას, **„ჭირსა შიგან გამაგრებას"**. ავთანდილი გზასაც უჩვენებს ტარიელს, თუ როგორ უნდა შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას; ავთანდილი ადამიანის ხსნას ხედავს არა მარტოობაში, არამედ ადამიანებში, საზოგადოებაში: **„მინდორ სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ? ვისთვის ჰკვდები, ვერ მიხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ"** (837). აქედან დასკვნა – შველა ადამიანებსა და სოფელშია, შველა საზოგადოებაშია. რუსთაველის გაგებით, სამყარო შეიცავს წინააღმდეგობას, რომლის დაძლევითაც ადამიანი აღწევს მიზანს და ბრძოლით ეუფლება სილამაზეს (**„ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად"** (875), **„...ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უმუშაკო?"**(876). ბრძოლის, სიყვარულის და სილამაზის ფილოსოფიაა გაშლილი სიტყვებში:

**„ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილნი სდებიან?**
**ვის არ უნახვან პატიჟნი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?**
**მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან?**
**არ იცი,ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან! (874)**

**ვარდსა ჰკითხეს: „ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?**
**მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს ჭირად?"**
**მან თქვა: „ტკბილსა მწარე ჰპოვებს, ჰჯობს, იქმნების რაცა ძვირად;**
**ოდეს ტურფა გაიაფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად" (875).**

ორი დებულებაა აქ წამოყენებული: ერთი, სიყვარულს თან ახლავს ტკივილები, როგორც ვარდს ეკალი; სიყვარული მოითხოვს ბრძოლას, ტკივილების ატანას. არ არსებობს სიყვარული უტკივარი, როგორც არ არსებობს ვარდი უეკლო. მეორე დებულება – სიტკბოების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ბრძოლით, სიმწრით.

ცხოვრების გზა ეკლიანია, მიზნის მიღწევა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც გადალახავს ეკლიან გზას. რუსთაველი სიმბოლურად გამოსახავს ცხოვრების მთლიან მიმდინარეობას – კაცობრიობის ისტორიას, სინამდვილისა და იდეალის ურთიერთობას, მიზნის ბრძოლით მიღწევას. განა მთელი წარსული, ადამიანების მიერ განვლილი გზა ეკლიანი არ იყო? განა რომელიმე საუკუნეში ადამიანებს მიუღწევიათ მიზნისათვის უბრძოლველად? განა რუსთაველის სიტყვებში არ გამოიხატება ისტორიული ჭეშმარიტება, საუკუნეთა ძიება, აზრი ცხოვრებისა?

**კონსტანტინე კაპანელი**

*(გაგრძელება იქნება)*

# დაუფასდებათ კი მუხროვანის ამბოხის მონაწილეებს ღირსების დასაცავად გამოჩენილი თავგანწირვა?



საქართველოს პარლამენტში პრემიერის თუ მთავარი პროკურორის დამტკიცებისას ოპოზიციას მრავალი კითხვა უჩნდებოდა რაფალიანცის, კიწმარიშვილისა და ჟვანიას საქმეების გამოძიების მიმართ, მაგრამ არც ოპოზიციას და არც საპარლამენტო უმრავლესობას ერთი კითხვაც არ დასცდენიათ ე.წ. მუხროვანის ამბოხის (თუ დაუმორჩილებლობის) შესახებ, როცა პატრიოტმა სამხედროებმა ვაჟკაცობა გამოიჩინეს და ღირსეულად დაიცვეს სამხედრო მოსამსახურის სინდისი, ღირსება და პატიოსნება.

მაინც რით იყო გამოწვეული ე.წ. მუხროვანის ამბოხი?

საქართველოს მოსახლეობამ და ჯარმა (ალბათ, სხვა უწყებებმაც) მძიმედ განიცადეს 2008 წლის ომის შედეგები და მხოლოდ ქვეყნის იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, პრეზიდენტის ჩათვლით, ვერ იგრძნო, რა მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ქვეყანა, ხალხი, ტერიტორიის 20% რომ დატოვეს საქართველოს იურისდიქციის მიღმა.

ამ საერთო დეპრესიის პირობებში ქვეყნის შემარცხვენელმა პრეზიდენტმა მოინდომა, 2009 წლის 26 მაისს მოეწყო ჯარების საზეიმო დათვალიერება, ანუ სამხედრო აღლუმის გამართვა, რაც უკვე მეტისმეტი იყო ძალიან მგრძნობიარე პატრიოტებისთვის.

ასეთები აღმოჩნდნენ დაბა მუხროვანის რეინჯერთა ბატალიონის მებრძოლები ლევან ამირიძის მეთაურობით, რომლებმაც შეგნებულად, ნებაყოფლობით, მოსალოდნელი რეპრესიების გათვალისწინებით უარი განაცხადეს აღლუმში და შემდგომ აღლუმის მოწინააღმდეგეთა დაშლაში მონაწილეობაზე და ჩაიკეტნენ სამხედრო ნაწილში, რასაც ხელისუფლებამ გაუგონარი სისასტიკით უპასუხა: პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი ვერაგულად ჩაცხრილეს, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე მძიმედ დაჭრეს, შემდეგ კი დაუმორჩილებლობის მუხლით გაასამართლეს და, შესაბამისად, 29 და 28-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, 41 სამხედრო პირი ციხეში გამოამწყვდიეს (ზოგიერთმა მათგანმა საპროცესო გარიგების შედეგად და მრავალათასიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ თავი გამოისყიდა).

ცნობისათვის: საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც კი, როცა ძალიან გამკაცრებული იყო მოთხოვნები დისციპლინის მიმართ, დაუმორჩილებლობა ისჯებოდა 5-დან 10 წლამდე პატიმრობით მშვიდობიანობის პერიოდში, ხოლო სიკვდილით – ომის ან საბრძოლო მოქმედებების პირობებში.

ის, ვინც დეტალურად გაეცნობა მუხროვანის საქმეს, ადვილად დარწმუნდება, რა უსამართლობა სუფევდა იმხანად ქვეყანაში, როგორი დამონებული ჰყავდა პრეზიდენტს სამართალდამცავი სტრუქტურები და, როგორ ლაჩრულად მოიქცა თავდაცვის სამინისტროს იმჟამინდელი ხელმძღვანელობა ამ საქმის გამოძიებისას. მას არც კი უცდია სამხედროების დაცვა.

ძალიან მიკვირს, რატომ არ ინტერესდებიან მუხროვანის ამბოხის საქმით პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობოები, ექსპერტები და ანალიტიკოსები, მწერლები და პოეტები, კინორეჟისორები? ეს ხომ უბრალო მოვლენა არ იყო. ეს იყო გმირობის მასობრივი გამოვლენის მაგალითი. და ამ თემაზე დაწერილი მოთხრობა თუ გადაღებული ფილმი როგორ შეუწყობდა ხელს ახალგაზრდების სამხედრო-პატრიოტული აღზრდის პროცესს, სიამაყის განცდას!

მასალა გამზადებულია და ავტორს ელოდება.

უწყება, რომელსაც ყველაზე მეტად უნდა აინტერესებდეს მუხროვანის მოვლენების სამართლიანი გამოძიება და მისი გმირებისთვის სათანადო პატივის მიგება, თავდაცვის სამინისტროა, მაგრამ იქ რატომღაც ყველა გაჩუმებულია.

2009 წლის მაისში მუხროვანის ბატალიონის სამხედროებმა კი დაიცვეს სამხედრო მოსამსახურის თავმოყვარეობა, ღირსება და ნამუსი, მაგრამ მათმა **„მემკვიდრეებმა"** 2015 წელს ვერ დაადასტურეს თავიანთი მაღალი ზნეობრიობა საგარეჯოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნებისას – წნეხს ვერ გაუძლეს და თავი შეირცხვინეს.

იქნებ გამოფხიზლდეს თავდაცვის უწყება, საკუთარ თავზე აიღოს ინიციატივა და პოლკოვნიკ გია კრიალაშვილს იქ, სადაც დაიღუპა, მემორიალური დაფა ან ძეგლი დაუდგას, ეს ადგილი კი ფიცის დადების ადგილად აქციოს.

საინტერესოა, რას განიცდიან ის გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები (რომელიმე მათგანი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ხომ არ გახდა?), რომლებიც მუხროვანის საქმეებზე მუშაობდნენ?

ბოლო სამი წლის განმავლობაში ეს საქმეები გამოძიებული რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ევროპარლამენტი თუ ევროკავშირი **„ნაცმოძრაობის"** გასამართლებულ ლიდერებს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა სიაში არ შეიყვანდნენ და პოლიტპატიმრებად არ გამოაცხადებდნენ.

ვინაიდან დღეს მრავალი დაუმთავრებელი საქმე სამხედრო თემებთან არის დაკავშირებული და გამომძიებლებს, პროკურორებს თუ მოსამართლეებს სამხედრო საქმეებში სრული არაკომპეტენტურობის გამო უჭირთ ამ საქმეების დროული განხილვა, მოძრაობა **„საქართველო მშვიდობისათვის"** მზად არის მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.

საახალწლო და საშობაო დღეებში ტელეეკრანებზე ხშირად უჩვენებდნენ საბჭოთა პერიოდში გადაღებულ კინოფილმებს, რომლებიც დღესაც საინტერესო სანახავია.

იქნებ მომეჩვენა, მაგრამ რატომღაც ვერ გავიხსენე, რომ რომელიმე ტელევიზიას ეჩვენებინა ფილმები: **„გიორგი სააკაძე"**, **„ბაში-აჩუკი"**, **„მაია წყნეთელი"**, **„მამლუქი"** და სხვა პატრიოტული შინაარსის კინონაწარმოებები. სხვებმაც დამიდასტურეს, რომ მათაც არ უნახავთ ასეთი ფილმები იმ დღეებში.

ვიღაცას შეგნებულად ხომ არ სურს მოსახლეობის პატრიოტიზმის დაჩლუნგება?

ან რა დააშავა კინოფილმმა **„ქეთო და კოტე"**? რატომ არ უშვებენ მას ეკრანზე?

მუხროვანის ბატალიონის ამბოხებამ გამახსენა 1832 წლის ქართველ პატრიოტთა შეთქმულების ამბავი, რომელთა გმირული ქმედება შთამომავლობამ არ დაივიწყა.

დაუფასდებათ კი მუხროვანის ამბოხის მონაწილეებს ღირსების დასაცავად გამოჩენილი თავგანწირვა?

პატივისცემით,

**ალექსანდრე ტოლსტოი**

ილორი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინის სააკაშვილიზაცია



საქართველოს მოსახლეობას არასოდეს დაავიწყდება სააკაშვილის რეჟიმის მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულები, რომელთა დიდი ნაწილიც დღესაც გამოუძიებელია. სწორედ **"ნაციონალური მოძრაობისა"** და მისი თავკაცის მმართველობის პერიოდში აღმოცენდა ე.წ. ელიტური კორუფცია, დაიწყო ბიზნესმენთა დაწიოკება, მათი ქონების **"ნაცმოძრაობის"** წევრებზე გადაფორმება, ბიზნესმენების ღამით წამოყრა ლოგინიდან და საპყრობილეში გამომწყვდევა ან მათთვის უზარმაზარი თანხის გადახდევინება, სააკაშვილის ნათესავებისა და მისი გუნდის წევრებისთვის სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად – 1 ლარად ან სულაც უსასყიდლოდ გადაცემა, ახალგაზრდების დახვრეტა ქუჩაში, წამება და ცოცხებით გაუპატიურება საპყრობილეებში, პოლიციელების თავაშვებულობა და მათ მიერ დაკავებულთა ცემა-ტყეპა პოლიციის განყოფილებებში, ადამიანების გამოყრა ახალაშენებული საცხოვრებლიდან (თაბუკაშვილის ქუჩის), განათლების სისტემის, სპორტის, კულტურის განადგურება, ნაციონალებისთვის არასასურველი ტელევიზიების დახურვა, მართლმადიდებლობასა და ყოველივე ქართულზე შეტევა.

სააკაშვილმა და "ნაციონალურმა მოძრაობამ" თავიანთი "საგმირო საქმეები" 2004 წლის 12 მარტს გლდანის ეკლესიის დარბევით დაიწყეს, როდესაც ეკლესიის კარი სატვირთო ავტომობილით შელეწეს, მრევლი, რომლის დიდი ნაწილი ქალები იყვნენ, თმით ათრიეს, მოგვიანებით კი ტაძრის მღვდელმსახური მამა ბასილი, მისი მრევლის რამდენიმე წევრთან ერთად, ციხეში გამოამწყვდიეს.

შემდეგ იყო მკვლელობა ბუტა რობაქიძისა, რომელსაც პოლიციელებმა 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობას, დიდუბის ეკლესიასთან მოუსწრაფეს სიცოცხლე. ამას მოჰყვა 28 წლის სანდრო გირგვლიანის **"შარდენ ბარიდან"** გატაცება ოქროყანაში და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმჟამინდელი მაღალჩინოსნების მიერ, რომლებსაც ხელი სწორედ სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა დააფარეს, მათთვის სასჯელის ასაცილებლად.

2006 წლის 2 მაისს სამართალდამცველებმა ე.წ. კორტების ოპერაციისას ავტომობილში ჩაცხრილეს ორი ახალგაზრდა – ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი. აღსანიშნავია, რომ ზურაბ ვაზაგაშვილს თავში 18 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

2008 წლის 8 მაისს კი საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 31 წლის გიორგი გამცემლიძე თბილისში, რუსთაველის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოკლა.

რაც შეეხება ელიტურ კორუფციას, ყოფილი მთავარი პროკურორის – არჩილ კბილაშვილის განცხადებით, 27 ათასი შემთხვევაა, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა სიმბოლურ ფასად – 1 ლარად ან უსასყიდლოდ გაასხვისა სახელმწიფო ქონება.

ტერიტორიების დაკარგვაში გაწაფულმა სააკაშვილმა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ განაცხადა, რა მოხდა, სულ რაღაც რამდენიმე სოფელი დავკარგეო (ეს **"რამდენიმე"** 140-ზე მეტი დასახლებული პუნქტია სამაჩაბლოში), მოასწრო და პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე, 2012 წლის 5 ნოემბერს გამოსცა განკარგულება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რამდენიმე კომპანიის, მათ შორის, თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას, ძმის – ირაკლი უგულავას კომპანიისთვის ძვირად ღირებული სახელმწიფო ქონების 1 ლარად გადაცემის შესახებ.

ბევრს, ალბათ, ემახსოვრება, როგორ ადანაშაულებდა მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძეს, – რაღა მაინცდამაინც შენს ნათესავებს აღმოაჩნდათ ბიზნესის კეთების ნიჭიო, მაგრამ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ არც მისი ნათესავები აღმოჩნდნენ **"უნიჭონი"** ბიზნესის კეთების საქმეში.

მიხეილ სააკაშვილი სახელმწიფო ქონებას ისე გააჩუქებდა ხოლმე თავის ნათესავებსა და ახლობლებზე, თითქოს ხელმწიფე იყო, საქართველო კი – მისი საკუთრება. მაგალითად, სააკაშვილის დედამ – გიული ალასანიამ თითქმის უსასყიდლოდ ჩაიგდო ხელში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რამდენიმე კორპუსი, ბათუმში საჯარო რეესტრის 1556 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 987 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; სააკაშვილის მამამ კი – ბალნეოლოგიური კურორტი. სააკაშვილის ძმები **"ნავთობმაგნატები"** არიან, ბიძას – თემურ ალასანიას **"კვარციტში"** – ოქროს საბადოში – ჰქონდა წილები. თვითონ მიხეილ სააკაშვილსა და მის მეუღლე სანდრა რულოვსს კი უკრაინული მედია ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაში ადანაშაულებს.

ამას გარდა, ყველასთვის ცნობილია სააკაშვილის ახლო ურთიერთობის შესახებ კიევში მოღვაწე ბიზნესმენ ძმებთან – ლევან და გია ყარამანაშვილებთან, ძმებ ბეჟუაშვილებთან, **"ვარდების რევოლუციის"** შემდეგ ელვისებურად გამდიდრებულ დავით კეზერაშვილთან და სხვებთან.

ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა, რომლებიც უკრაინის მთავრობაში მაღალ თანამდებობებზე მოკალათდნენ ამერიკელთა ხელშეწყობით, უკრაინაშიც დაიწყეს მუშაობა იმ მეთოდებით, რომლებსაც საქართველოში 9 წლის განმავლობაში იყენებდნენ და უკრაინაშიც ზუსტად ისეთი რაღაცები ხდება, რასაც საქართველოში სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ვუყურებდით.

### ეკა ზღულაძის შექმნილმა საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა 17 წლის ბიჭი ავტომობილში ჩაცხრილა

7 თებერვალს ამერიკელების დახმარებითა და საქართველოს შს მინისტრის ყოფილი მოადგილის – ეკა ზღულაძის თაოსნობით შექმნილი კიევის საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა სერგეი ოლიინიკმა, **"ბე-ემ-ვე"**-ს მარკის ავტომობილის დევნისას, რომელშიც 4 ადამიანი იჯდა, 17 წლის მიხეილ მედვედევი მოკლა. აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის სამმა თანამშრომელმა, რომლებიც ოლიინიკთან ერთად კიევის ხალხმრავალ ქუჩებში 40 წთ-ის განმავლობაში სდევნიდნენ **"ბე-ემ-ვე"**-ში მსხდარ პირებს, 38 ტყვია ესროლეს ავტომობილს, მიხეილ მედვედევი კი ზურგში მოხვედრილმა ტყვიამ იმსხვერპლა.

### 2006 წლის 2 მაისი. თბილისი. კორტებთან სპეცოპერაციის შემდეგ

2016 წლის 7 თებერვალი. კიევი. სირკას ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ **"პოლიციელმა ოლიინიკმა იცოდა, რომ ავტომობილში საგზაო მოძრაობის დამრღვევ მძღოლთან ერთად კიდევ სამი ადამიანი იჯდა. ამის მიუხედავად, საპატრულო პოლიციის თანამშრომელმა ტაბელური იარაღი ამოიღო და გაისროლა ავტომობილის მიმართულებით".** ამით მან გაამჟღავნა განზრახვა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, მოეკლა. არადა, პოლიციელს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება ავტომობილის დაზიანების მიზნით აქვს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. ამასთანავე, პოლიციელს ეკრძალება იარაღის გამოყენება ადგილებში, სადაც შეიძლება ადამიანი დააზიანოს. როდესაც ავტომობილი სირკოს ქუჩაზე გაჩერდა, სამართალდამცველმა მასთან მიირბინა და ახლოდან ესროლა. სწორედ ეს გასროლა აღმოჩნდა საბედისწერო 17 წლის მიხეილ მედვედევისთვის.

ამის შემდეგ **"ბე-ემ-ვემ"** უკანსვლა დაიწყო, პოლიციელმა კი კიდევ 5-ჯერ გაისროლა, ტყვიები ავტომობილის წინა ნაწილსა და საქარე მინას მოხვდა. პატრულმა ოლიინიკმა რევოლვერის ორი მჭიდი დაცალა და 25 ტყვია გაისროლა, სულ კი საპატრულო პოლიციის სამმა თანამშრომელმა 37 ტყვია გაისროლეს.

**"იქ ოთხი ადამიანია. მოდი, ვესროლოთ. აბა, რა გავაკეთოთ?"** – ამბობს აუდიოჩანაწერში ოლიინიკი. მეწყვილე მას ეთანხმება: **"დავხოცოთ, მაგათი დედაც..."**. ამის შემდეგ ოლიინიკმა და მისმა კოლეგებმა სროლა ატეხეს.

**"პატრულმა წინასწარგანზრახვით მოკლა "ბე-ემ-ვეს" მგზავრი. მთავარი დამნაშავე კი მძღოლი როსტისლავ ხრაპაჩევსკი იყო, რომელიც ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მართავდა ავტომობილს",** – განაცხადა უკრაინის მთავარმა სამხედრო პროკურორმა ანატოლი მატიოსმა.

აღსანიშნავია, რომ 17 წლის ბიჭის მკვლელი სერგეი ოლიინიკი საპატრულო პოლიციაში მიღებამდე მილიციაში გამომძიებლად მუშაობდა და მონაწილეობდა ე.წ. ავტომაიდნელთა მიმართ ტერორსა და მათი საქმის ფაბრიკაციაში. მიუხედავად ამისა, ის თავგამოდებით დაიცვა უკრაინის შს მინისტრმა არსენ ავაკოვმა, რომელმაც განაცხადა, რომ **"სასამართლო და**



2006 წლის 2 მაისი. თბილისი, კორტებთან სპეცოპერაციის შემდეგ

**პროკურორები სპეციალურად გაუსწორდნენ ახალგაზრდა პოლიციელს".**

ბოლო ინფორმაციით, 17 წლის ბიჭის მკვლელობაში კიევის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი იური ზოზულიაც მონაწილეობდა, ოღონდ საკუთარი ავტომობილით.

ეს ტრაგიკული შემთხვევა კიევში საპატრულო ეკიპაჟის მიერგამოჩენილი დაუნდობლობითა და სისასტიკით ძალიან ჰგავს 2006 წლის 2 მაისს თბილისში, კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას, როდესაც სამართალდამცველებმა ზურაბ ვაზაგაშვილი 18 ტყვიით გამოასალმეს სიცოცხლეს.

### პოლიციელთა მიერ ადამიანების გატაცება და წამება

17 თებერვალს ოდესის ოლქის ქალაქ ჩერნომორსკის (ყოფილი ილიჩევსკი) პოლიციის თანამშრომლები ადამიანების გატაცებასა და წამებაში ამხილეს. ამ სკანდალურ ფაქტს უკრაინის უშიშროების სამსახურის ოდესის ოლქის სამმართველოს ხელმძღვანელმა სერგეი ბატრაკოვმა და უკრაინის სამხრეთი რეგიონის სამხედრო პროკურორმა მაქსიმ იაკუბოვსკიმ სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნეს.

15 თებერვალს უკრაინის უშიშროების სამსახურმა მიიღო მოქალაქეთა განცხადება, რომ მათი ნათესავი ჩერნომორსკელმა პოლიციელებმა გაიტაცეს. სამართალდამცველები თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ეს ადამიანი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ის 3 დღის განმავლობაში უკანონოდ ჰყავდათ დაკავებული ჩერნომორსკის პოლიციის განყოფილებაში. უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა გატაცებული პირი სწორედ პოლიციის განყოფილებაში იპოვეს. მასთან ერთად გაათავისუფლეს პოლიციელების მიერ უკანონოდ დაკავებული კიდევ ერთი ადამიანი. თავიანთ ჩვენებებში ორივემ განაცხადა, რომ პოლიციელები აწამებდნენ, სცემდნენ, გაჰყავდათ გარეთ და საფლავებს ათხრევინებდნენ. ამ პოლიციელების მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა რამდენიმე მუხლით – ძალაუფლების გადამეტება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა, უკანონო სარგებლის მიღება და წამება. მიუხედავად ამისა, პოლიციელები არ დაუკავებიათ, რადგან, უკრაინის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, პოლიციელის დაპატიმრება მხოლოდ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიძლება, მიუხედავად ამისა, მოგვიანებით ორივეს მიმართ მაინც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ჩერნომორსკელ პოლიციელებს ეჭვი ჰქონდათ, რომ ადამიანები, რომლებიც უკანონოდ გაიტაცეს, ყაჩაღურ თავდასხმებში მონაწილეობდნენ და წამებით ცდილობდნენ მათგან აღიარებითი ჩვენების მოპოვებას.

**"სხვა რას უნდა ველოდოთ ასეთი "სამართალდამცველებისგან", თუკი მათი უშუალო უფროსი არის გიორგი ლორთქიფანიძე (სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს შს მინისტრის მოადგილე – ნ.კ.), რომელსაც არასოდეს ჰქონია შეხება ოპერატიულ სამუშაოსთან და უცნობია, რა დამსახურებისთვის დანიშნეს ის ოდესის ოლქის პოლიციის უფროსის თანამდებობაზე",** – განაცხადა ოდესის ოლქის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა სერგეი ბატრაკოვმა. სამხედრო პროკურორმა მაქსიმ იაკუბოვსკიმ კი დასძინა, რომ ადამიანის გამტაცებელ პოლიციელებთან შეხვედრის შემდეგ გაოგნებული იყო მათი ცინიზმით: **"მათ მკითხეს, როგორ გავხსნათ დანაშაული, თუკი ეჭვმიტანილის ცემა არ შეგვეძლებაო?"**

აღსანიშნავია, რომ ეს პოლიციელები ადრეც იყვნენ შემჩნეულნი **"ტრადიციული მეთოდების"** გამოყენებაში.

### სააკაშვილის ფონდი და "კეთილსინდისიერი შემომწირველები"

**"კეთილსინდისიერი იმპორტიორების" სიაში, რომელიც სააკაშვილმა და მისმა თანაგუნდელებმა შეადგინეს ოდესის საბაჟო სამსახურში, იპოვეს "შემომწირველი" კომპანიები, რომლებიც დიდძალ თანხებს რიცხავენ მიხეილ სააკაშვილის კონტროლს დაქვემდებარებული ფონდის ("ოდესის კეთილდღეობისთვის") ანგარიშზე".**

**"გასაგებია, რომ ხელით მართვა და იმპორტიორების სიის შედგენა, უსაფრთხო პრაქტიკა არ არის და შემთხვევით არ მოხდა, რომ 90 კომპანიის, ანუ "კეთილსინდისიერი იმპორტიორების" სიის გამო-**



2006 წლის 2 მაისი. თბილისი, კორტებთან სპეცოპერაციის შემდეგ

**ქვეყნების შემდეგ ეს კომპანიები დააკავშირეს "შემომწირველებთან", რომლებიც უზარმაზარ თანხებს სწირავდნენ ფონდში სახელწოდებით "ოდესის კეთილდღეობისთვის".** ეს ფონდი კი უკრაინაში იმით არის ცნობილი, რომ მხარს უჭერს მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს.

**"კეთილსინდისიერი იმპორტიორებისა"** და **"შემომწირველი" კომპანიების სიაში ერთი და იგივე კომპანიებია, მაგალითად, სავაჭრო-სამრეწველო კომპანია "შაბო", შპს "ინტერხიმი", შპს "ტის-უგოლი", თითოეულმა მათგანმა 2014 წელს ფონდში 2 მლნ გრივნა შეიტანა. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით კი, ფონდმა 5 მლნ დახარჯა. სად წავიდა დანარჩენი თანხა და რამდენი გრივნა შევიდა ახალი შემოწირულობების სახით, უცნობია. მას შემდეგ, რაც ფონდს სათავეში ჩაუდგა (2015 წლის აგვისტოში) უკრაინაში საქართველოს ექსკონსული თეიმურაზ ნიშნიანიძე, სახსრების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება პრობლემურია",** – წერს გამოცემა ZN.UA-ს სპეციალური კორესპონდენტი ოდესის ოლქში ნინა პერსტნევა.

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

## იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობების მიხედვით

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

იმ მდინარეებს შორის, რომლებიც სამეგრელოს ტერიტორიაზე მოედინება, ცედლერის ენციკლოპედიაში ყვირილაცაა დასახელებული, რაც არასწორია. ყვირილა რიონის მარცხენა შენაკადია და მოედინება იმერეთში.

საინტერესოა ცედლერის ენციკლოპედიაში მოცემული შემდეგი ცნობაც: **„კავკასიონის ქვემოთ დაახლოებით 60 მილის გალავანია მაღალი კოშკებით, რომლებზედაც მუდმივად ჯარისკაცები დარაჯობენ და ყოველთვიურად იცვლებიან, რათა აფხაზები შეაჩერონ და თავიანთ ქვეყანაში შემოჭრის საშუალება არ მისცენ“** (გოგოლაძე თ., საითიძე გ., დასახ. ნაშრომი„ 553). აქ იგულისხმება კელასურის კედელი, რაც აგრეთვე **„აფხაზეთის დიდი კედლის“** სახელითაა ცნობილი. კედელი სოხუმის სამხრეთით, 5 კმ-ის დაშორებით იწყება და მიუყვება კელასურის მარცხენა ნაპირს, მდინარის შავ ზღვასთან შესართავიდან ჩრდილოეთით – ღალიძგამდე. ვახუშტი თავდაცვით ნაგებობათა სისტემის აგებას, **„ზღუდის შევლებას“** ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის სახელს უკავშირებს და შენიშნავს, რომ ეს განპირობებული იყო **„აფხაზთა გამოუსვლელობისათვის“.** მეცნიერი საკმაო სიცხადით მიუთითებს ზღუდის ადგილმდებარეობას, რომ იგი ანაკოფიის აღმოსავლეთით, ზღვასთან იწყება და მთამდე გრძელდება. ამასთანავე, მან იცის, რომ ეს ზღუდე წარმოადგენდა საზღვარს ოდიშსა და აფხაზეთს შორის, და რომ იგი **„გარნა აწ უქმად არს“.** თუმცა დაზუსტებით არაფერს ამბობს ზღუდის სახელწოდებაზე (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 782).

ამ სიმაგრის შესახებ ცნობები დაცულია ლამბერტის ნაშრომში: **“...ზღვის მხრით... მტერი ადვილად შეძლებდა შემოსვლას. ამ ადგილების დასაცველად აუშენებიათ რამდენიმე ხის ციხე, სადაც თოფით შეიარაღებული მცველები დგანან. ასეთივე საშუალება აქვთ ნახმარი მთების მხრიდანაც: რადგან ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე (olusce) ჰქვია, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, – დიდის ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოციათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები“** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 188). ჟან შარდენის თქმით, სამოცი მილის სიგრძის კედელი ოდიშს იცავდა ჩრდილოეთიდან, – აფხაზეთისაგან (ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა. თბ., 1975, 24).

**„აფხაზეთის დიდი კედლის“** გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურის (ლამბერტი, შარდენი, ვახუშტი, დიუბუა დე მონპერე, დ, ბაქრაძე, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე, მ. ივაშჩენკო, ჯ. კუდრიავცევი, დ. გულია, ბ. ბღაჟბა, ი. აძინბა...) ნაწილი მიმოიხილა თ. ბერაძემ და გამოთქვა სავსებით დამაჯერებილი მოსაზრება, რომ ამ სახელწოდების ქვეშ **„მკვლევარები ხელოვნურად აერთიანებენ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნაგებობებს“** (ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 72). თ. ბერაძე მიიჩნევდა, რომ ვახუშტის ცნობა ლევან II დადიანის მიერ ზღუდის აგების შესახებ სარწმუნოა და კელასურიდან ღალიძგამდე არსებული გზა-გადასასვლელების ქვის კედელ-გალავნებით გამაგრებას ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე აფხაზი ფეოდალების თავდასხმებით შექმნილი საშიშროების თავიდან აცილება განაპირობებდა. ლევანმა საზღვარი საგანგებოდ გაამაგრა და ჩრდილოელთაგან დასაცავ ბარიერად კედელი გაავლო, ვინაიდან **„იგი კარგად გრძნობდა, რომ თუ კელასურის პირას საზღვარი მოიშლებოდა, მტრის შეჩერება ენგურამდე შეუძლებელი იქნებოდა“** (ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 72).

უთუოდ აფხაზთა თავდასხმების მოგერიებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ოდიშის მესვეურნი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვრის გამაგრებას. ამაზე ყურადღებას ამახვილებს ლამბერტი, რომელიც წერს: იმ მიზნით, რომ ოლუშედ წოდებულ ადგილას აგებულ კოშკებს შეიარაღებული მცველები არ მოკლებოდნენ, ოდიშის ეპისკოპოსებს, თავადებსა და დიდებულებს ევალებოდათ, მორიგეობით გამოეყვანათ **„თავისი კაცები“** ამ ადგილების თითო თვით დასაცავად (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 188).

სპეციალისტთა წინაშე დასმულ მთავარ კითხვას, თუ ვინ, როდის და რა მიზნით ააგო ეს კედელი, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ზ. ალექსიძემ. მან ყურადღება მიაქცია ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული საისტორიო თხზულების – **„მოქცევაი ქართლისაის“** ახალ, სინურ რედაქციაში კლისურის ზღუდის შესახებ დაცულ ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ კედელი სპარსელების მიერ ყოფილა აგებული (ალექსიძე ზ., როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე. ქრისტიანული კავკასია. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 2. თბ., 2011, 38). ამ ცნობაზე დაყრდნობით, კითხვას – ვისი აგებულია ჩვენამდე მოღწეული კედელი: სპარსელთა მიერ VI ს-ში, თუ ლევან დადიანისა – XVII ს-ში, ზ. ალექსიძემ შემდეგი პასუხი გასცა: კელასურის კედელი აგებულია სპარსელთა მიერ ხაზართა უკუგდების მიზნით, დიდი ალბათობით – 553-568 წლებში, უფრო კი 553-562 წლებს შორის პერიოდში, ანუ მანამდე, ვიდრე ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის 50-წლიანი ზავი დაიდებოდა. მკვლევარს შესაძლებლობის გათვალისწინებით საეჭვოდ მიაჩნია ლევან დადიანის მიერ ამხელა კედლის აგება, ვინაიდან შესაძლებელია ოდიშის მთავარს მხოლოდ რაღაც დაემატებინა, გამოეყენებინა, შეევსო და გაემაგრებინა უკვე არსებული ნაგებობა (ალექსიძე ზ., როდის, ვინ და რისთვის ააგო კელასურის ზღუდე, 40-41).

მკვლევარ ი. ვორონოვის მსჯელობით, კელასურის საფორტიფიკაციო ხაზის სიგრძე 58 კმ-ს აღწევს, ხოლო კედლისა – 25 კმ-ს (Воронов И. Келасурская стена, Известия научного общества. Вып. 4, 1926; იხ. აგრეთვე Адзинба И. Архитектурные рамятники Афхазии. Абидз., 1958, 106; კეკელია, სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 212-215).

ცედლერის ენციკლოპედიის 1741 წელს გამოცემულ 30-ე ტომში შესულია მცირე მოცულობის სტატია **რეგიას (Regia)** ციხე-სიმაგრის შესახებ. სტატიაში ვკითხულობთ, რომ რეგია მდებარეობს აზიაში, კავკასიონის მთიანეთში, საქართველოს ყველაზე დიდი სამეფოს – სამეგრელოს ტერიტორიაზე, რომელსაც ქვემოთ რიონი ჩამოუდის (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 549). იმერეთისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნულია, რომ იმერეთის მეფეს სამი კარგი ციხე-სიმაგრე აქვს – სკანდეს სახელით მდებარე ციხე სამხრეთით მდებარეობს, დანარჩენი ორი ფაზისის მახლობლად არის აშენებული და სკორგია და რეგია ეწოდება (გოგოლაძე თ., საითიძე გ., დასახ. ნაშრომი 545). თამაზ გოგოლაძე და გოჩა საითიძე კომენტარებში ამ ორი უკანასკნელი ციხე-სიმაგრის შესახებ აღნიშნავენ, რომ მათი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ ხერხდება (გოგოლაძე თ., საითიძე გ., დასახ. ნაშრომი, 565, კომენტარი 32-33).

მეგრელთა საცხოვრისებისა და წესჩვეულებების აღწერისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიაში საუბარია სამეგრელოს მთავრის რეზიდენციაზე – **რუხზე (Roukhs)**: მეგრელებს **“უღრან ტყეებში დაახლოებით 9-10 სასახლე აქვთ აშენებული, რათა გაჭირვების შემთხვევაში თავი შეაფარონ. მათგან ყველაზე მდიდრული რუხია, სადაც სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია მდებარეობს“** (გოგოლაძე თ., საითიძე გ., დასახ. ნაშრომი, 553-554).

რუხის ციხე გვიანი შუა საუკუნეების ოდიშში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო. მისი მშენებლობა ვახუშტის **“აღწერისა“** და სხვა ისტორიული წყაროებითაც უკავშირდება ლევან II დადიანის სახელს. ასაკს ციხის დაგეგმარება და კედლების წყობაც ადასტურებს. ციხის აშენება უმთავრესად განპირობებული იყო აფხაზთაგან ოდიშის დასაცავად. რუხი თავის რუკაზე აღნიშნული აქვს ლამბერტს. მისსავე ნაშრომში დაცულია ცნობები რუხის მშენებლობაზე: **“მხოლოდ სომხების ქალაქში, – გვაუწყებს იგი, – რომელიც აშენებულია აწინდელ მთავრის დროს, არის მოედანზე რამდენიმე დუქანი, სადაც იყიდება ტილო და ირანული შალი“** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 179). სომხების ქალაქში თეატინელი მისიონერი სწორედ რუხს გულისხმობს.

ვახუშტის ცნობით რუხის ციხე 1647 წელსაა აშენებული (**„ქრისტესსა ჩქმზ, ქართულსა ტ-ლე“**). ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროზე დაყრდნობით თვლის იგი რუხის ციხის აგების თარიღად 1647 წელს (ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, 62). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ციხის მშენებლობა სომეხ-ებრაელ ვაჭართა ჩხარიდან და ჩიხორიდან გადმოსახლებისთანავე, 1635-1636 წლებში უნდა დაწყებულიყო. ვახუშტის, ეტყობა, მიაჩნდა, რომ რუხის ციხის **“აღშენება“** 1647 წელს დასრულდა, **“თორემ,** – წერდა ილია ანთელავა, – **ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება“** (ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, 113-114; მსჯელობისათვის იხ. კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია, 168-171; მისივე, ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV. თბ., 2012, 246-250).

ციხის შესახებ ცნობა დაცულია შარდენის **“მოგზაურობაში“**, როცა იგი გადმოგვცემს 1672 წელს ოსმალთა შემოსევასთან დაკავშირებულ ამბებს. **“ახალი ქართლის ცხოვრება“** გვაუწყებს, რომ რუხის ციხეში ინახებოდა ოფშქვითის ბრძოლის დროს ქართლის მეფე სიმონისათვის დადიანის მოლაშქრეთაგან წართმეული ზარბაზნები (ზაქარაია პ., საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXVI – B. თბ., 1970, 282-288). გიულდენშტედტის ცნობით რუხი ციხეა ენგურის მარცხენა ნაპირზე, რაც უწინ თურქთა ხელში იყო, ამჟამად კი მიტოვებულია (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, 325).

წინამდებარე გამოკვლევაში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი გამომცემლისა და წიგნებით მოვაჭრის – იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის მასალების მნიშვნელობა, რაც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ავსებს ჩვენ ცოდნას XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე.

**იგორ კეკელია,**
**ისტორიის დოქტორი**

## 25 წელი გავიდა “დედის დღის” დაარსებიდან

**1991 წლის გაზაფხულზე საქართველოს უზენასმა საბჭომ, ეროვნული მოძრაობის პატრიარქის ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, 3 მარტი გამოაცხადა “დედის დღედ”. ძვირფასო ქართველებო, ეს არის ქართული ცნობიერების დედის დღე და არა კლარა ცეტკინისა და როზა ლუქსემბურგის ქალთა საერთაშორისო დასვენების დღის – 8 მარტის შემცვლელი. ეს გახლავთ: “მშობელი დედის”, “დედა სამშობლოს”, “დედა ბოძის”, “გუთნის დედის”, “დედამიწის” და სამშობლოსთვის თავშეწირული ქართველი ვაჟკაცის სიკვდილის წინა ამოძახილის – “ვაი დედა”-ას დღე.**

**ვულოცავთ სრულიად საქართველოს გასულ დიდებულ დღეს და ვუსურვებთ – დედის მადლი ნუ მოშლოდეს ღვთის შეწევნით ჩვენს ერს.**

**საზოგადოებრივ-სახალხო მოძრაობა “აბაშელის” სახელით,**

**ვახტანგ კეკელია**

## იარა

*ავტორის წინათქმა*

**60 წლის წინათ, 1956 წლის 9 მარტის საღამოს, ჩემი და ჩემი ბიძაშვილის გურამ შენგელიას თვალწინ სასიკვდილოდ დაჭრეს 12-13 წლის ყმაწვილი, რომელიც, როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ჩემი ერთ-ერთი პირველი მასწავლებლის, ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის, შემდგომში კი თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ყოფილი დირექტორის, ბატონ აკაკი შანიძის დედისერთა ვაჟი – თენგიზი იყო.**

**როგორც უამრავ დანარჩენ შემთხვევაში, იმდროინდელმა ხელისუფლებამ დაღუპულის მშობლებს გლოვა კატეგორიულად აუკრძალა და არც ამ ყმაწვილის საფლავის ქვაზე არ გახლდათ მითითებული გარდაცვალების თარიღი. ჭირისუფლებმა იგი მხოლოდ მას შემდეგ მიაწერეს, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ცხადზე უცხადესი გახდა, რომ 9 მარტის გრანდიოზული აქციების მონაწილეთა უმრავლესობის მიზანი რომელიმე კონკრეტული პიროვნების დაცვა კი არა, ქართველების სამშობლიდან დედაწულიანად გადასახლების პოლიტიკურ ავანტურისტ ხრუშჩოვისეული გეგმის წინააღმდეგ ბრძოლა და ერის ღირსების აღდგენა იყო. ამ ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილ სტრიქონებს, რომლებიც ამონარიდია პოემიდან „შავი ფლასი“, ვურთავთ 9 მარტის მსხვერპლის – თენგიზ შანიძის სურათს, რომელიც დედამისმა, ქალბატონმა ნინო შანიძემ გვისახსოვრა.**



1.

**წამების ფერით, ფერით ამარტის**
**გლოვად შემორჩა ხსოვნას 9 მარტი.**
**მახსოვს ტყვიები ნასროლი მიჯრით**
**და ჩაცხრილული პატარა ბიჭი.**
**მახსოვს, სატანურ შემოტაკებით**
**დარახრახებდნენ ხალხში ტანკები**
**და მღვრიე მტკვარში დიდხანს იდინა**
**სისხლის მდინარემ მარქსის ხიდიდან.**
**ფლასის* ხაო აქვს ფიქრს იმ დროს ნაქსოვს,**
**მახსოვს, 9 მარტზე ბევრი რამ მახსოვს!**

2.

**ძარღვებში ისევ სიცივე ატანს,**
**კბილებთან კვლავაც კაწკაწებს ქარი;**
**გაფითრებია ტუჩები ატამს,**
**ვერ მივხვდი, გუშინ რა უხაროდა?**
**დღეა ცივი და დღეა მწუხარი**
**და ჩაფერფლილა ალიბუხარი....**
**კვირტებს, რომლებსაც არ დაუხანდათ,**
**თარიღდაუსმელ საფლავის ქვათა**
**მოგონებებთან ქარი აომებს.**
**შემოუტია გაზაფხულს მარტმა**
**და ყინვის ფუნჯი ფანჯრებზე ხატავს**
**დახვრეტილ ბავშვს და დამზრალ თაობებს.**

3.

**რა წამს განგმირეს ჩემს თვალწინ ბავშვი,**
**დრო დადგა ყველა ხუხულის დაშლის**
**და ამას დასტურ ვერავინ წაშლის!**
**მახსოვს, ღებავდნენ სისხლიან ფასადს**
**და საფლავებზე თარიღის დასმა,**
**ჭირისუფალთა სიცოცხლის ფასად,**
**აკრძალეს მაშინ!**

4.

**სისხლი კი არა,**
**ვისაც ცრემლი არ დაუღვრია,**
**ვერ გრძნობს, იარა**
**დღევანდლამდე რად რჩება ღიად!**

**ალექსანდრე შენგელია**

***ფლასი – ბალნის ძაძა (სულხან-საბა)**

# უხუცესთა კავშირი „სხუნუ" კატეგორიულად მოითხოვს!

**საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს,**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს,**
**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს,**
**საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს,**
**საქართველოს მთავარი პროკურატურის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულ სააგენტოზე საზედამხედველო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ლევან გეგეჭკორს,**
**საპარლამენტო ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების" თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი ჩიქოვანს,**
**გაზეთ „ილორის" რედაქციას**

მოგახსენებთ სამეგრელო-ზემო სვანეთის ოლქში მოქმედი 3.000-იანი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, უხუცესთა კავშირი **„სხუნუ"**-ში გაერთიანებული სოფლის მოსახლეობის, დამსახურებული ინჟინერების, იურისტების, პედაგოგების, რაიონში მოქმედი ინტელიგენციის, მშრომელი ხალხის მოთხოვნითა და სახელით, ვისაც ცხოვრების დაკანონებულ წესად გაუხდია **„ენა, მამული, სარწმუნოება"**, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ზნე-წესების, ადათის დაცვა და პატივისცემა, უმორჩილესად გთხოვთ, შეწყვიტეთ და ნუ მიიღებთ კანონს მიწის, უძრავი ნივთის სავალდებულო რეგისტრაციაზე, სანამ არ შეუქმნით ქვეყნის მოსახლეობას კონსტიტუციურ კანონიერ პირობებს, მინიმალური დანახარჯებით გადაიფორმონ სამკვიდრო ქონება, ე.ი. უძრავი ნივთი. მით უმეტეს ქვეყნის მოსახლეობის მიმართ ჩადენილია ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელების, მიხეილ სააკაშვილის, ირაკლი ოქრუაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, კახაბერ ბენდუქიძის და როლანდ ახალაიას მიერ პარლამენტის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ხალხის ქონების, უძრავი ნივთის მისასაკუთრებლად შექმნილი ე. წ. ეროვნული საჯარო რეესტრის გამოყენებით სახელმწიფო დონის დანაშაული, რომელიც დიდი წარმატებით დღესაც გრძელდება, კერძოდ: ე. შევარდნაძემ და მასთან ერთად ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გასანადგურებლად ჩამოსულმა ე.წ. ბიზნესმენებმა, რომლებმაც შექმნეს დანაშაულებრივი პოლიტიკური გაერთიანება **„მოქალაქეთა კავშირი"**, მათი მიზანი იყო ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიურად განადგურება. გაუსაძლისი პირობების შექმნა, სამეურნეო პოტენციალის გასანადგურებლად მათ შემოიყვანეს მარტინ ბაუერი, მან კი გაანადგურა ქვეყნის ძირითადი მასულმდგმულებელი ჩაის მრეწველობა, იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში ჩაის 95% იკრიფებოდა დამსახურებული ინჟინრების კერესელიძე-კოსტავას მიერ შექმნილი ტრაქტორებით. ფაქტმა გამოიწვია ქვეყნის მოსახლეობის გაღატაკება. რომლის მიზეზი იყო შევარდნაძეჯაბა იოსელიანის მიერ შექმნილი ბანდიტური გაერთიანება **„მხედრიონი"**, რომელმაც პირწმინდად გაძარცვა აფხაზეთის, სამეგრელოს და საქართველოს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თავს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიმდევრებად თვლიდა. გაიძარცვა ფაქტიურად, წითელი ინტელიგენციის გარდა, საქართველოს მოსახლეობის 85%-მდე. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, ხალხის მასიური ხოცვის, ხალხის უძრავი ნივთების წართმევის და სხვა არაადამიანური ფაქტები სახეზეა, რამაც აღაშფოთა საქართველოს სულიერი მოძღვარი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც ხელისუფლებას მოსთხოვა მამაპაპისეული მიწების მიზანმიმართულად გაღატაკებულ ხალხზე უსასყიდლოდ გადაცემა. 1999 წელს გადაწყდა, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადაეცათ უძრავი ნივთი – მამაპაპისეული მიწები. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, 1999 წლის 16 მაისს გამოსცა ბრძანებულება №327, რომლითაც მოსახლეობას დაუბრუნდათ უხსოვარი დროიდან მათი წინაპრების მამაპაპისეული უძრავი ნივთი, მიწა, რომელიც მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში არსებულ რეესტრში გაუტარდათ, როგორც საკუთრება, გადაეცათ საკადასტრო კოდით თავისი ნომრით, გეგმით და ნახაზით, გამოეყოთ მის საფუძველზე მიწის ფართობები, გატარდა სარეგისტრაციო წიგნში სათანადო ნომრით. ზონარგაყრილი საკომლო წიგნიდან ამოღებული იქნა მიწის ფართობი და იგი დაურეგისტრირდათ მოსახლეობას, პრეზიდენტ შევარდნაძის ბრძანებულების საფუძველზე მათ გაეცათ სარეგისტრაციო მოწმობა, რომელსაც გააჩნია კანონიერი ძალა და ადასტურებს უძრავი ნივთის ფლობას. მისი მიღების შემდეგ, მფლობელი ხდება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის საფუძველზე დაცული პიროვნება. ეს ნიშნავს იმას, რომ მასთან შეუთანხმებლად არ შეიძლება მიწის სხვაზე გადაცემა, აუქციონზე გატანა და გაყიდვა, ხოლო სასამართლოს გარეშე მასზე ყადაღის დადება ან იპოთეკით დატვირთვა. მისი ხელის ხლება წარმოადგენს სხვისი ქონების მითვისებას, იგი დანაშაულია და ჩამდენი პირი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით.

ბატონებო, ქალბატონო თეა, საქართველოს მოქალაქეები ვალდებული არ არიან იცნობდნენ საქართველოში მოქმედ ყველა კანონებს და იმოქმედონ მათი უფლებების დასაცავად. ამისთვის დაქირავებული ჰყავთ ხელისუფლება თქვენი სახით და თქვენ უნდა იცავდეთ მათ უფლებებს. გეკითხებით, თქვენ რას აკეთებთ. როცა თქვენთვის ცნობილია, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ყალბი ფალსიფიცირებული დოკუმენტების შექმნით საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს წაართვა უძრავი ნივთი – მამაპაპისეული მიწები და გაყიდა ისინი უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, აუქციონის მეშვეობით.

2004 წელს შეიცვალა ხელისუფლება. სათავეში მოვიდა ნაციონალური მოძრაობა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც ქვეყანაში გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა. შექმნა დანაშაულებრივი სასამართლო სისტემა, დაარღვია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. ნაციონალურმა მოძრაობამ განიზრახა მოსახლეობისათვის ჩამოერთვა ის უძრავი ნივთები, რომელიც მათ გადაეცათ 1999 წელს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. რადგანაც მას იცავდა კონსტიტუცია და ხელყოფა არ შეიძლებოდა, ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ირაკლი ოქრუაშვილთან და ზურაბ ადეიშვილთან ერთად შეიმუშავა შემდეგი გეგმა: იუსტიციის სამინისტროსთან შექმნილიყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც გახდებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სამართალმემკვიდრე. ფაქტიურად ეს საჯარო ორგანიზაცია ვალდებული იყო აეყვანა აღრიცხვაზე მიწის მართვის სახელწმიფო დეპარტამენტში დარეგისტრირებული საკადასტრო კოდგაცემული, აღრიცხვაზე აყვანილი უძრავი ნივთი – მამაპაპისეული მიწის ფართობები. სანაცვლოდ ამისა მათ გაეცათ განკარგულება ფორმალურად განეცხადებინათ, რომ აღრიცხვაზე აყავდათ უკვე სამკვიდრო ქონებად ქცეული მიწის ფართობები. ფაქტიურად სანაცვლოდ ამისა, ყველა დოკუმენტი გადამალეს და ხალხს მოსთხოვეს განმეორებით მიწის რეგისტრაცია. ამ განზრახულობის შესასრულებლად 2007 წელს შეიქმნა იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, პარალელურად ეკონომიკის სამინისტროში ქონების მართვის ეროვნული სააგენტო. შემოვიდა კანონი **„საჯარო რეესტრის შესახებ და უძრავ ნივთზე უფლებათა რეგისტრაციის"** შესახებ, სადაც იმდროინდელმა პარლამენტმა ჩაწერა, რომ თუ ზემოთდასახელებულ თანამშრომლებს წარედგინებოდათ ყალბი, დანაშაულებრივი დოკუმენტი და ისინი მას მიიღებდნენ რეგისტრაციის საფუძვლად, პასუხს არ აგებდნენ. როგორც ეტყობა, საუბედუროდ, სააგენტოებში მომუშავე სახელმწიფო მოხელეებზე ზეგავლენა იქონიეს მათმა ხელმძღვანელებმა და დაიწყეს ყალბი დოკუმენტების შექმნით მოქალაქეებზე გაცემული ქონების ჩამორთმევა იმ მოტივით, რომ თითქოსდა ეს ქონება იყო დაუზუსტებელი და პატრონმა მამაპაპისეული მიწის ადგილმდებარეობა არ იცოდა. უკვე დარეგისტრირებული, ხალხზე მიცემული ქონება განმეორებით იქნა საქართველოში არ არსებული კანონის საფუძველზე რეგისტრირებული და სახელმწიფო საკუთრებაში აღებული. ყოველივე ამას მოჰყვა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, სრულიად უსაფუძვლოდ ჩამოართვეს მოქალაქეებს, ფალსიფიცირებული დოკუმენტების გამოყენებით მიწის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენდა მათთვის სასურველი ბიზნესმენებისთვის საინტერესოს. გაუყიდეს იგი აუქციონზე და ამ მეთოდით ფაქტიურად მოხდა მოქალაქეებზე პრეზიდენტის ბრძანებულება №327-ით გაცემული მიწის ფართობების ჩამორთმევა და რეალიზაცია, რისთვისაც გამოყენებულია სრულიად უსაფუძვლოდ, კანონი **„საჯარო რეესტრის შესახებ"**, მისი 21-ე მუხლი 22-ე მუხლთან ერთად, თუმცა დიდი ბრძოლის შემდეგ საჯარო რეესტრმა ოფიციალურად გამოსცა დოკუმენტი, სადაც ჩაწერილია, რომ ერთხელ დარეგისტრირებული ქონება განმეორებით არ რეგისტრირდება და ასეთი კანონი არ არსებობს, ხოლო შეკითხვაზე თუ რას ემართლება იუსტიციის სამინისტრო და საჯარო რეესტრი შევარდნაძის მიერ გამოცემული ბრძანებულების საფუძველზე დარეგისტრირებულ ქონებას და რატომ არ გადაუფორმდება იგი მემკვიდრეებს, წელიწადი და ოთხი თვეა ვიბრძვი, დღემდე პასუხი არ გაუციათ, ხოლო დღეს კი მავანი ფიქრობს კანონის მიღებას, რომლითაც გაღატაკებულ მოსახლეობას უბრალოდ აბატრაკებს. მოქალაქეებზე უკანონოდ მიწის სასურველი ნაკვეთის ჩამორთმევით ადგილობრივი თვითმმართველობის, მხედველობაშია, როგორც გუბერნიის, ასევე გამგეობების თანამშრომლებმა ხეირი ნახეს. ფაქტიურად, გაღატაკებული მოსახლეობა უფრო გაღატაკდა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გახდა ყალბისმქმნელი ორგანიზაცია. ზემოთდასახელებული ფაქტები გამოვლინდა 2014 წელს და იგი მოხსენდა იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს. მთელი წლის განმავლობაში დაყენებულ საკითხებზე სრული, სამართლიანი პასუხი არ მიგვიღია. საკითხს იხილავდა გენერალური ინსპექცია, რომლიდანაც არც ერთ საჩივარზე პასუხი არ მიგვიღია (ე. ი. მათ მიმართ დაყენებული საკითხები არ იხილება, ხდება მათი გადამისამართება და ამ ხერხით იუსტიციის სამინისტროზე მიწოდებული დარღვევის ფაქტების გადამალვა). ხალხის მიმართ ჩადენილ თაღლითობაზე და მათი კუთვნილი ქონების წართმევის ფაქტებზე შეკრებილ იქნა დამამტკიცებელი დოკუმენტები, შესდგა მასალები. 2015 წლის 1 სექტემბერს იგი წარედგინა, როგორც საზოგადოების მიმართ მიმართული მძიმე დანაშაული, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტს და საქართველოს მთავარ პროკურატურას. დღემდე მასალებზე რეაგირება არ ყოფილა. ზემოთდასახელებული ფაქტის დასადასტურებლად მოგახსენებთ მაგალითს, დაკავშირებულს ზუგდიდის რაიონის, სოფ. ჭითაწყარში მცხოვრებ ჟუჟა დარასელიას უძრავი ნივთის წართმევასთან და მის აუქციონზე გაყიდვასთან დაკავშირებით.

საქართველოში მოქმედებდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელსაც გააჩნდა თავისი რეესტრი სარეგისტრაციო წიგნით. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტიდან გაიცემოდა უძრავ ნივთზე, ე. ი. მიწაზე ფლობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები, საკადასტრო კოდი, რომელიც ტარდებოდა რეესტრის წიგნში და ასეთი მეთოდით კანონდებოდა ქართველი მოსახლეობის უძრავი ნივთი. ჩვენს შემთხვევაში ჟუჟა დარასელიას, 2001 წლის 15 ოქტომბერს, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დარეგისტრირებულ მდგომარეობაში ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარში, შ. ხუბულავას ქუჩაზე, ქალაქ ზუგდიდის პირუტყვის სასაკლაოს გვერდით გადაეცა ორი მიწის ნაკვეთი, რომელსაც მამაპაპისეულად ადრე ფლობდა ჟუჟა დარასელიას უახლოესი მეგობარი აკაკი კეკუსაძე, საკადასტრო კოდით 43.14.02.206, 0,113ჰა, რომელიც გატარებულია რეგისტრაციის წიგნში №4908 და მეორე მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდით 43.14.02207, 0,214ჰა, რომელიც დარეგისტრირებულია სარეგისტრაციო წიგნში №4909 და რომელზედაც ჟუჟა დარასელიამ და მისმა მეგობრებმა, იური პაჭკორიამ, გურამ ზარანდიამ, აკაკი კეკუსაძემ გააშენეს 5X12, 60მ²-ის დამხმარე ნაგებობა. ორივე ეს მიწის ნაკვეთი გატარებულია სოფ. ჭითაწყარის ზონარგაყრილ საკომლო წიგნში №727728. ჟუჟა დარასელიას უძრავ ნივთს 2001 წლის 15 ოქტომბრიდან იცავს საქართველოს კონსტიტუცია, მისი 21-ე მუხლი.

2007 წელს, საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, დაქვემდებარებული იუსტიციის სამინისტროზე, შემოიღო ე. წ. კომპიუტერული ელექტრონული ვერსიები, გასცა განკარგულება მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სარეგისტრაციო წიგნში გატარებული უძრავი ნივთის გადამალვის და ე.წ. ელექტრონული ვერსიით მოქალაქეებზე უკვე დარეგისტრირებული საკუთრებაში მყოფი უძრავი ნივთის ჩამორთმევის, რისთვისაც გამოიყენა ე. წ. სიტყვა **„დაუზუსტებელი ფართობი"**. ჟუჟა დარასელიას კუთვნილი ორი ნივთიდან საკადასტრო კოდით 43.14.02.207, 0,214ჰა მიწის ნაკვეთი ელექტრონულ ვერსიაში გაატარეს, ხოლო მეორე ნაკვეთი, 43.14.02.206, 0,113ჰა, ელექტრონულ ვერსიაში არ გაატარეს და იგი დატოვეს თითქოსდა რეგისტრაციის გარეშე. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდით 43.14.02.207-ზე არსებობს, ხოლო 43.14.02.206-ზე არ არსებობს. ამ ფაქტებს მალავდა ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი ჯოლოხავა, მის მოადგილე ი.მოლაშხიასთან ერთად. რადგანაც ფაქტი სახეზე იყო და თუ იგი განმჟღავნდება და კანონიერად ჩაიძიებს სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს ანტიკორუფციული სამსახური, ასეთ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიბრუნებს იმ უკანონოდ უსაფუძვლოდ ჩამორთმეულ ქონებას, რომელსაც დაეუფლა ნაციონალური მოძრაობა, მისი წარმომადგენელი და კორუფციული ჯგუფები. ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები თქვენ წარგედგინათ, თუმცა დღემდე საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორებმა და ანტიკორუფციული სამსახურის თანამშრომლებმა არ ისურვეს საქმის გამოძიება და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება, რაზედაც მეტყველებს ზუგდიდის ანტიკორუფციული სამსახურის უფროსის მოადგილის პასუხი 2015 წლის 1 სექტემბერს შეტანილ და მასზე გადაცემულ მასალებზე, ხოლო პროკურატურის პროკურორი, ბატონი გაგნიძე დღესაც ვერ აღიქვამს განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს. მიზეზი ერთია, ეტყობა ხელისუფლებას და ზოგიერთ ხელმძღვანელს არ სურს ფაქტიური მდგომარეობის დადგენა, რადგან ერიდებიან ფაქტის გამჟღავნების შემთხვევაში მრავალი ისეთი უკანონობების გამოვლენას, რომელიც მოსახლეობაში გამოიწვევს უკმაყოფილებას.

2014 წლის 30 ივნისს ჟ.დარასელიას მემკვიდრის, გოჩა ლატარიას სახელით შეტანილ №882014339921 განცხადებაზე, ზუგდიდის საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო სამსახურმა გაგვცა ამონაწერი, რომელშიც მოცემულია, რომ ჟუჟა დარასელიას სახელზე ირიცხება ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარში საკადასტრო კოდით 43.14.02.207, 0,214ჰა მიწის ნაკვეთი 2001 წლის 15 ოქტომბრიდან. ხოლო საკადასტრო კოდი 43.14.02.206, 0,113ჰა მიწის ნაკვეთზე ელექტრონულ ვერსიაში მონაცემები ნაპოვნი ვერ იქნა. საჯარო რეესტრს წარედგინა სათანადო დოკუმენტები, გადახდილ იქნა თანხა და მოვითხოვეთ საკადასტრო კოდი 43.14.02.207 მიწის ნაკვეთის და მასზე ჟ. დარასელიას, მისი მეგობრების გ.ზარანდიას, ა.კეკუსაძის და ი.პაჭკორიას, ნაშენები დამხმარე ნაგებობის 5X12-ზე, 60კვ.მეტრის შვილზე, გოჩა ლატარიაზე გადაფორმება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის გათვალისწინებით და არა რეგისტრაცია, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთხელ დარეგისტრირებული ქონების განმეორებით რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს.

*(გაგრძელება მე-7 გვერდზე)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უხუცესთა კავშირი „სხუნშ" კატეგორიულად მოითხოვს!

*(გაგრძელება მე-6 გვერდიდან)*

2014 წლის 28 ნოემბერს საჯარო რეესტრის ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურმა გაგვცა გადაწყვეტილება №882014632894-03 სარეგისტრაციო სამსახურის წარმოების შეჩერების შესახებ, სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენა კანონის საჯარო რეესტრის შესახებ 28-ე მუხლის „დ" ქ/პუნქტის მოთხოვნები, რომ თითქოსდა განცხადება არ იძლეოდა ნივთის გადაფორმების უფლებას, იგი დაკავშირებული ყოფილა შეზღუდვასთან და თურმე უძრავი ნივთი ზედდებაში ყოფილა საკადასტრო კოდ 43.14.01.564-თან.

ფაქტიურად აღმოჩნდა შემდეგი:

2014 წლის 28 ნოემბერს, საჯარო რეესტრმა გამოიტანა სრულიად უსაფუძვლო გადაწყვეტილება №882104632894-03, იხელმძღვანელა კანონის **„საჯარო რეესტრის შესახებ"** 21-ე მუხლით, თითქოსდა ჩვენ მოთხოვნილი გვქონდა განმეორებითი რეგისტრაცია და იმ მოტივით, რომ მიწის ნაკვეთი ზედდებაში იყო 2014 წლის მაისის თვეში აუქციონზე გაყიდულ ნოდარ არახამიას უძრავ ნივთზე საკადასტრო კოდით 43.14.01.564, გოჩა ლატარიაზე გადაფორმება შეცვალა მისი რეგისტრაციით და უარი განაცხადა. პარალელურად, ჟუჟა დარასელიას, გურამ ზარანდიას, იური პაჭკორიას, აკაკი კეკუსაძის მიერ აშენებული შენობა, დამხმარე ნაგებობა 5X12-ზე, 60კვ.მ. საკუთრებაში გაუტარა ნოდარ არახამიას. ერთი თვის შემდეგ, იმავე ნომრით შეაჩერა გადაფორმება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ მოთხოვნილ და შესწავლილ იქნა ნოდარ არახამიაზე ჟუჟა დარასელიას კუთვნილი შენობისა და სამოსახლო ნაკვეთის აუქციონზე მიყიდვის ფაქტი. აღმოჩნდა რომ, მიწის ნაკვეთი ნაშენებ შენობასთან ერთად, აუქციონის წესით მიყიდულია პეტერბურგში მცხოვრებ საეჭვო პიროვნებაზე შადიმან ქვარაიაზე, რომელმაც იგი გააფორმა ნოდარ არახამიას სახელით. მათ გამოყენებული აქვთ 2008 წელს ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სამმართველოში დირექტორი თირქიას და საჯარო რეესტრის წარმომადგენლის, პ.ღურწკაიას მიერ შექმნილი ყალბი დოკუმენტები. მასში მონაწილეობს საბროკერო ფირმა ნანიკაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც ოფიციალურად ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელებისა და მიწათმომწყობის დახმარებით მოსახლეობის დიდ ნაწილს გამოართვა 500-500 ლარი იმ მოტივით, რომ იგი დაეხმარებოდა მათ უკვე დარეგისტრირებული ქონების განმეორებით რეგისტრაციაში. ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინა საქმის შემსწავლელ პირებს, მაგრამ მათზე რეაგირება დღემდე არავის გაუკეთებია. რადგანაც დარღვეული იყო კანონი **„უძრავი ნივთის უფლებათა რეგისტრაციის შესახებ"**, მისი 28-ე მუხლის II ნაწილის გამოყენებით, იუსტიციის სამინისტროში, უშუალოდ ქალბატონ თეა წულუკიანს 2014 წლის 16 დეკემბერს, №0120415 და 2015 წლის 16 იანვარს №01/21343-ით წარედგინა საჩივრები, ეთხოვა განემარტათ, არსებობს თუ არა საქართველოში კანონი, დარეგისტრირებული უძრავი ნივთის განმეორებით რეგისტრაციაზე? პასუხის სანაცვლოდ, გენერალური ინსპექციის განყოფილების გამგემ, ნიკოლოზ აზნაურაშვილმა, 2015 წლის 9 თებერვალს, №853-ით საჩივრები და წარდგენილი მასალები გადაუგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. დღემდე მასზე პასუხი არავის გაუცია. მას შემდეგ, 2015 წლის 11 იანვარს, №01427, 2015 წლის 1 სექტემბერს №0113-103032, 2015 წლის ოქტომბერს №01/1384877 საჩივრებით მივმართეთ იუსტიციის სამინისტროს, ვთხოვეთ ჩარეულიყო საქმეში გენერალური ინსპექციის თანამშრომლები, ეცნობებინათ ჩვენთვის არსებობს თუ არა საქართველოში კანონი, დარეგისტრირებული ქონების განმეორებით რეგისტრაციაზე, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია, ხოლო ქალბატონმა კალმახელიძემ 2015 წლის 21 ივლისს №5904 წერილით გვაცნობა, რომ გოჩა ლატარიას არ გადაუფორმდებოდა იმიტომ, რომ იგი გაყიდული ყოფილა აუქციონის წესით, ხოლო მეორე ნაკვეთზე თურმე გადის გზა. მისთვის წარდგენილია ყველა ამ ფაქტების უარმყოფელი მატერიალური მტკიცებები, რომელიც მან არ გაიზიარა და ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე კონკრეტული პასუხი არ მოგვცა, ჩვენ კი ვითხოვდით საჯარო რეესტრიდან და იუსტიციის სამინისტროდან, რომ საჯარო რეესტრს ეცნობებინა ჩვენთვის ეკუთვნოდა თუ არა ნოდარ არახამიას სახელზე დღეს უკვე დარეგისტრირებული მიწის ფართობი ზუგდიდის რაიონის რაიკავშირს და ჰქონდა თუ არა მას იქ გაშენებული რაიონის პირუტყვის სასაკლაო. პარალელურად მივმართეთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, რომლებმაც მთელი ერთი წლის წვალების შემდეგ, 2015 წლის 20 ოქტომბერს გაგვცეს 2015 წლის 20 აპრილის №77249/17 წერილზე პასუხი, წერილის ნომერია: 253795, რომელშიც მოცემულია, რომ **„საქართველოს მოქმედი კანონდებლობა არ ითვალისწინებს უკვე რეგისტრირებული უძრავი ნივთის განმეორებით რეგისტრაციას, ხოლო უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით 43.14.02.207 და საკადასტრო კოდით 43.14.02.206 2001 წლიდან რეგისტრირებულია ჟუჟა დარასელიას სახელზე"**. ფაქტი მიუთითებს იმას, რომ 2014 წლის ნოემბრის თვიდან დღემდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ჟუჟა დარასელიასთან მიმართებაში არღვევს საქართველოში მოქმედ კონსტიტუციის 21-ე მუხლს, შეგნებულად, შვილს გოჩა ლატარიას არ უფორმებს სამკვიდრო ქონებას, არასდროს ჩვენ რეესტრისთვის არ მიგვიმართავს, რომ მას დაერეგისტრირებინა ჟუჟა დარასელიას ქონება. ვითხოვდით გადაფორმებას. ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენა კანონი, რომლის გამოყენების უფლება მას არ გააჩნია. ეს კი დასტურდება მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით და 2015 წლის 26 აპრილს განცხადება №77249/17-ზე გაცემული პასუხით, №124402, რომელსაც ხელს აწერს ადმინისტრაციული წარმოების სამსახურის უფროსი, ვახტანგ ბოხაშვილი, რომელშიც მოცემულია, რომ თურმე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო იყენებს დარეგისტრირებული ქონების განმეორებით რეგისტრაციისთვის ზოგად ადმინისტრაციული კოდექსს, კანონს საჯარო რეესტრის შესახებ და იუსტიციის მინისტრის ბრძანებულებებს თუ დებულებებს. ბატონს დაავიწყდა პასუხის გაცემა განცხადებაზე, რომ იგი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 თავით, 311-312-ე მუხლებით და რომ დარეგისტრირებული ქონების განმეორებით დარეგისტრირება ხდება მხოლოდ მასზე ყადაღის დადების და ჩამორთმევის ან იპოთეკის დადების შედეგად. ყოველივე ეს მოხსენდა ქალბატონ კალმახელიძეს. სანაცვლოდ იმისა, რომ მას გაეცა დავალება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის, რომ ემოქმედათ კანონით, პასუხი გაგვცა 2015 წლის 1 დეკემბერს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ნიკოლოზ აზნაურაშვილმა და მანვე გაიმეორა ის სიყალბეები, რაც თავის განმარტებაში ჩაწერა ქალბატონმა კალმახელიძემ. ერთხელ კიდევ გეკითხებით, დარეგისტრირებული, ელექტრონულ ვერსიაში გატარებული ქონების რეგისტრაცია განმეორებით ხდება თუ არა საქართველოში და რომელი კანონი არეგულირებს მას. თუ ასეთი რამ არ ხდება, რა უფლებით აწამებს და ზღუდავს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი კალმახელიძე და აზნაურაშვილი გოჩა ლატარიას. ასევე მოგახსენებთ, რომ 2015 წლის 6 ნოემბერს, მივმართეთ განცხადებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფროსს, ვთხოვეთ გაეცა მას ჩვენთვის ცნობა, ჰქონდა თუ არა საკუთრებაში ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭითაწყარში რაიკავშირის გამგეობას ხუბულავას ქუჩაზე მიწის ნაკვეთი, რომელზედაც მათ მიერ იყო გაშენებული პირუტყვის სასაკლაო მოედანი, ამისთვის ოფიციალურად გადავიხადეთ თანხა 10 (ათი) ლარი. ფაქტის დამალვის მიზნით, 2015 წლის 12 ნოემბერს, საინფორმაციო სერვისის განყოფილების უფროსმა დარეჯან გოგებაშვილმა მოგვაწოდა გადაწყვეტილება №274601, სადაც მოითხოვა ჩვენგან დამატებითი ინფორმაცია და მასთან ერთად პირუტყვის სასაკლაო მოედნის ნახაზი, კოდი და ელ. ვერსია, ე.ი. რასაც ჩვენ ვითხოვთ, ჩვენ მოგვთხოვა. ვიფიქრეთ, რომ შეცდომა იყო დაშვებული და 2015 წლის 4 დეკემბრს, განმეორებით მივმართეთ განცხადებით, გაეცა პასუხი დასმულ შეკითხვაზე, რომელიც გატარებულია საჯარო რეესტრში ნომრით 242206117. დღემდე პასუხი არავის გაუცია. გავასაჩივრეთ რეესტრის შიდა კონტროლის სამსახურში, ვთხოვეთ დახმარება, მათაც სრულყოფილი პასუხი არ მოგვცეს. ქალბატონო თეა, როგორ მოვიქცეთ? როგორც ჩვენთვის ცნობილი ხდება, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიღებული აქვს დავალება იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელებისგან, რომ ჟუჟა დარასელიას კუთვნილი უძრავი ნივთი არ უნდა გადაუფორმდეს მის შვილს, გოჩა ლატარიას. აქვს თუ არა კორუფციული გარიგების შედეგად კავშირები შადიმან ქვარაიას თქვენს თანამშრომლებთან, ეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია შემდეგი: 2015 წლის დეკემბრის თვეში, ჩატარდა ექსპერტიზა საქართველოს სამრეწველო პალატის შპს **„ზუგდიდექსპერტიზაში"**, რომელსაც კანონიერი ძალა აქვს. ექსპერტი გავიდა ჭითაწყარში, ხუბულავას ქუჩაზე, დაათვალიერა საკადასტრო კოდით 43.14.02.206, 0,113 ჰა მიწის ნაკვეთი და გასცა ოფიციალური დასკვნა, რომ გზას აქ არასდროს უარსებია და არც დღეს არსებობს. ქალბატონო თეა, პაპუნა უგრეხელიძეს და ალექსანდრე თევდორაძეს, ნიკოლოზ აზნაურაშვილს, მარიამ კალმახელიძეს, მუხლმოდრეკით ეთხოვა გასულიყვნენ ჟ. დარასელიას კუთვნილი უძრავი ნივთის დასათვალიერებლად და ენახათ გზა, მათ შეგნებულად არ დაათვალიერეს იგი და ერთი წლის განმავლობაში წამებით ამოხადეს სული და არ გადაუფორმეს მისი კუთვნილი ქონება. ეს სამართალია? მათ მიერ გაცემული ყველა გადაწყვეტილება ყალბია და ფალსიფიცირებული. იგი შეიცავს თანამდებობრივ დანაშაულის ნიშნებს, თუმცა ამის გაგება ზედამხედველ პროკურორებს და ანტიკორუფციული სამსახურის თანამშრომლებს უჭირთ. გვაძლევენ პასუხს, რომ ატარებენ სამძებრო-ოპერატიულ ღონისძიებებს, რომლითაც ვერ დგინდება დანაშაულის შემადგენლობა. გეკითხებით, გზის ნახვას რომელი სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების გატარება სჭირდება? არადა ამ პერიოდში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ორჯერ დააკავეს 5-5 დღით გოჩა ლატარიას შვილი, მას სცემდნენ და აიძულებდნენ ჩემზე ეთქვა, რომ თითქოსდა მას სურვილი არ ჰქონდა ვყოფილიყავი გოჩა ლატარიას რწმუნებული. იმ ახალგაზრდებთან მე საქმე არ მაქვს, ხოლო ეს რომ სასირცხვილო საქმეა, ეს ფაქტია. მიმდინარე პერიოდში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, გამოიტანა არასწორი გადაწყვეტილება საკადასტრო კოდი 43.14.02.207-თან დაკავშირებით. უთითებენ, რომ თითქოსდა გეოდეზიური ნახაზებით არის დადგენილი ნოდარ არახამიას სახელით ქვარაიას მიერ შეძენილი მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა. ამ პიროვნებას მისცეს უფლება, დაენგრია ჟუჟა დარასელიას ნაშენები შენობა და დაეწყო უკანონო მშენებლობა, რაზედაც დღემდე მისთვის პასუხი არავის მოუთხვია, ამით უნდათ დაფარონ კვალი. და შეუსრულებლად ტოვებენ ჩადენილ უკანონობებზე, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე შეტანილ №4027/17 საჩივარს, რომელზეც დართული მასალებით, დღემდე გოჩა ლატარიაზე უნდა გადაფორმებულიყო საკადასტრო კოდით 43.14.02.206, 0,113 ჰა მიწის ნაკვეთი. ზემოთხსენებულ ფაქტებს დეტალურად იმიტომ გახსენებთ, რომ უფრო უარესი სიტუაციებია საქართველოში მცხოვრებ მოსახლეობასთან მიმართებაში, მამაპაპისეული მიწის გადაფორმების დროს ჩადენილი. საკითხების გასწორებას სჭირდება უამრავი დრო, ყველა შემთხვევაში ქალბატონი თეა წულუკიანი უხუცესთა კავშირს გასცეს შეკითხვაზე პასუხი, ვინ და როდის გააუქმა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 16 მაისის №327 ბრძანებულება, რომელსაც კონსტიტუციური სამართლებრივი ძალა აქვს. თუ არ არის გაუქმებული და დღესაც ძალაშია, ხალხი გეკითხებათ რატომ არ უფორმებთ მამაპაპისეულ მიწას ქართველ მოსახლეობას, რით ხელმძღვანელობთ და რა უფლებით. რატომ არღვევთ საქართველოს კონსტიტუციას. ფაქტების შეუსწავლელად კანონის მიღება და მიწის ჩამორთმევა მოსახლეობაზე დანაშაულია, იგი ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, აქცევს ქვეყანას და სულს ხდის გაღატაკებულ მოსახლეობას. ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტები მრავალია. ხალხი მოითხოვს თქვენგან დაფიქრებას და კანონით დადგენილი წესით ენის, მამულის და სარწმუნოების შენარჩუნებას. ხალხს ისეთი რწმენა რჩება, რომ დღევანდელ ხელისუფლებას სურვილი უჩნდებათ ხელისუფლებაში დააბრუნონ ნაციონალური მოძრაობის წევრები. სხვა რა მიზანი უნდა ჰქონოდა მიმდინარე პერიოდში ასეთი გაუმართლებელი კანონის მთავრობაში გადაგზავნას და შემდგომ პარლამენტში წარდგენას მის მისაღებად. უხუცესთა კავშირის წევრები ითხოვენ ოფიციალურ პასუხს.

ბატონო პრეზიდენტო,

უხუცესთა კავშირის თხოვნით გთხოვთ, თუ მიიღო პარლამენტმა კანონი, და როგორც ვატყობ ჩადენილი დანაშაულის დასამალავად, მიიღებენ ამ კანონს, მას ვეტო დაადეთ. სხვა შემთხვევაში, მერწმუნეთ, ეს იქნება ქვეყნის დასასრულის დასაწყისი, რისი უფლება თქვენს ამომრჩევლებს და მათ შორის უხუცესთა კავშირს თქვენთვის არ მოუცია. კავშირის წევრებს ესმის თქვენი არაჯანსაღი დამოკიდებულება მათდამი, რომ სრულიად უსაფუძვლოდ, სასჯელს იხდის ზუგდიდელი ახალგაზრდა მამუკა მამფორია და რომ არ გაითვალისწინეთ მათი თხოვნა. მიუხედავად ამისა, იგი მხოლოდ იმ საწყალ ახალგაზრდას ეხება, ხოლო ეს კანონი კი მთლიან საქართველოს. გარწმუნებთ თქვენ, როგორც კონსტიტუციის გარანტი, ვალდებული ხართ დაიცვათ ხალხის ინტერესები.

ბატონო პრემიერ-მინისტრო,

უხუცესთა კავშირს თქვენ მიმართ აქვს შემდეგი მოთხოვნა: სცანით ეს ხალხი ქვეყნის მოქალაქეებად და ადამიანებად. მათთვის ცნობილია თუ რამ გაძარცვა და გააღატაკა ქვეყანა. გარეშე ფაქტორების გარდა ისინი თვლიან, რომ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს რომ შეესმინა მათი, და ხალხის მიერ წარდგენილი ინვესტორების გამოყენებით ჩაეტარებინათ სამუშაოები, ამოეწმინდათ მდინარე ენგური, გაეშენებინათ იქ როგორც გთხოვდნენ ნავსადგური, მაშინ საქართველოც გაერთიანებული იქნებოდა აფხაზეთთან, ლარი არ გაუფასურდებოდა და ადამიანები თავიანთ ოჯახებს ქართული ზნე-წესით და ჩვევით შეინახავდნენ. თურმე ტელეკომპანია **„ობიექტივს"** უჩვენებია იტალიაში ხელისუფლების მიერ ფაქტიურად მონად გაყიდული ქალი, რომელსაც გამოუცია წიგნი **„საქართველოს ემიგრანტი ქალები"**. უხუცესთა კავშირი თვლის, რომ ეს ამაზრზენი ფაქტია, გაიგეთ – ქვეყნის შველა და ხალხის გაბედნიერება ხელისუფლების უპირველესი ვალია. გთხოვთ შეაჩეროთ ქალბატონი წულუკიანი იმ განზრახვისაგან, რაც მას გააჩნია.

ბატონო ირაკლი,

ქ. ზუგდიდს 1991 წლის 22 დეკემბრიდან წარმომადგენელი და პარლამენტარი ამ საკანონმდებლო ორგანოში ფაქტიურად არ ჰყოლია. ქალაქის მოსახლეობა თქვენ გთვლით იმ პიროვნებად, რომელიც თქვენი წარმომავლობით ვალდებული ხართ დაიცვათ ქალაქის და მხარის მოსახლეობა იმ არაკანონიერი განზრახულობისაგან, რასაც სჩადის თავისუფალი დემოკრატების მიერ მთავრობაში წარმოდგენილი მათი წევრი (თეა წულუკიანი), შეაჩერეთ მისი ქმედება. უხუცესთა კავშირი თქვენგან მოითხოვს სამართალს და სიმართლეს, რისთვისაც თქვენ უნდა გაატაროთ ქმედითი ღონისძიებები საკანონმდებლო ორგანოში, რადგან მხარეში აღსდგეს სამართალი და სამართლიანობა. არ იყვნენ სასამართლო სისტემაში ყალბისმქმნელი და ქურდი მოსამართლეები. რეაგირება დაყენებულ საკითხებზე იყოს მყისიერი და ფაქტიური. ვიმედოვნებთ დაიცავთ მხარის მოსახლეობის უფლებებს და ბოლო მოეღება პარლამენტში თუ ქვეყანაში უკანონობას, რომელსაც ასე ხელაღებით ჩადის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, რაც იწვევს საქართველოს მოსახლეობაში ზიზღს და შურს, რამაც ფაქტიურად დაქცევამდე მიიყვანა ქვეყანა.

ბატონო ლევან, დღემდე ჩვენთვის გაუგებარია იხილავს თუ არა წარდგენილ მასალებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლები, კერძოდ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო და პროკურატურიდან ვინ კურირებს მას. როგორც ვიცით, მასალები ბატონ წულაიას დეპარტამენტისთვის არ წარუდგენია და ამდენად, იგი იგნორირებას უკეთებს საქართველოს სსსკ-ს. გთხოვთ, გამოითხოვოთ მასალები, მიგვიწვიოთ ჩვენც და შეაფასოთ როგორც წულაიას, ასევე ჩვენი ქმედებები.

გაზეთ **„ილორის"** რედაქციას,

გაახლებთ უხუცესთა კავშირის წერილს, დაკავშირებულს დარეგისტრირებული მიწების განმეორებით რეგისტრაციასთან. გთხოვთ გაეცნოთ წერილის შინაარსს და ამცნოთ ხალხს იმ უბედურებაზე, რაც მზადდება მათ მიმართ მამაპაპისეული მიწის ჩამორთმევის საქმეში.

პატივისცემით,

**უხუცესთა კავშირი „სხუნშ"-ს დავალებით,**
**ჯ. ზარანდია**

# დამაბრალეთ "რუსეთუმეობა", ამით მხოლოდ ვიამაყებ, რომ დემოტრაკი არა ვარ!

(ვაი"პატრიოტიზმისგან")

*"ვინც საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, იგი დიდს ზემოქმედებას იქონიებდა მთელს დასავლეთსა და მცირე აზიაში და სვე ბედი აზიის შესახებ პოლიტიკის ხელთ ჩაუვარდებოდა სხვათა შესახუთავად. ბევრჯერ ააოხრეს საქართველო, ხოლო გული კი ვერ შეუნგრიეს. ამ ტანჯვა-წამებით შეინარჩუნა რჯული, ენა, თავისი ეროვნული ვინაობა და ქვეყანა".*

ილია

საუკუნეების მანძილზე მუსულმანური ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქართველოს დასაპყრობად, მაგრამ კეთილგონიერებამ იმარჯვა ქართველ მეფეებში, ერთმორწმუნე რუსეთს მივანიჭეთ უპირატესობა. საქართველოს მოსახლეობა, რომელიც ოფიციალური მონაცემებით 1814წ. 400.000-მდე იყო, 1991 წლის ბოლოს 5 მილიონ 5 467 000 გახდა. დღეს რუსეთში დიდი ქართული დიასპორაა, გვაქვს ისტორიული სარწმუნოებრივი კავშირები. ევრაზიული კავშირი კი იქნება ის ეკონომიური სივრცე, რომელიც ქვეყნის მომავალ წინსვლას განაპირობებს. მიუხედავად ასეთი პერსპექტივისა, ევროპა-ამერიკის იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ჩვენი სამშობლო იმ გზაგასაყარზე დააბრუნა, რომელზეც მე-18 საუკუნის ბოლოსთვის იდგა. ჩვენთვის ცნობილია, რომ წინა ხელშეკრულების დროს საქართველომ რეგრესი განიცადა და სააკაშვილის ნატერფალზე სიკვდილის აჩრდილი რომ დაძრწის, ქვეყანაში ბოლო დროს მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამაც ცხადყო. მაშ რატომ მიუყვება ჩვენი ხელისუფლება ამ ნაკვალევს? პასუხი ერთმნიშვნელოვანია: მხოლოდ პოლიტიკური დღეგრძელობის და დასავლეთიდან მიღებული გრანტებისა თუ სხვა დაფინანსების გახანგრძლივების მიზნით. ამიტომაც არ ინება საბერძნეთის ხელისუფლების მსგავსად ეთქვა დასავლეთისათვის – არა! ამ ქვეყნის მაგალითიც საკმარისია გავაცნობიეროთ, რომ დასავლეთი ქვეყნის ეკონომიურ ანექსიას ახდენს და ხალხის ბედ-იღბალი უხერხულ ცისფერ ადგილზე ჰკიდია. სხვა ქვეყნები უარეს მდგომარეობაში არიან – მაგ. ესპანეთის საგარეო ვალი ტრილიონ ევროზე მეტია. მიუხედავად ამისა, მათ ყოველ იდიოტურ გამოვლინებას ლიბერასტები რევერანსებით ხვდებიან, რაც მონური ფსიქოლოგიის მაჩვენებელია. მსოფლიო ბატონობისკენ მიმართული ამერიკის პოლიტიკა ერთ მიზანს ემსახურება: ყველა ქვეყნის ხელისუფლება მის ინტერესებს ატარებდეს ქვეყანაში. რუსმა მწერალმა და ანალიტიკოსმა გრიგორი კლიმოვმა გონივრული ახსნა მოუძებნა იმ ძალებს, რომელიც სხვა ქვეყნის ინტერესებს ლობირებენ: **"ამა თუ იმ ქვეყნის დასანგრევად დეგენერატი, გადაგვარებული ლიდერი გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ბირთვული ომი".**

დასავლეთის ვირტუალურ, ყალბ იდეოლოგიას კარგად აუბა მხარი **"მეოცნებეთა"** პარტიამ, რომელიც იმიტომ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში, რომ თავად საზოგადოებამ ფუფუნებაში აცხოვროს, ჩვენივე გადახდილი თანხებით მსუყედ დავაფინანსოთ და ჩვენზე აღმატებულად მივიჩნიოთ კადრები, რომელთათვისაც სამშობლოს სიყვარული პირად კეთილდღეობასთან ასოცირდება. ამგვარად **"მეოცნებენი"**, რომელნიც ბიძინას ზურგს არიან ამოფარებულნი, დღეს საზოგადოებისთვის გაცილებით საშიშნი ა,რია ვიდრე ნაცები. გავიხსენოთ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინა პერიოდი: ხელისუფლებამ ხალხის გულის მოსაგებად მიიღო კანონი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, რასაც სრულიად მოულოდნელად მოჰყვა ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღება პარლამენტში, ანუ გაუკუღმართებული სექსუალური ურთიერთობა დავაკანონეთ. ამჟამად, ობამას მიერ გაკეთებული განცხადების – ერთსქესიანთა ქორწინების ყველა შტატში დაკანონების საპასუხოდ პრემიერმა ღარიბაშვილმა ხალხის გული კვლავ მოინადირა განცხადებით, რომ კონსტიტუციით გაამყარებდა საქართველოს პოზიციას. მეტიც, საზოგადოების საამებლად დ. აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაც დაანონსა ხელისუფლებაში მოსვლიდან 3 წლის შემდეგ (?!). რაც შეეხება სტალინის ძეგლს, რომლის დადგმასაც დაჰპირდა გორელებს, როგორც ჩანს, ივანიშვილთან კონსულტაციის შემდგომ გადაიფიქრა და უარი მივიღეთ, რადგან ივანიშვილის ცნობიერებით სააკაშვილი პატარა სტალინია (?!). სამწუხაროა, რომ სტალინთან მებრძოლი კიდევ ერთი ქართველი გაუზრდია საქართველოს, რაც დიდი სიბრმავეა. ფაშიზმისგან მსოფლიოს გამანთავისუფლებელი სტალინი, რომელითაც ვამაყობ, იყო გულანთებული პატრიოტი, სამართლიანი ადამიანი, რომელსაც ანალოგი არ ჰყოლია მსოფლიოში თავისი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. სტალინს ივანიშვილივით მილიონები არ უგროვებია და ქვეყანა უცხო ქვეყნის მონად არ უქცევია. მსოფლიოს გენიოსი ლიდერი, რომელსაც ჩერჩილი და რუზველტი ფეხზე უდგებოდნენ, ივანიშვილმა ფსიქოპათი, ნაძირალა სააკაშვილის სწორფერად მოიხსენია; სტალინი კიტელს და ფეხსაცმელს არ იცვლიდა ქვეყანას ტვირთად არ დააწვესო. მას ივანიშვილის ხელისუფლების მსგავსად კერძო შპს-დ არ უქცევია ქვეყანა და ქართველი ხალხის ხარჯზე მილიონები არ ჩაუჯიბავს. როგორც საინფორმაციო წყაროები მოწმობენ **"საოცნებო"** ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაცემულია 3.400 000 ლარი პრემიების სახით, დანამატების სახით 400 000 ლარი და ეს მაშინ, როცა მინისტრის ხელფასი მინიმუმზე 33-ჯერ მეტია ნაცვლად ხუთმაგი ოდენობისა.

დროა, ქართველმა საზოგადოებამ სირაქლემას პოზას და ხელისუფლების გამართლებას რომ თავის გადაწყვეტილებებში არ არის თავისუფალი – თავი anebos. სად გაქრა ქართული, კაცური ღირსება?! რატომ დარჩა უპასუხოდ გორის მუნიციპალიტეტზე განხორციელებული ზეწოლა და თითის ქნევა პოლონეთის, ლიტვის, ლატვიის და ამერიკის ელჩისგან? რატომ არის დღემდე სტალინის ძეგლი მიგდებული კარალეთის გზაზე? ძეგლებთან მებრძოლ სააკაშვილს ივანიშვილმაც მიბაძა, მაგრამ მის გენიას, რომელმაც მსოფლიო ფაშიზმისგან იხსნა, ვერასოდეს გადაფარავს. ივანიშვილ-ღარიბაშვილის გადასაწყვეტი არ არის სტალინის ძეგლის დადგმის საკითხი, რომელსაც ადგილობრივი და სრულიად საქართველოს მოსახლეობის უმრავლეობა უჭერს მხარს. ვერც ფიროსმანის სურათის საქართველოსთვის დაბრუნებით, ვერც ახალი ზოოპარკის დაფუძნებით, ვერც პანორამა-თბილისის მშენებლობით, რომელიც ძველი თბილისის იერსახეს შლის და ვერც სხვა ქველმოქმედებით ივანიშვილი ვერასდროს გადაფარავს:

– ბარბაროსობასა და ვანდალიზმს, რაც საყდრისთან მიმართებაში ჩაიდინეს! – რა არის ეს, ქართველების გულის მოგების წილ სულში ჩაფურთხება?

– ხუდონჰესის მშენებლობის გამო სვანეთის წყალში ჩაძირვის მცდელობას. ეს პროექტი მჟავანაძის პერიოდში სსრკ-ს ენერგეტიკის მინისტრმა პეტრე ნეპოროჟნიმ შეაჩერა და ხელისუფლებას მიმართა:

**ქვეყანაში შექმნილია ამერიკის მიერ ზურგგამაგრებული მეხუთე კოლონა, რომელმაც უკვე მოახერხა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერების დეფორმირება კონტროლირებადი მედიასაშუალებებით და ცდილობენ ჭეშმარიტად ეროვნული ადამიანები ქართული სახელმწიფო მტრებად წარმოაჩინონ. მათ ცნობიერებაში ყველაფერი ქართული რუსეთთან ასოცირდება. ვერავინ მპასუხობს, მივიღეთ ის ნანატრი თავისუფლება რაც რუსეთთან თანაცხოვრობით გვაკლდა?**

ნუთუ არ გრცხვენიათ საქართველოს მარგალიტი – სვანეთი წყალში ჩაძიროთ?

– ფსიქოპათი, მანიაკი, მკვლელი და ქართველთმოძულე სააკაშვილის გადარჩენას თავის კრიმინალურ ბანდასთან ერთად, რომელსაც რეაბილიტაციის საშუალებაც მისცა და სხვადასხვა ინფორმაციით, ქვეყნიდან გატანილი 19 მილიარდიც გაუთეთრა (ივანიშვილის ხელისუფლებისგან განსხვავებით სტალინი ხალხის მტრებს სასათბურე პირობებს არ უქმნიდა).

– ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას,– რამაც ქართველ ერს ღირსება შეულახა.

– ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის მავნებლობას.

მართალია, ივანიშვილის მოსვლა პოლიტიკაში წინა ხელისუფლებასთან შედარებით დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ მისი რჩეული პოლიტიკოსების მიერ განხორციელებული პოლიტიკა შორს არის ქართველთა რეალური ოცნებისაგან. **"ნეტარ არიან მორწმუნენი"**, მაგრამ საინტერესოა, რას ელიან ის ადამიანები, ვინც ივანიშვილის მეორედ მოსვლაზე ოცნებობს? ერთხელ მოსვლით ხომ პოლიტიკური ფუნა შეიტანა პარლამენტში პრეზიდენტის ჩათვლით **"ყველაფერი გაწერილია, ყველაფერი კარგად იქნება"**-ს პრინციპით, მეორედ, დიდი ალბათობით ჩვენი ცნობიერების შეცვლას შეეცდება, რათა დაგვარწმუნოს, რომ ეს მართლაც ასეა. მართალია, ივანიშვილმა ქართული ოცნება ვერ აგვისრულა, მაგრამ, სამაგიეროდ, დაინტერესდა ჰომოსექსუალი ფროიდის მოდერნიზმით ფსიქიატრიაში, რომელიც თვითმკვლელობის ფორმებს სხვადასხვა სურვილების შესრულებად განიხილავს.

მაგალითად, დახრჩობა – ორსულობას ნიშნავს, სიმაღლიდან გადმოვარდნა – ბავშვის გაჩენას და ა.შ. ეს კი ნიშნავს, რომ, თუ ვინმემ **"ოცნებისტების"** მმართველობის პირობებში თავი მოიკლა, თავისი დიდი ხნის ოცნება აუსრულებია. თუმცა, თუ ოცნება სრულდება, რა მნიშვნელობა აქვს ის ქართული იქნება თუ ამერიკული? მსგავს მოსაზრებებს სრულიად ემიჯნება ბიბლია და ნათლად განმარტავს: **"თუ ერთ ბრმას მეორე ბრმა მიჰყავს, ორივე ორმოში ჩავარდებიან".** სიბრმავეა, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ქვეყანას, ქართველ ხალხს უფსკრულისაკენ მიაქანებენ და მათგან წარსულის დავიწყებას მოითხოვენ. წარსული კი თავს არ გვავიწყებს: საქართველო იფურჩქნებოდა და ყვაოდა. გვქონდა მეცნიერებათა აკადემია, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქიმიური მრეწველობა, ელმავალთმშენებლობის ქარხანა და 75 დასახელების მძიმე მრეწველობის პროდუქცია გადიოდა ქვეყნიდან. საქართველო 95%-ით აკმაყოფილებდა სსრკ-ს მოთხოვნილებას ჩაიზე, ეს ყოველივე კი ნიშნავს, რომ ქვეყნის წინსვლით თავად რუსეთი იყო დაინტერესებული და მასთან თანაცხოვრების პერიოდში საქართველომ დემოგრაფიული, კულტურული და ეკონომიური განვითარების არნახულ მასშტაბებს მიაღწია.

დღეს ხელისუფლებას ქვეყნის პოლიტიკა საკუთარ კეთილდღეობაზე აქვს მორგებული და ივანიშვილი გვმოძღვრავს: **"ჩვენ გვყავს ძალიან წარმატებული პრემიერი და მთავრობა"** (?!). დავუჯეროთ და დეგრადირებული, გახრწნილი ადამიანების უკანალებს გადავაყოლოთ ჩვენი სამშობლო, რომელთაც **ლგბტ** თემი ღირებულებად და ახალ ფასეულობად აქციეს?!

მოკლედ შევეხები თანამდებობრივ სავარძლებს და მსუყე დაფინანსებას ჩაბღაუჭებული **„პატრიოტების"** – კახი კალაძე, ე. ჩაფიძის განცხადებებს, როცა პირველი წარსულის შეცდომებზე აპირებს **ლგბტ**-ს მიმართულებით განათლდეს და ცნობიერება შეიცვალოს, მეორე – გაგებით მოვეკიდოთო – გვმოძღვრავს. მ. კობახიძე კი ლიბერასტებს თხოვნით მიმართავს: ოღონდ პრორუსულობას ნუ დამაბრალებთ, რაც გინდათ დამაბრალეთო. საინტერესოა, **ლგბტ** თემის წევრობა რომ დავაბრალოთ, ღირსება არ შეელახება? ყველაზე მძიმე წონის **"ეროვნული"** გ. სანიკიძე საგარეო პოლიტიკის ცვლილებას შეუძლებლად მიიჩნევს. ამ **"პატრიოტებმა"** არც საკანონმდებლო ბაზა შეცვალეს და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენასაც ეწინააღმდეგებიან.

ქვეყანაში შექმნილია ამერიკის მიერ ზურგგამაგრებული მეხუთე კოლონა, რომელმაც უკვე მოახერხა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერების დეფორმირება კონტროლირებადი მედიასაშუალებებით და ცდილობენ ჭეშმარიტად ეროვნული ადამიანები ქართული სახელმწიფო მტრებად წარმოაჩინონ. მათ ცნობიერებაში ყველაფერი ქართული რუსეთთან ასოცირდება. ვერავინ მპასუხობს, მივიღეთ ის ნანატრი თავისუფლება რაც რუსეთთან თანაცხოვრობით გვაკლდა?

დღეს ქვეყნის ღალატი და რუსეთის ლანძღვა კარგად იყიდება საერთაშორისო ბაზარზე. ერთ-ერთი სატელევიზიო ეთერიდან (კავკასია) ვისმენთ: **"რუსეთი ყველაზე თავხედი ქვეყანაა მსოფლიოში".** სხვა სატელევიზიო ეთერიდან (ობიექტივი) გვესმის რიტორიკა, რომ სსრკ-ს დროს უამრავი ადამიანი დახოცეს. ეს ცალმხრივი გაშუქებაა თემისა. მაშინ პარალელი გავავლოთ თავად დასავლეთის ქვეყნებიდან წამოსულ აგრესიასთან, როცა სამამულო ომში მილიონობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. განა ფაშიზმთან გამკლავებას ქართველები შეძლებდნენ რუსების გარეშე? ასევე, აჭარის განთავისუფლებისას 1878წ., რომელიც საქართველოს დაუბრუნეს; რამდენი რუსი ეროვნების ჯარისკაცი დაიღუპა 1821წ. როცა რუსეთმა თურქეთს საქართველოს მონაწილეობით ახალციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია წაართვა. ოპონენტი მეტყვის, თუ დაუბრუნა საქართველოს, თავის იმპერიას შემოუერთაო (?!) – უმადურებო, ვის ინტერესებში იყო და ვინ სარგებლობდა ამ ტერიტორიით?

აღარავის ახსოვს რამდენი ადამიანი დაიღუპა ამერიკის მიერ ყალბი მოტივაციით ინსპირირებული ინტერვენციების შედეგად, რომელთა რიცხვი სხვადასხვა ქვეყანაში მე-20 საუკუნიდან დღემდე 45-ია? რამდენი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა 1945წ. ხიროსიმა-ნაგასაკში აშშ-ს მიერ ატომური ბომბის ჩამოგდების შედეგად? თავად ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ოფიცერი რეი მაკჰოვენი ადანაშაულებს დასავლეთს კიევის პუტჩის ორგანიზებაში და აღნიშნავს, რომ სპეცსამსახურების ვეტერანებმა წერილით მიმართეს ანგელა მერკელს და აცნობეს, რომ რუსეთი უკრაინაში არ შეჭრილა. ფაქტია, რომ რუსეთს კიევის პუტჩამდე ყირიმის მიერთება არც უცდია. მიუხედავად ამ რელობისა ყველაზე **"ეროვნული"** ტელეეთერიდან (ობიექტივი), ყველაზე **"ეროვნული"** ქართველი (თარხან მოურავი) გვაფრთხილებს: **"ნახეთ, რუსეთმა რა უქნა უკრაინას"**; შემდეგ კი უკვე **"მაესტროდან"** გვაიმედებს: **"ჩვენ ყველა ქვეყანასთან გვექნება კარგი ურთიერთობა, რუსეთთან რა, მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა"**(?!) – როგორც ჩანს შეშინებულია პრორუსულობა არ დამაბრალონო.

დასავლეთისკენ 25-წლიანი სწრაფვის შედეგია, რომ საქართველო დღეს 3 ნაწილად არის დაშლილი და ეს პროცესი რომ არ გაგრძელდეს, სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან და გავაფორმოთ სამოკავშირეო ხელშეკრულება. ჩვენი დაცვა **"ისლამური ხალიფატის"** შესაძლო აგრესიისგან და არა მხოლოდ მისგან რუსეთს შეუძლია. მოდით უფრო გარკვევით და თამამად ვთქვათ: სასწორის ერთ მხარეს დევს ამერიკის ინტერესებისადმი ერთგულება და პოლიტიკური დივიდენდები, მეორე მხარეს – დედა-სამშობლოს გადარჩენა და მადლიერი ქართველი ერი. ჩვენმა გენმოდელირებულმა პოლიტიკურმა ელიტამ პირველი აირჩია. შედეგად მივიღეთ უცხოელებზე გაყიდული მიწა-წყალი, შეტევა ზნეობაზე, დაცლილი საქართველოს სოფლები (აღწერის მონაცემებით ნახევარი მილიონი ადამიანია გასული სოფლებიდან) და უცხო თესლის ზეობა საქართველოში – დავრჩებით კი ერად? ქვეყნისთვის დამანგრეველი პოლიტიკის გატარება სადამდე მიიყვანს საქართველოს ამაზე შეშფოთებას ჯერ კიდევ 90-იან წლებში გამოთქვამდა ქართველი პოეტი:

**"რა ძნელია რუსთაველო, მეტეხო და დიღმის ველო,**

**მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო! "**

P.S. ოპონენტო ლიბერასტებო, დამაბრალეთ **"რუსეთუმეობა",** ამით მხოლოდ ვიამაყებ, რომ დემოტრაკი არა ვარ!

**იზა თამაზაშვილი**

# მოგზაურობა კავკასიაში

## სვატოპლუკ ჩეხი

*ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი*

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

მკითხველისათვის მიმინდვია წარმოიდგინოს ქალაქის აზიურ ნაწილში, ბაზრების ხმაურიან ნაკადში ჩემი პირველი მგზავრობის წამებაცა და ტკბობაც. შეუძლია წარმოიდგინოს ვეებერთელა ქვევრების, საპალნიანად წამოწოლილი აქლემებისა და ჯორების, ბრმა ციმბალისტებისა და ფლეიტისტების, მოჩხუბარი ვაჭრების, სოხანეზე ნარდის თამაშით გართული სპარსელების, ლოცვად დამდგარი თათრების, სხვა ნაირ-ნაირი დაბრკოლებათა ყველაზე უფრო გაბედული კომბინაციები. რის ვაივაგლახით გავაღწიე თავი იქაურობას. ჩემს აღშფოთებას გულგრილად შესცქეროდნენ ხანჯლითა და შაშხანით შეიარაღებული ჩამოძონძილი მამაკაცები თუ მაღალ აივნებზე ქათქათა ლეჩაქის ფრიალით გადმომდგარი შავთვალა გოგონები. ნახევრადშიშველი პატარა აზიელები ყვირილითა და ქვებით გამოუდგნენ ჩემს როსინანტს და ფეხიააჩქარებინეს, ხელად დამირღვიეს ძლივძლივობით მოპოვებული წონასწორობა; ერთს კი ვიტყვი, რომ ძლივს მოვითქვი სული, როგორც კი ჩვენი ულაყები ქალაქს გასცდნენ და წაადგნენ ფრიალო თხემს, რომელსაც ძველი ციხის ნანგრევები აგვირგვინებს.

ჩვენს ქვემოთ გადაშლილიყო თბილისის ფართე ტაფობი: დილის მზის სხივებით იყო დაფერილი ქართული ეკლესიების გუმბათები, მეჩეთების თეთრ-ცისფერი ყელი, ბანიანი სახლები, ოქროსფრად ელავდნენ რუხ პიტალოზე აღშენებულ მამა-დავითის ეკლესიასთან გრიბოედოვის საფლავის ძეგლს, მთაწმინდის ხრიოკ ფერდობებს.

დიდი ხალისით დავემშვიდობე თბილისს, ამ ვეება ქვაბულს, სადაც ორი კვირის განმავლობაში სიცხისგან ვიწვოდი და ქვიან ბილიკზე ჩორთით მივყევი ამხანაგს.

ვიღაც მორწმუნეს კლდეში გამოუკვეთია უბრალო სამლოცველო, ტლანქი ოთხკუთხა ნიში ხატიტურთ, რათა მგზავრი შეჩერდეს და უფალს ჩურჩულით შესთხოვოს მშვიდობით მგზავრობა ან მადლი მიაგოს კეთილად დაბრუნებისათვის, მაგრამ ევროპელის თვალი ღვთისმოსავ მზერას ვერ მიაპყრობს კლდის ამ საკურთხეველს, რადგან ქართველი ძალიან წააგავს ონავარ მოსწავლეთა ცარცით ნახატებს სკოლის კედლებზე.

ამიტომ ვიჩქარეთ ჭიქა ღვინით ფიზიკური ძალის მოკრეფა უახლოეს დუქანში, დუქნიდან ჩანდა თეთრი შარა, რომელზეც მიდიოდნენ ჯორებისა და აქლემების გრძელი ქარავნები.

II

დუქნის მენიუს შეადგენდა სიფრიფანა ხმიადი, მოხარშული კვერცხი, ცხვრის ყველი და თბილისელი გერმანელების დაყენებული ტკბილი ღვინო, წავიხემსეთ თუ არა, გზას გავუდექით.

მალე გავცდით შიშველ კლდეებს, ირგვლივ რომ შემოსჯარვიან თბილისს, ლეგენდარულ შხამიან ხესავით. მარცხნივ გადაჭიმულიყო ქვიშიანი, ერთფეროვანი დაბლობი. შორს ჩანდა ლითონისფრად მოლივლივე ტბა. მიწა თანდათან იმოსებოდა იმ ზღაპრული სიდიადით, რითაც ასე მშვენიერია კავკასიის წარმტაცი ბუნება. თქვენ ხედავთ მწვანე ხოდაბუნებს, ძვირფასი თვლებივით აელვარებულ თეთრ, წითელ, ლურჯ ყვავილებს, გარემო გაოცებთ არა მარტო სიმდიდრით, არამედ გაცილებით მეტად პოეტური გემოვნებით. დეკორაციული ხელოვნება არარაობად იქცევა სინატიფისა და ფერთა სასწაულებრივი ელვარების წინაშე, რაც კავკასიის ბუნებას მიუნიჭებია უსურვაზისა და სვიისათვის. მხატვარი რომ ვყოფილიყავი, კარავს დავცემდი ყოველი კორომის წინ.

მივჩერებოდი ამ ქვეყანას, როგორც სატრფოს სახეს და სულ ახალ-ახალ მშვენებას ვამჩნევდი, ისიც მიღიმოდა, სიყვარულით მთვრალი მიმზერდა, მისი სურნელოვანი ჰაერი სიყვარულის ოხვრასავით მელამუნებოდა შუბლზე, სავსებით გადამავიწყდა ჩემი ტანჯვა და უნებურად მოვწყვიტე თვალი ჩერქეზული უნაგირის ლითონის კოპებს.

გზად დიდი თუ მცირე ქარავნები გვხდებოდა, თუ შეიძლება ქარავანი ეწოდოს ხარკამეჩშებმულ ხის ბორბლიანი ურმების წყებასა და მეურმეების ჯგუფს, ყოველი წვრილმანი იქცევდა ჩემს ყურადღებას, შესაძლოა გადაჭარბებით ვაფასებდე სანახაობას, რადგან ჩემთვის ყველაფერი უცხო და უჩვეულო გახლდათ, ყველაფერი მეტყველებდა, მხიბლავდა, ნაირ-ნაირი ბალთები კამეჩების შუბლზე, უღლის განსაკუთრებული ფორმა, უცნაურად ჩაცმულ-დახურული ხალხი – ყველაფერი იპყრობდა ჩემს ყურადღებას. ზოგიერთი სურათი აღტაცებასაც კი მგვრიდა, განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში ერთი ვითარება – ლომა კამეჩშებმულ ურემში წევს ჭაბუკი, აცვია შემოსხეპილი შავი ტანსაცმელი, რომლის ზურგზე, გვერდებზე, კალთებზე ამოქარგულია რთული სახეები. გრუზა, შავ კულულებზე რუხი ყაბალახი ლამაზად მოუხვევია. სწორნაკვეთოვან მძინარ სახეს ატყვია ის ცოცხალი, სამხრეთული ინფორმატი, რაც აღგვაფრთოვანებს ხოლმე ზურილიოს ნახატებში. დაკუნთული ხელი ძილშიც კი ეთამაშება წითელ ქამარში გაჩრილ ხანჯლის მოსავათებულ ტარს, უღელზე წამოსკუპებულა პატარა, გაშანტლული გოგონა, შიშველ მკერდზე ჰკიდია ასხმული ლითონის წვრილი მონეტები, ყურის ბიბილოებში გაყრილი აქვს თითბრის რგოლები. ურმის გვერდით დიდის ამბით მიაბიჯებს მწვანეჩალმიანი თეთრწვერა მოხუცი. აცვია განიერი, ფართხუნა ხალათი, ზედგამოჭრილი ბიბლიური პატრიარქია.

რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო დიდებული ელფერი ედება გარემოს. ციცაბო ქარაფებს ჯაგები მოსდებია, მათ წიფლის ტყეებით დაბურული ღრმა ხეობები ცვლის. თვალი შეჰხარის ასკილისა თუ კუნელის გადაპენტილ ბუჩქებს.

დავძლიეთ დაყუდებული კლდე. უცებ, თითქოს იქაურობა ტიტანის მახვილს გაუკვეთია, დავინახეთ განიერი და ღრმა ნაპრალი, ჩვენი ტაიჭები ფრთხილად გადადიოდნენ ტლანქად გაჩორკნილი მორების ხიდზე, ძრწოლით ჩავცქერით თავბრუდამხვევ უფსკრულს. გვახსენდება სეზამის ლეგენდა. მერე გაოცებულ მზერას მივაპყრობთ გაღმა მხარეს, სადაც ჩანს რაღაც იდილიური პეიზაჟის ნაწილი.

გზას განვაგრძობთ, მარჯვნივ წიფლები ჩარიგებულა, მათ ვარჯებში ზეცა მჭვირვალებს და ჩანს მეზობელი ხეების კენწეროები, ამაზე ვატყობთ, რა დამრეც კბოდეს მიუყვება ხეთა ჯარის უკანა რიგები უფსკრულისაკენ, საიდანაც შემოგვცინა იმ მომაჯადოებელმა პეიზაჟმა.

ჩემი ყურადღება ისევ მიიპყრო შიშველ კლდეზე წამოჭიმულმა ციხე-ბურჯმა. რომელიღაც პირქუში ციხე-სიმაგრის ნაშთიღა შემორჩენილიყო კბილებჩაცვენილ ყბასავით.

– შეხე, ძმობილო, მეუბნებოდა ჩემი თანამემამულე,– ამ ციხეში მალავდა ქორ-ოღლი თავის ცოლებს.

– ქორ-ოღლი ვინღაა?

– ე, ვინა? ყაჩაღი იყო, თათარი მძარცველი, იტაცებდა ლამაზ ქალწულებს, ვაჟკაცურ სიმღერებს თხზავდა, ყოველმა თათარმა ზეპირად იცის ლექსიცა და სიმღერის კილოც.

მწველი სურვილი აღმიძრა – ახლო გავცნობოდი დანგრეული ციხის ყოფილ პატრონს. პიროვნებამ, რომელიც თავის თავში აერთიანებს ერთდროულად ორ ესოდენ საინტერესო მიდრეკილებას, სრული სიახლისა და ორიგინალობის მძლავრი მომხიბლავობით, აღმოსავლეთის ზღაპრულობით გასხივოსნებულმა, უცებვე დამიპყრო. ჩემი წარმოსახვა წამდაუწუმ უბრუნდებოდა მაჰმადიანი მომღერლისა და ყაჩაღის პიროვნებას. იმედი მაქვს, ნებას დამრთავთ, რამდენიმე სიტყვით წარმოგიდგინოთ ეს ორიგინალური და განსაკუთრებული პიროვნება.

შუა აზიის მაჰმადიანური ტომებისათვის ქორ-ოღლი იგივეა, რაც სერბებისათვის მეფისწული მარკო. ბრმა ყარიბი მომღერლები – აშუღები ადიდებდნენ თავიანთ გმირს და საკუთარ მონათხრობში საგმირო სიმღერებს ჩააწნავენ ხოლმე. აშუღი მსმენელთა ბრბოს რომ შემოიკრებს, გმირის ავანტიურისტული ცხოვრების რომელიმე ეპიზოდს უამბობს და ლაგამს მიუშვებს საკუთარ წარმოდგენას. რამდენადაც ვიცი, ალექსანდრე ხოჯკომ თავი მოუყარა რაფსოდიულ ნამსხვრევებს, რომელიც გამოსცა კიდეც ინგლისურად **„სპარსული ხალხური რომანის“** სახელწოდებით.

ქორ-ოღლის სახეში გამოიკვეთა ეროვნული გმირი, როგორადაც წარმოუდგენია იგი ველურ, ავაზაკ ქურთს, თურქებსა თუ სხვა ამ მხარეთა მონათესავე მაჰმადიანურ ტომებს. გამბედაობა და სიჩაუქე, სილაღე, ველური სიამაყე, დაუნდობლობა და ანგარება, მეგობრის გატანა, სახელის მოხვეჭა, ბრმა რელიგიური მგზნებარება და ყველაფერში ცეცხლოვანი მგრძნობიარობა – აი, მთავარი თვისებანი ჩვენი გმირის სახისა.

ყოველივე ამას შვენის პოეზიის ათინათი, ქორ-ოღლიც გვარიანი პოეტია, მისი სიმღერები ინახავენ არაერთ ბრწყინვალე მარგალიტს, ცოცხლობენ და კიდეც დიდხანს იცოცხლებენ ერთმორწმუნეთა და თანატომელთა ზეპირსიტყვიერებაში.

ქორ-ოღლი ტომით თურქმენია, ცხოვრობდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში და თავის სიმღერებს სპარსულ-თურქმენულ კილოზე ქმნიდა.

ახლა ვნახოთ, როგორ წარმოსახავენ ქორ-ოღლის პიროვნებას მისი ყარიბი მგოსნები. როგორც წესი, იგი ჩვეულებრივი კაცის სიმაღლისაა. იკარგება ბაზრის საჭადრაკო დაფის დანარჩენ ფიგურათა შორის, მაგრამ ზოგჯერ ზღაპრულ გოლიათად აქცევენ მომღერლები, მაშინ იგი მინარეთის სიმაღლეს უსწორდება. უზარმაზარ ულვაშებს ყურს უკან გადაიგრეხს, მთელ ულუფა ფლავს სტომაქში გადაუშვებს, იფხანს გვერდს, რომელსაც მისი მოტაცებული ათი ლამაზმანი ჩაფრენია და მშვილდს მოზიდავს ფეხის ცერით, ისრებს სტყორცნის დასადევნებელი ბოჩოლებივით.

თარგმანი ალ. კაკულიასი

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# უკრაინის სააკაშვილიზაცია

*(გაგრძელება მე-4 გვერდიდან)*

**“ბედნიერი კომპანიების სიაში”**, ძირითადად, მოხვდნენ სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი ორგანიზაციები, მეტალურგიული და სატრანსპორტო საწარმოები, დისტრიბუტორი კომპანიები. მაგალითად, **“უკრტატნაფტა”, “აზოვსტლი”, “პორტინვესტ ლოჯისტიკი”, ფაბრიკა “სვიტოჩი”, “ukrimport KV”, “მედფარკომ-ცენტრი”, “ჰიუნდაი მოტორუკრაინა”, ოდესის კონიაკის ქარხანა, “ოდესავინპრომი”**, ოდესის პორტისპირა ქარხანა და სხვ.

ნდობის კრედიტი მიიღეს სავაჭრო ქსელებმაც: **“ტავრიამ”, “ტავრია პლუსმა”, “ანტოშკამ”, “მეტრომ”, “ფოზზი ფუდმა”** და სხვ.

ეს კინო ხომ უკვე ნანახი გვაქვს ქართველებს? – **“შემოწირულობებით”** უზარმაზარი თანხების მოზიდვა ხომ სააკაშვილის რეჟიმის ნაცადი მეთოდია?!

რამდენიმე დღის წინათ ტელეკომპანია **“რუსთავი 2”**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა განაცხადა, რომ თავისი პოლიტიკური ამბიციების რეალიზებას უკრაინაში აპირებს.

**“ჩემი მოღვაწეობა უკრაინაში გადამწყვეტია ჩემს ცხოვრებაში. ჩემი პოლიტიკური ამბიციები პრემიერ-მინისტრის პოსტზე მაღლა დგას (?! – ნ.კ.) მინდა, უკრაინაში ახალი წესები დამკვიდრდეს და ახალი პოლიტიკური ელიტა მოვიდეს”.**

უკრაინაში გავლენითა და ძალაუფლებით პრემიერ-მინისტრზე მაღლა პრეზიდენტი დგას და, როგორც ჩანს, სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტის პოსტს უმიზნებს. პეტრე პოროშენკოს ტყუილად ნუ ექნება სააკაშვილის იმედი, რომელიც სწორედ თვითონ დანიშნა (ამერიკელთა მითითებით) ოდესის გუბერნატორის პოსტზე. ამერიკელების ძაღლისშვილი სააკაშვილი მას ისევე არ დაინდობს, როგორც არ დაინდო ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც პოლიტიკურ ასპარეზზე გაუკვალა გზა.

ძალაუფლებისადმი სააკაშვილის სიყვარულსა და ბრძოლის მეთოდებზე კი **“საქართველო და მსოფლიო”** არაერთხელ წერდა. არაერთხელ გვითქვამს, რომ სააკაშვილის მოღვაწეობა დაფუძნებული იქნებოდა იმ მეთოდებზე, რომლებსაც წლების განმავლობაში იყენებდა საქართველოში. და ჩვენი წინასწარმეტყველება ახდა, ახდა იმიტომ, რომ ჩვენ ეს ყველაფერი საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ და ვიცით, რომ მგელი მგლობას არ მოიშლის, მის თავზე რამდენჯერაც უნდა წაიკითხო სახარება.

ნიკა კორინთელი

# საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს!

**მოგესალმებით და საუკეთესო სურვილებით მოგიკითხავთ. გისურვებთ თქვენ სამსახურეობრივ საქმიანობაში წარმატებას!**

**ბატონო პრემიერო,**

**მოგმართავთ წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგალის „ლესალე“-ს უბნის მცხოვრები. ადგილი, სადაც მე ვცხოვრობ, არქეოლოგიური მნიშვნელობის გახლავთ. ისტორიული ძეგლი, რომელიც ამ ტერიორიაზეა განთავსებული, სავარაუდოდ, განეკუთვნება უძველეს ისტორიულ პერიოდს.**

**2015 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ამ ადგილების შესასწავლად ჩამოვიდა მეცნიერთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანელი მეცნიერი ანეგრეტ პლონტკე ლუნინგი. მეცნიერების მიერ ჩატარდა წინასწარი დაზვერვითი სამუშაოები. დადგინდა, რომ ეს ძეგლი მოიცავს უნიკალურ ისტორიულ ღორებულებებს. ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ნაპოვნია უძველესი, მაღალი ისტორიული ღირებულების მქონე ნივთები. თუ დაფინანსება იქნება, მიმდინარე წელს უნდა დაიწყოს კვლევითი სამუშაოები ამ ტერიტორიაზე.**

**ისტორიული ძეგლისკენ მიმავალი გზა (საუბარია გზის ნახევარკილომეტრიან მონაკვეთზე) ორჯერ დაიმეწყრა. საკუთარი სახსრებით აღვადგინე დამეწყრილი მონაკვეთი, ასევე საკუთარი სახსრებით გავიყვანე წყალსაწრეტი არხი და გზას ნაწილობრივ ჩავუტარე მოხრეშვითი სამუშაო, მაგრამ, ჩემი მწირი შესაძლებლობიდან გამომდინარე, არ გამაჩნია იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ 100%-ით მოვახდინო გზის აღდგენა-მოწესრიგება.**

**ეს გზა რამოდენიმე ოჯახს ემსახურება. ასევე ემსახურება სოფლის სასაფლაოს, ისტორიულ ადგილებს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ეს ისტორიული ძეგლი არ არის შესწავლილი მეცნიერების მიერ, უცხოელი ტურისტები მაინც აწყდებიან ამ ტერიტორიას. პრობლემას უგზოობა ქმნის, სოფელი კი სხვა მრავალი პრობლემის გამო იცლება მოსახლეობისაგან.**

**ბატონო პრემიერო,**

**მოგმართავთ თხოვნით, წალენჯიხის რაიონის ხელმძღვანელობას, კერძოდ კი რაიონის გამგებელს ბატონ გოგა გულორდავას, გთხოვთ, მისცეთ მითითება, რათა დაგვეხმაროს ამ გზის აღდგენა-მოწესრიგებაში. ასევე, იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფოს დააფინანსებს ამ ისტორიული ძეგლის კვლევითი სამუშაოებს, რაც ეს ხელს შეუწყობს რეგიონში ტურიზმის განვითარებას და, ასევე, შეაჩერებს მოსახლეობის მიგრაციას.**

**ღრმა პატივისცემით,**

ლაშა ღვინჯილია,
წალენჯიხის რაიონი, სოფელი ჯგალი

# მხოლოდ ოცდათხუთმეტის? ანუ, მერე ადამიანები აღარა ვართ?

ოცდათხუთმეტს გადაცილებული ადამიანებისადმი ხელისუფლების არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ, რომელიც ლამის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ავიდეს, კანონგარეშე გამოაცხადა უამრავი პროფესიონალი. სამწუხაროდ, ასეთია დღევანდელი საქართველოს **"ნაჩალნიკის"** – ამერიკის უმთავრესი მოთხოვნა.

ყველა იმ უბედურებათა შორის, სააკაშვილის ჯოჯოხეთური რეჟიმის დამყარებიდან თავს რომ დაატყდა საქართველოს და ქართველებს, ერთი უმთავრესთაგანია საარსებო საშუალების – სამუშაოს გაქრობა. იქიდან მოყოლებული, ადამიანების უმრავლესობისათვის აუხდენელ ოცნებად გადაიქცა, თუნდაც უმწირესხელფასიანი სამუშაოს შოვნა. დიქტატორული რეჟიმისგან ჩალის ფასად გაყიდულ-გაუქმებული საწარმო-დაწესებულებებიდან დათხოვნილ-გამოყრილი და უსახსროდ დარჩენილი ხალხი სულს ღაფავს შემაძრწუნებელი შიმშილის, უიმედობის, არნახულად მოძალებული ავადმყოფობის გამო და ჯერ

**უსახსროდ დარჩენილმა ყველანაირი იმედი დავკარგე, ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ შრომისუნარიან, ცხოვრების მოზრდილი მონაკვეთის გავლილ ადამიანს არარაობად, საზოგადოებისათვის მძიმე, უსარგებლო ტვირთად მთვლიდნენ.**

კიდევ გარჯა-დასაქმების შემძლე, ოდნავმბჟუტავი იმედშემორჩენილი მოელის დღეში, თუნდაც, ერთლარიანი სამუშაოს შოვნას. გაფაციცებით კითხულობს ხალხმრავალ ადგილებში მდგომი აგენტებისაგან ხელში ჩაჩრილ **"სამუშაოს"** შეთავაზების მაუწყებელი ქაღალდის ნაგლეჯებს, კედელ-ბოძებზე გაკრულ მოწოდება-მიპატიჟებებს, საგაზეთო და ინტერნეტ-განცხადებებს.

მაშინ იყო სწორედ, რომ იმ ავადსახსენებელ რეჟიმს შეეწირა ჩვენი გაზეთიც და ვერავისგან დაუფინანსებელ-ხელშეუშველებულმა, არსებობა შეწყვიტა. ასე ვიწვნიე უმუშევრის მწარე ხვედრი და წოდება, უსახსროდ და სრულიად უიმედოდ დარჩენილმა. და, მას მერე, დღემდე გამომავალ სამარცხვინო, პრიმიტიულ ჟურნალ-გაზეთებში ვერსად მოვიკიდე ფეხი. ვერც ბაზრობებზე და ქუჩებში შევძელი სიგარეტ-ტუალეტის ქაღალდის გასაღება და უამრავი ჩემნაირივით სახლში გამოვიკეტე. თუმცა, შიგადაშიგ, ზემოხსენებული განცხადებების წყალობით, მაინც შევეცდებოდი ხოლმე და მითითებულ მისამართზე შემოთავაზებული **"სამუშაოს"** მიღების იმედით ვაკითხავდი **"ფირმა-კომპანიებსა"** და ჟურნალ-გაზეთებს. მისვლით კი მივდიოდი, მაგრამ მალევე უკან ვბრუნდებოდი შეურაცხყოფილი და აბუჩად აგდებული. წიხლის კვრის მიზეზი თითქმის ყველგან ერთნაირი იყო – ასაკი! ჩემი შევერცხლილი თმის დანახვაზე დამხვდურნი უტიფრად, ირონიულად და ზიზღით მეკითხებოდნენ წლოვანებას. პასუხმიგებულები, კიდევ უფრო იზაფრებოდნენ და გაღიზიანებულები განმიმარტავდნენ: **ჩვენ მხოლოდ ოცდათხუთმეტ წლამდე პიროვნებები გვჭირდებიანო!** მართალია, ერთ-ორ **"ფირმაში"** ასაკმა ორმოცდაათამდე აიწია, მაგრამ, სამაგიეროდ, სანუკვარი ადგილის მოსაპოვებლად წინასწარ, სულ ცოტა ასი ლარი უნდა გამეღო გასასაღებელი **"ნაწარმის"**, სინამდვილეში უვარგისი ხარახურის შესასყიდად. უკლებლივ ყველა ასეთი **"სამუშაო"** კარდაკარ წოწიალისა და დამამცირებელი ფორმისა იყო.

რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთებს, იქაც, ძირითადად, ჭაღარა მიფუჭებდა საქმეს და უარმიღებულს უცერემონიოდ მისტუმრებდნენ. იქ, ასაკთან დაკავშირებული მოთხოვნა კიდევ უფრო ულმობელი გახლდათ – სავარძელში გადაწოლილი ოცი-ოცდაორი წლის **"რედაქტორები"**, შუბლშეჭმუხნულები ზოზინით და განგებ ხმადაბოხებულები მაუწყებდნენ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ერთიანობაში **"ჩართული დემოკრატიული და დამოუკიდებელი ქვეყნის განახლებულ ტელერადიოკომპანიებსა და პრესას მხოლოდ ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის მაღალპროფესიული, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე, ნიჭიერი, ბევრის მცოდნე და აღმქმელ-გამაანალიზებელი"**, უკიდურეს შემთხვევაში, ოცდაათ წლამდე კალმოსნები სჭირდებოდათ.

უსახსროდ დარჩენილმა ყველანაირი იმედი დავკარგე, ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ შრომისუნარიან, ცხოვრების მოზრდილი მონაკვეთის გავლილ ადამიანს არარაობად, საზოგადოებისათვის მძიმე, უსარგებლო ტვირთად მთვლიდნენ.

...ივლისის მზიან დილას საპარიკმახეროში, ხელოსნის გათავისუფლების მომლოდინემ, გაზეთი გადავშალე. ჩემდაუნებურად, უპირველესად, განცხადებებში შემოთავაზებული **"სამუშაოები"** ჩავიკითხე. ბოლო განცხადებაზე შევჩერდი: **"ჟურნალი "მე და შენ" კონკურსის წესით სამუშაოდ იწვევს ოცდაათ წლამდე, გამოცდილ, პროფესიონალ ჟურნალისტს"**. მინიშნებული ტელეფონის ნომერი დავიმახსოვრე და მერე, ხელოსანს, თმის **"ნულზე"** გადაპარსვა ვთხოვე.

შინ დაბრუნებულმა უმალ რდაქციაში დავრეკე. ახლად წამოჩიტული გოგონას შესახებ მკითხა და როდესაც ოთხ ათეულს გადაცილებულმა ვუპასუხე, ოცდარვისა ვარ-მეთქი, მხოლოდ მერე ინება საუბრის გაგრძელება და საკმაოდ გატყლარჭულად განმიმარტა, რომ ერთი კვირის შემდეგ, გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებლად უნდა წარმედგინა პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაცია.

მოსამზადებლად დრო საკმარისი მქონდა. ტანად საკმაოდ კაფანდარა გახლდით, ამიტომ უპირველესად, ჭაღარაშერეული თმის პრობლემა უნდა მომეგვარებინა. **"შვარცკოფის"** ფირმის საღებავმა კუპრივით გამიშავა ხელისშემშლელი ვერცხლისფერი პაწაწინა ღერები და სარკიდან შვიდი-რვა წლით ასაკდაკლებულმა ორეულმა შემომხედა. მერე წვერს მივხედე. ელექტროსაპარსით გაპარსვისას, დღის მეორე ნახევარში წვერი მაინც მეზრდებოდა და ჭაღარა იქაც იჩენდა ხოლმე თავს. ამიტომ აუცილებელი შეიქნა უსაფრთხო საპარსით რამდენჯერმე ჩამოპარსვა და ეს საშიშროებაც გაქრა. ასაკმა კიდევ უფრო მოიკლო. ჯერი ჩაცმულობაზე დადგა. მეორადი მოხმარების მაღაზიაში პალმებითა და სპილო-თუთიყუშებით მოხატული რამდენიმე პერანგი შევიძინე, ზედ რომ დააკვდებოდნენ ნაირფერ ჯინსებსა და სქელლანჩიან ბოტასებს. ამით ასაკის მტკივნეული საკითხი მთლიანად მოვაგვარე.

კონკურსის ჩატარების დღეს, უთენია შევუდექი სამზადისს. თმა წინადღის შეღებილ-მოწესრიგებული მქონდა, წვერი ორსამჯერ კანის გადაძრობამდე ჩამოვიპარსე, გატკიცინებულ ჭრელა-ჭრულა პერანგსა და ჯინს-ბოტასებში გამოვეწყე, გულისჯიბეში **"ქემელის"** სიგარეტის კოლოფი ჩავიდე, მზის სათვალე შუბლს ზემოთ ავიწიე და საღეჭი რეზინით პირგამოვსებულმა, დასახელებულ მისამართზე მინიშნებულ რედაქციას მივაშურე.

მოზრდილ ოთახში, კედლებთან მიდგმულ მაგიდებთან უწვერ-ულვაშო, მუცლებამდე ღილებჩახსნილი პერანგებიანი ჭაბუკები და თამამად გაშიშვლებული გოგონები კომპიუტერებთან **"მუშაობდნენ"**. კარის გაყოლებაზე ჩამწკრივებულ სკამებზე გარინდებული გოგო-ბიჭები ისხდნენ. მივხვდი, ჩემი კონკურენტები იყვნენ. მეზობელი ოთახის კარი გაიღო და მოკლეკაბიანი, ნაირფრად სახე-თმაშეღებილი გოგო თავის კბილა სახეაწითლებულ გოგონას გამოუძღვა. აშკარა იყო, კონკურსის მონაწილე გასაუბრება-გამოცდაში ჩაჭრილი ბრძანდებოდა, რადგან გარეთ გასული, მალევე შემობრუნდა დავიწყებული ხელჩანთის წასაღებად.

ჩემს წინ შესულები მალე გამოიკრიფნენ რედაქტორის ოთახიდან და მდივანმა თვალით მანიშნა. ოცდახუთიოდე წლის საკინძეჩახსნილმა, კომპიუტერს მიშტერებულმა რედაქტორმა უინტერესოდ შემავლო თვალი და მცირეოდენი დუმილის შემდეგ უხალისოდ მკითხა ასაკი. პასუხის შემდეგ კევის ღეჭვა განაგრძო და ხელით გაზეთის მოწოდება მომთხოვა. გაზეთის დასახელების დანახვაზე, უკვე ინტერესშერეული მზერა მომაპყრო და გვარი მკითხა, გაზეთი გაშალა და ჩემი გვარმოწერილი წერილი მოძებნა. სათაურის წაკითხვის შემდეგ ისევ შემომხედა და კითხვა დაიწყო. მდივანმა ჩაციებული **"ფანტას"** ბოთლი შემოუტანა. რედაქტორმა სასმელი მოსვა, **"მულტიფილტრის"** სიგარეტს მოუკიდა. ფეხზე მდგომს ისე შემომხედა და... მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ხანმოკლე ლაპარაკის შემდეგ, მოსაუბრეს კონკურსანტებთან დაკავების შესახებ უთხრა და აპარატი გამორთო. წერილის კითხვა აღარ გააგრძელა და ჩემი საქმიანობით დაინტერესდა. მერე, ბოთლი ბოლომდე დაცალა და პასუხის შესატყობინებლად, ჩემი ტელეფონის ნომრის დატოვება მაუწყა.

ორი კვირის შემდეგ მდივანი თიკა შემეხმიანა, კონკურსში გამარჯვება მომილოცა და რედაქციაში დამიბარა.

დათქმულ დღეს, ჩვეულ ფორმაში მყოფი გამოვცხადდი რედაქციაში. უკვე თანამშრომელი გოგო-ბიჭები ცნობისმოყვარეობით შემომყურებდნენ და ღიმილით მესალმებოდნენ. რედაქტორმა თაზომ ხელი ჩამომართვა, მარცხენა წარბაწეულმა გამარჯვება მომილოცა და ამჯერად, დაჯდომა შემომთავაზა. შუბლშეჭმუხვნილმა სიგარეტს მოუკიდა და ჟურნალის სამზარეულოში ჩამახედა, დაწვრილებით გამაცნო სამომავლოდ გასაკეთებელი და როგორც ასაკით ყველაზე უფროსსა და გამოცდილ ჟურნალისტს **"ძალზედ საპასუხისმგებლო"** დავალება მომცა – ერთ-ერთი პარტიის თავკაცის ცხოვრება-საქმიანობაზე მწვავე, მკითხველის დამაინტერესებელი წერილი უნდა გამეკეთებინა.

ოთხი დღე დამჭირდა ერთი საქმოსანი, გაქნილი პარტიული ბოსის ხელში ჩასაგდებად. გაიძვერა არსების ოფისში ოთხსაათიანი საუბრის დროს შეპირებულ ვითომდა მიამიტურ კითხვებს, დამხვდური მოქნილად უხვევდრებდა ასევე ვითომცდა უწყინარ პასუხებს. თუმცა, საბოლოოდ, ერთგვარად მაინც შევძელი არამზადა არსების ავანჩავანის თვალს მიფარებული ბნელი ამბების გაგება. კიდევ ოთხი დღე, მოპოვებულის დამუშავებასა და საჭირო ფორმა-შინაარსის მორგებას მოვანდომე და გვარიანად მოზრდილი ნაღვაწი თაზოს მაგიდაზე დავუდე. რედაქტორმა, ერთი კვირის შემდეგ, ხუთ-ექვს ადგილზე წითელი ფერის სიტყვებით **"ჩასწორებული"** ნაშრომის თაობაზე სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე მადლობა მომახსენა. ერთი-ორმა კოლეგამ შურშეპარული მზერა შემავლო და დანარჩენებივით წაკითხვის სურვილი არ გამოთქვეს გამოქვეყნებამდე.

ასე დავიწყე ჩვეულებრივი ჟურნალისტური საქმიანობა. არ ვიცი, ასაკისა თუ გამოცდილების გამო, რედაქტორი მე მავალებდა **"პრობლემური"** თემების გაშუქებას. თანამოკალმეებიც შეეჩვივნენ ამას და აღარავინ მიყურებდა განაწყენებულ-ალმაცერად, ზურგს უკან აღარ ჩურჩულებდნენ მათგან განსხვავებულ ჩემს ანაზღაურებაზე. მეც შეძლებისდაგვარად ვცდილობდი მათთვის ფეხის აწყობას და ყოველთვის ვმონაწილეობდი დაბადების დღეებისა თუ სხვარამ დროის გასატარებელ თავყრილობებში. ცხადია, დაბადების დღის აღნიშვნის რიგმა ჩემამდეც მოაღწია და ტრადიციულად, რედაქციასთან ახლოს მდებარე რესტორანში აღვნიშნეთ. თაზომ და კოლეგებმა მშვენიერ საჩუქართან ერთად იმ დღეს ორმოცდაოთხი წლის მიმთვლელს, სიყვარულით მომილოცეს... ოცდაცხრა წელი.

გამოხდა ხანი. უკვე აღარავინ ამჩნევდა ჩემს თმასა და წვერში მეჩხერად გამორეულ ჭაღარას, რადგან ძველებურად მოკლედ შეკრეჭილ თმას ხშირად აღარ ვიღებავდი, წვერსაც ისევ ელექტროსაპარსით ვიპარსავდი, ტანსაცმელსაც ზომიერად ვიცვამდი და ბოტასებიც სამუდამოდ დავივიწყე.

ჟურნალში საქმიანობის რვა თვის შემდეგ თაზომ მოადგილეობა შემომთავაზა და ყველანაირი საქმე გადმომაბარა, თავად კი ზოგჯერ, რამდენიმე დღეც არ გამოჩნდებოდა ხოლმე. ფინანსურად შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებულები ვიყავით, ჟურნალი კარგად გვისაღდებოდა. რაც მთავარია, რედაქტორი არ გვემდურებოდა და ზოგჯერ პრემიებსაც ჩამოგვირიგებდა ხოლმე.

ასე გაილია ორი წელიწადი. მანამდე ოცდაათ წლამდე ახალი თანამშრომლის მოსურვილე რედაქტორსა და კოლეგებს, ჩემი ჭაღარა თმა-წვერის მაყურებლებს, ერთხელაც აღარ გახსენებიათ, არ ვიცი, ვისგან მოგონილი ეს უაზრო, ადამიანის შეურაცხმყოფელ-დამამცირებელი მოთხოვნა, რადგან ერთმანეთს კარგად შეჩვეულ-შეწყობილებს, არასდროს მოგვსვლია თუნდაც მცირეოდენი უსიამოვნება და უთანხმოება. ის კი არა და, როდესაც ერთი კოლეგა სამუშაოდ სხვაგან წავიდა, ახალი თანამშრომლის მისაღებად გაკეთებულ საგაზეთო განცხადებებში, მისაღები პიროვნების ასაკი აღარ იყო მითითებული.

გულსატკენია, რომ ასაკთან დაკავშირებული ეს უმსგავსობა მხოლოდ თაზომ უარყო, მხოლოდ იგი მოეგო გონს და ჩვეულებრივ, საღად, ადამიანურად მოაზროვნე პიროვნებად გადაიქცა. ჩანდა, მსგავსმა პროცესმა და სახეცვლილებამ სხვებამდე ჯერაც ვერ მიაღწია, რადგან მხოლოდ ოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის ადამიანების სამუშაოზე მიმღებთა მაუწყებელი განცხადებები ისევ ქვეყნდება გაზეთებში, გადაიცემა ტელევიზიით.

საინტერესოა, ნებისმიერი სიახლის შემოღება-დანერგვისას, უმალ უცხოეთში მიღებულს რომ მოვიშველიებთ ხოლმე, იქაც ოცდათხუთმეტ წლამდე მიიჩნევენ სრულყოფილ ადამიანებად, თუ, თუნდაც ერთი დღით ამ ასაკს გადაცდენილებს ჩვენსავით არარაობებად, არაფრის მაქნისებად, დროულად მოსაცილებელ ზედმეტ ადამიანებად თვლიან?

მაშინ, როდესაც, ახლანდელი **"კონსტიტუციით"**, ქვეყნის პრეზიდენტად გახდომის უფლება მხოლოდ ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებულ პიროვნებებს შეუძლიათ!

რატომ?..

იმიტომ, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი ღრმად დაჯერებულნი გახლავან იმაში, რომ უფალმა მხოლოდ ისინი და გარემომცველნი მათნი ჩათვალა ღირსად, ოცდათხუთმეტ წელს ზემოთ ამა ქვეყნად არსებობისათვის. დანარჩენნი კი, მათი აზრით, თურმე, არარაობად მიუჩნევია და არამც თუ ოცდათხუთმეტამდე, უფრო ადრეც იმქვეყნად გასასტუმრებლად გაუმწესებია. ალბათ, სწორედ ამ თავიანთი დებულებით ხელმძღვანელობდნენ სააკაშვილი და მისი ხროვის წევრები და შეუბრალებლად ანადგურებდნენ ჯიშს იბერთა.

თუმცა, მოვა დრო და იგი მალე გამოჩნდება ოცდათხუთმეტს გადაცილებული რაინდი და დიდი წინაპრის დარად, გაქრობისაგან იხსნის იბერთ ქვეყანას, გადაარჩენს ჯილაგს იბერთა.

**ბელა ჯიღაური**

---

სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს მოძრაობის უძველეს წევრს, ბატონ ბაკა თოდუას უსაყვარლესი ბიძის,

თამაზ დიდიშვილის

გარდაცვალების გამო...

# ქვა-ღორღით ნუ ჩაუხერგავთ გზა-სავალს და ნუ გადაუკეტავთ მომავალს, თანამედროვე და შემდგომ თაობებს, კეთილშობილო ადამიანებო!

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

აი, რა განაცხადა მაშინ ქვეყნის პირველმა პირმა ე. შევარდნაძემ: **„ამ მეგრელებს მე თვითონ ჩემი ხელით დავსერავ დანით და ჭრილობაში მარილს ჩავუყრი“** (მსგავსი რამ ჰიტლერსაც არ განუცხადებია). მეორე პირმა ჯ. იოსელიანმა კი ასე დააკონკრეტა: **„ეს მეგრელები უნდა ამოვხოცოთ და მათ ადგილას სხვა ხალხი უნდა დავასახლოთ“**-ო..

ძალისხმევა არ დაუკლიათ, ვერ შესძლეს თორემ. ყველაფერი ეს, მხოლოდ იმისათვის, რომ სამეგრელო კანონიერად არჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას იცავდა.

ამრიგად, ძველ დროს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს დროშიც მეგრელთა მიმართ მავანთა და მავანთა კირთებას ბოლო არ უჩანს. პირადად მე 76 წლისა ვხდები და არ მახსოვს პერიოდი, როცა ვინმეთა მიერ მეგრელების თავსა და გულზე, დამოკლეს მახვილივით დამიზნებული არ ყოფილიყო **„სეპარატიზმის“** სახელით მონათლული შხამიანი ისარი.

მართალია, სიტყვა **„სეპარატიზმი“** ფრანგულია და ცალკე გამოყოფის მისწრაფებას ნიშნავს, რის გამოც იგი ეროვნული თვითგამორკვევის უფლებაში თავსებადი ცნებაა და სულაც არ არის მიუღებელი და შეურაცხმყოფელი, მით უმეტეს,– დანაშაულებრივი, მაგრამ გააჩნია ვისთვის. მეგრელები, კოლხები უძირძველესი იაფეტიდები, ანუ თავანკარა ქართულ-ქართველური რასის მოდგმის ხალხია და მათთვის სეპარატიზმის დაბრალება დიახაც მიუღებელია და შეურაცხმყოფელიც. ჯერ ერთი, ვის უნდა გამოეყონ მეგრელები, ნეტავი? თავის თავს ხომ არა? მეორედა, ხომ ცნობილი რეალობაა, რომ სწორედაც მეგრელები, კოლხები, დაწყებული მეფე ქუჯით, გაგრძელებული მეფე ბაგრატ მესამით და ასე შემდეგ, იყვნენ, მუდამ, საქართველოს გამაერთიანებლები. ჯერ კიდევ III საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როცა ქართლის სამთვროდან (იქ მაშინ სამეფო არც კი იყო) გაძევებულმა ფარნაოზმა კოლხეთის მეფე ქუჯის სთხოვა დახმარება სამთავროს დაბრუნენაში, მეფე ქუჯი დაეხმარა კიდეც ამაში. ამასთან, შესთავაზა, რომ ფარნაოზს უთმობდა სამეფოდ კოლხეთსაც, რათა მას ემეფა გაერთიანებულ საქართველოში. ასედაც გააკეთეს. თუმცა, თუ როგორ გადაუხადა ფარნაოზ მეფემ, თვითონ ქუჯის, ყოველივე ამის გამო, მართლაც სავალალოა. აი, რას ვკითხულობთ წყაროებში: **„ფარნაოზ მეფემ შექმნა ქართული დამწერლობა** (ცხადია, კოლხური დამწერლობისგან,– მ. ძ.) **და არა იზრახებოდა სხუა ენაი, ქართლსა შინა, გარნა ქართულისა“**. დიახ, ეს ასე მოხდა, თუმცა, პოეტ ვახტანგ ხარჩილავას თქმისა არ იყოს, ფარნაოზისთვის მეფე ქუჯის საკუთარი მეფობაცა და კოლხეთიც იმიტომ კი არ დაუთმია, რომ მეგრული (კოლხური) ენა გამქრალიყო მიწის პირისაგან და ყოველგვარი მეგრულის (კოლხურის) იგნორირებას, გაქრობას ცდილიყვნენ მავანნი და მავანნი. საამისოდ კი მრავალნაირი ხერხი, მათ შორის, მეგრელთადმი მუდმივად სეპარატიზმის ბრალდება წამოეყენებინათ და ამით მათი დათრგუნვა და დაჩიავება გამოეწვიათ. ეს მაშინ როდესაც არც ერთ მეგრელს არასოდეს სამეგრელოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხი არ დაუყენებია. თუმცა, თუ კი ვინმეს, მუდამჟამს ყველაზე მეტად სწორედ სამეგრელოს, მთლიანად კოლხეთს ჰქონდა ამის შანსიც, შესაძლებლობაც და მორალური უფლებაც. მიუხედავად ამისა, წარსულ ეპოქებშიც, კოლხებს, სწორედ იმის გამო, რომ მათ კარგად იცოდნენ გაერთიანებული ქვეყნის მტერთაგან უძლეველობის შესახებ, არასოდეს უცდიათ ცალკე სამეფოდ გამოყოფა, მაშინ როდესაც აღმოსავლეთ საქართველიოში სამეფო-სამთავროთა შექმნა-დაშლის თითქმის სისტემატიურ მოვლენებს და დაუსრულებელ ურთიერთ ქიშპობას ჰქონდა ადგილი. ამიტომაც, პროფესორ ლევან სანიკიძის მიერ საგულდაგულოდ დათვლილ **„ქართველთა 309 სირცხვილიდან“** კოლხების ანგარიშზე ბოლო 9 შემთხვევაღა თუ მოდის.

ზემოთ აღვნიშნე კოლხების მორალურ უფლებაზე, რაც მას დიახაც ჰქონდა შემდეგი გარემოებების გამო:

ჰომეროსი (XIII ს. ძვ. წ.) თავის ზეპირად შეთხზულ პოემებში **„ილიადა და ოდისეა“** ოდისევსის ლაშქრობას ადარებს არგონავტების ლაშქრობას კოლხეთში, რაც იმას ნიშნავს, რომ მითი არგონავტების მიერ კოლხეთში ლაშქრობის შესახებ ჰომეროსამდელია. გადმოცემების მიხედვით კი, კოლხეთის სახელმწიფო არსებობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ძვ. წ. მაშასადამე, კოლხეთი უძირძველესი ქვეყანაა დედამიწაზე. თავად კოლხების კიდევ უფრო უძირძველესობაზე მეტყველებენ შემდეგი გადმოცემები: **„მაიას ტომმა** (რომელიც გადმოცემებისავე მიხედვით 10.000 წლის წინ ცხოვრობდა დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე, – მ. ძ.) **დამწერლობა ისწავლა ოდესღაც ატლანტიკის ოკეანეში არსებულ კუნძულ ატლანტიდაზე მცხოვრები და ამ კუნძულის რაღაცა ძალით დანგრევის შედეგად წარმოშობილი მსოფლიო წარღვნას გადარჩენილი კოლხებისაგან“** (პლატონი, IV ს. ძვ. წ., სტრაბონი. I ს. ძვ.წ. – I ს. ახ. წ.); **„უძველეს დროში კოლხებს მთელი მსოფლიო ეპყრათ“; „ოდესღაც კოლხებს დამწერლობა ჰქონდათ“** (ჰეროდოტე, V ს. ძვ. წ.); **„კოლხებს შენახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურთათვის აღნიშნულია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“** (აპოლონიოს როდოსელი, **„არგონავტიკა“**, IV ს. ძვ წ.); ქართველთა **„სამწერლო ენად შეიძლება უძველეს დროიდან მეგრული ან სვანური ყოფილიყოს – ოც საუკუნეზე მეტი და ეხლა კი ქართლური იყო და არის ჩვენი საერთო, ეროვნული, კულტურული და სალიტერატურო ენა“** (მიხაკო წერეთელი, **„ერი და კაცობრიობა“**, თბ., 1990 წ.). ასეთივე მოაზრისანი იყვნენ ივანე ჯავახიშვილი და სხვა დიდი მეცნიერები.

კოლხეთის მეფე ქუჯის მოქმედების შესახებ ზემოთ ითქვა; თავის დროზე ბაგრატ III ძალისხმევა რომ არა, ვინ იცის საქართველო როდის გაერთიანდებოდა, თუ ასეთი რამ საერთოდ მოხდებოდა. სხვა ფაქტებს აქ არ მოვიტან. დავძენ მხოლოდ შემდეგს:

მეგრელებს რომ სეპარატისტული მიზნები ჰქონოდათ, აფხაზების მხარში ამოდგომით მას სავსებითი ოლად მიაღწევდნენ, თანაც ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე.

საყურადღებოა, რომ მეგრული სეპარატიზმის შესახებ აგორებული არც ერთი ბრალდება: – **“მეგრელთა საქმე“, “მაფალუისტობა“, “პროვინციული ფაშიზმი“** და სხვა, არ დადასტურებულა. პირიქით კი ხდებოდა: ისინი, მეტწილად, ბუმერანგივით მათსავე შემთხზველებს უბრუნდებოდა. ასეთია ისტორიული ფაქტები და მკვლევარების (პროფ. გ. ციციშვილი, ა. გვარამია, ნ. შონია, ა. შონია, ა. ასლანიკაშვილი, ხ. ხუფენიას, პროფ ზ. ცუცქირიძე და სხვ.) მონაცემები. ა. ასლანიკაშვილმა ე. წ. **„მეგრელთა საქმე“** შეაფასა როგორც სრული აბსურსდი. პროფესორმა ზურაბ ცუცქირიძემ კი, მკაცრად გააკრიტიკა მეგრელთა მიმართ არსებული დამოკიდებულება გაზეთ **„ილორში“** გამოქვეყნებული ვრცელი საგაზეთო წერილით: **„გავნთავისუფლდეთ ეროვნული ცნობიერების სიღატაკისაგან“.**

ასეთ პირობებში, მეგრელოფობების არსებობა და ქმედებანი არა და არ წყდებოდა.

ასეთები, ჩვეულებრივად, ცრუპატრიოტი, მეტწილად სწავლული, სინამდვილეში კი უმეცარი გულბოროტი ადამიანები იყვნენ. ფსევდოპატრიოტ კვაზიმეცნიერებს აბარა გამოლევდა, რომელთაც საკუთარი პროფესიონალიზმი არ ჰყოფნიდათ პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და ყოველგვარი ბინძური ხერხებით ცდილობდნენ მის მიღწევას, პრივილეგიების მოპოვებას. საამისოდ თითხნიდნენ ბრალდებებს **„მეგრული სეპარატიზმის“** შესახებ, რაც აწყობდათ კიდეც ცალკეულ მედროვე უსუსურ ხელისუფალთ, რათა შეენარჩუნებინათ თავიანთი მორყეული ძალაუფლება, და ესენი, ერთობლივად ქმნიდნენ არარსებული მტრის ხატს და ერთობლივადვე ებრძოდნენ მათ მიერ შექმნილ არარსებულ მტრებს, და ამას იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ.

ცნობილია, რომ აფხაზეთის დაკარგვაში ხელისუფალთა დანაშაულებრივ ქმედებაპოლიტიკასთან ერთად, ლომის წილი ითამაშეს ფსევდოპატრიოტმა ისტორიკოსებმა და ენათმეცნიერებმა: პირველებმა, იმით, რომ გააყალბეს აფხაზეთისა და საქართველოს ისტორია, მეორეებმა იმით, რომ აფხაზური ენა გამოაცხადეს ერთ-ერთ ქართველურ ენად, რაც აფხაზებმა დისკრიმინაციად აღიქვეს და არ მოითმინეს.. აღნიშნულ განაცხადს, მაშინ, არნ. ჩიქობავამ ხელი არ მოაწერა და თქვა: **“ეს კარგია ახლა, მაგრამ ძალიან მალე იგი დამანგრეველად ჩვენვე დაგვიბრუნდება„**-ო (**„ქართველური ენები და დიალექტები“**, საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2007 წ.). ახდა კიდეც.

ისტორიის გაყალბების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ცალკეულ ქართველ ფსევდოპატრიოტ ისტორიკოსთა ქმედება კოლხეთის ისტორიის მიმართ. მათ შორის, ერთ-ერთმა მატრაბაზმა ქალბატონმა (აკად. კლიმენტი შელიას შეფასებაა) იმდენი შეიძლო, რომ კოლხეთის ჭეშმარიტი ისტორიის ამსახველი მასალები აკად. ივანე ჯავახიშვილის წიგნებიდანაც კი ამოიღო, – **„თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მათი შესწორების“** საბაბით, და ძლევამოსილი კოლხეთის სასიქადულო ისტორია თითქმის მთლიანად გააქრო საქართველოს ისტორიიდან. ანალოგიური მდგომარეობაა ამასწინათ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძის მიერ შედგენილ და გამოცემულ საქართველოს რელიგიის ისტორიის ოთხტომეულში. ამაზე მეტი ბოროტება და ცინიზმი წარმოუდგენელია.

მეგრელოფობების უპირველესი მიზანი მუდამ იყო ის, რომ მეგრელებს, ასევე სვანებსა და ლაზებს არ ჰქონოდათ საკუთარ ენაზე ლაპარაკისა და წერის უფლება და შესაძლებლობა, და ამით მიეღწიათ ამ ენების მიწის პირიდან გაქრობისათვის. აი, კონკრეტული ფაქტებიც:

თავის დროზე, ახალგაზრდა არნოლდ ჩიქობავა, ზუდგიდის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე ისააკ ჟვანიასთან ერთად დასწრებია სოფელ გრიგოლიშის დაწყებითი სკოლის პირველი კლასის ქართული ენის გაკვეთილს, სადაც მასწავლებელს ქართული სიტყვა **„თითი“** აუხსნია, როგორც მეგრულის **„კითი“**. მოგვიანებით, როცა ისააკ ჟვანია გაუშავებიათ, ბრალდება არნ. ჩიქობავასთვისაც წაუყენებიათ,– მასწავლებელს რატომ არ მიეცით შენიშვნა ქართული სიტყვა მეგრულით რომ აუხსნა მოსწავლეებსო, და, სამი თვით პატიმრობა მიუსჯიათ; ორად-ორი დიდი მეცნიერი ჰყავდა საქართველოს: – ალექსანდრე ცაგარელი და ნიკო მარი. ისინი სანკტ-პეტერბურგში, საიმპერატორო აკადემიაში მოღვაწეობდნენ. ორივე მათგანი გაიმეტეს გასაწირად, ისევ ქართველებმა. ალ. ცაგარელს, იმის გამო, რომ 1880 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოსცა წიგნი **„მეგრული ეტიუდები“**, კინაღამ ღალატი შესწამეს და ისე აუხირდნენ, რომ საენათმეცნიერო მუშაობაზე ხელი ააღებინეს. თავის სოფელ კასპში, მას, უკანასკნელ გზაზე, ოცამდე კაციღა მიაცილებდა; ნიკო მარი, რომელიც მსოფლიო ენათმეცნიერების კორიფე იყო, 40-ზე მეტ ენას ფლობდა და შეეძლო შუადღემდე მოესმინა ესა თუ ის უცნობი ენა ხოლო ნაშუადღევს მეცნიერულად ემსჯელა მასზე, იმის გამო, რომ განაცხადა: **„იაფეტური ენები მათი შესწავლის გზით გვაძლევს საშუალებას მივაწიოთ იქ, სადაც ადამიანური ენისა და ცხოველთა მეტყველების ზღვარი ძევს“**-ო, და, მასთან ერთად მოღვაწე ქართველ მეცნიერთა ძალისხმევა მიმართა ქართველური ენების შესწავლისკენ, თურმე შეურაცხადად გამოუცხადებიათ, ამისთანების სამკურნალო საავადმყოფოში მოუთავსებიათ და იქ დაულევია სული (ამის შესახებ ამ ორიოდე წლის წინ დაიწერა გაზეთში). ადრეულ ასაკში და გაურკვეველი მიზეზებით გარდაიცვალნენ: იოსებ ყიფშიძე (რომელმაც 1914 წელს სანკტ-პეტერბურგშივე გამოსცა წიგნი **„მეგრული (ივერიული) ენა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“** და ნოდარ ხვედელიძე, რომელმაც დაადასტურა, რომ ერთ-ერთ არქეოლოგიურ საგანზე – ქოთანზე მოცემული წარწერა კოლხური იყო. ანალოგიური ვერსიები გვსმენია ვლადიმერ ალფენიძეზე და სხვებზეც.

რაც შეეხება კოლხური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების შეგნებულად განადგურების ან გადამალვის, კოლხური (მეგრული) ფასეულობების იგნორირების, მათდამი ტენდენციური დამოკიდებულების ყოვლად უგვანო ფაქტებს, მათ წარმოჩენას ერთი საგაზეთო წერილი არ ეყოფა. სამაგალითოდ, მათემატიკოს გია კვაშილავას მიერ ამოშიფრული და მსოფლიოს გამოჩენილი სპეციალისტების მიერ აღიარებული **“ფესტოსის დისკოზე”** მოცემული კოლხური ოქროდამწერლობისადმი ქართველ მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მხრივ გამოვლენილი დამოკიდებულებაც კმარა. მეგრული (კოლხური) ფასეულობების წარმომჩენების მიმართ დაშინება-დაშანტაჟების გამოყენების ფაქტები ხომ საძებარი არ არის.

ადრეულ პერიოდში, ჩვენც, მამა-შვილ თანაავტორებს, გარდა ჩვენი აღმოჩენების მიმართ ჩამოგდებული ტენდენციური დუმილის პოზიციისა, საკმაოდ ხშირად შეგვახსენებდნენ ხოლმე ზემოაღნიშნულ და ანალოგიურ სავალალო ფაქტებს და გვირჩევდნენ (ზოგნი გულწრფელად, ზოგნიც – ბოროტი განზრახვით), რომ თავი დაგვენებებინა მეგრული ენის მეცნიერულად შესწავლისათვის. მაგრამ ჩვენ ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. მადლობა ღმერთს: კარგა ხანია, რაც ამგვარი **„რჩევებით“** თავს არავინ გვაბეზრებს. მიზეზი, ჩვენის აზრით, მდგომარეობს შემდეგში: **უკვე ყველამ დაინახა, რომ მეგრული ენის არა თუ ხსენება, არამედ მეცნიერულად შესწავლა, თურმე, არავითარ სეპარატიზმთან არ არის დაკავშირებული.** მართალია, ხელის შეშლას ცდილობდნენ, რათა არ წარმოჩენილიყო მეგრული ენის განსაკუთრებული სიმდიდრე და თავისებურებანი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ისინი ფართოდ გამოაშკარავდა, თავი მიანებეს ამასაც. ასე, მაგალითად: როცა გამოვიდა ჩვენი წიგნი **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“**, რამაც წარმოაჩინა, რომ ენის წარმოშობის საფუძვლები სწორედაც მეგრულ ენაშია ცოცხლად დაუნჯებული, და რომ მეგრულის ლექსიკა, სავარაუდოდ, სულ მცირე 3 მილიონ სიტყვას მოიცავს, ეს ფაქტები ერთ-ერთმა პატივცემულმა პროფესორმა ქართული ენის მიმართ დამაკნინებელ გარემოებად და მეგრულის პრიორიტეტულობის შეგნებულად წარმოჩენის ცდად მიიჩნია (მეგრული, თითქოსდა, ქართველური ენა არც კი ყოფილიყო), და ნაშრომის შესახებ ცინიზმით სავსე მოკლე წერილიც გამოაქვეყნა სახელისუფლებო გაზეთში, სადაც განაცხადა: **„ასეთი წიგნის გამოცემა დანაშაულია“**-ო. მაგრამ, მალევე მას სხვა სპეციალისტებმა გასცეს პასუხი. მაგალითად, პროფესორმა ნ. ლემონჯავამ ასეთი შეფასება გააკეთა: **“ეს წიგნი მამანტი ძაძამიასა და მისი ქალიშვილის ცირა ძაძამიას დაწერილი არ გახლავთ. იგი თვითონ ღმერთის მიერ არის დაწერილი. აბა ადამიანებს როგორ შეეძლოთ ასეთი რამე დაეწერათ“.** აღნიშნულ წერილს კი, მან **„შეკვეთილი და ზღვარდაუდებელი ამბიციური წერილი“** უწოდა. სხვებმა კი, იგი **„სამეცნიერო ტიტულს ამოფარებული უმეცარის ნახელავად“, „შურიანობის გამოხატულებად“**, ან კიდევ, **„მტრის“ გამოხდომად“** შეაფასეს.

ჩვენის მხრივ, სხვა ტაქტიკა ავირჩიეთ: მორიგ ნაშრომში გამოვაცხადეთ, რომ მეგრული ენის ლექსიკა, სავარაუდოდ, 10 მილიონ სიტყვას დაითვლიდა თუმცა უკვე მაშინ ხელთ გვქონდა სალექსიკონო მასალა, რაც 17 მილიონ სიტყვას მოიცავდა. მორიგ ნაშრომში,– შვიდტომეულში,– **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“** გარკვეული ხერხის გამოყენებით 294 მილიონი სიტყვა (ერთ გვერდზე, საშუალოდ, 150000-მდე სიტყვა) განვათავსეთ, მაგრამ წიგნში განვაცხადეთ, რომ მასში მოხმობილი იყო 103 მილიონამდე სიტყვა. საბოლოოდ კი, ოცტომეულში, – მეგრული (კოლხური, იბერიული, იაფეტური) ენა – **“ენის წარმოშობისადა განვითარების ისტორიის ცოცხალი მატიანე“** მეგრულის 1.140.245.286 სიტყვა დავაფიქსირეთ პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში ხმარებადია 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა, და განვაცხადეთ კიდეც ამის შესახებ. **ასე გადავრჩით მოსალოდნელ ხიფათს და ასე ვიხსენით გულის გასკდომისაგან მეგრელოფობიის სენით მეტისმეტად დაავადებული ცალკეული პერსონები.** ახლა მხოლოდ ზოგიერთების ამოკნავლებასღა თუ გავიგონებთ, კულისებიდან.

**მამანტი ძაძამია,**
**პროფესორი, აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის“ პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს საპატიო პრეზიდენტი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ვიქტორ სანიკიძე: ზუროსს ჩემი "თოფაზში" გადაყვანა სურდა




საქართველოს ნაკრებისა და **"ტედ კოლეჯის"** ფორვარდს, ცნობილ ქართველ კალათბურთელს ვიქტორ სანიკიძეს თურქეთში ტელეფონით დავუკავშირდით და ვესაუბრეთ სპორტულ თურქეთზე, ნაკრებზე, მწვრთნელებზე და, ამავდროულად, ლიტვასთან მატჩიც გავიხსენეთ.

საკმაოდ საინტერესო ვრცელი ინტერვიუ მაშინ თურქულ და ქართულ მასმედიაში გამოქვეყნდა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა. კომენტარს აკეთებდნენ სპორტსმენები, მწვრთნელები, კალათბურთის მოყვარულები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ჩვენი გაზეთის ამ ნომერში რამდენიმე ამონარიდს გთავაზობთ აღნიშნული ინტერვიუდან.

### "ტედ კოლეჯი"

– შარშანდელ სეზონში **"ტედ კოლეჯს"** საქმე ძალიან ცუდად ჰქონდა. კატასტროფამდე რამდენიმე ნაბიჯი იყო დარჩენილი – ბოლო 4 მატჩიდან ორი რომ წაეგოთ, მეორე ეშელონში დაქვეითდებოდნენ. სამში გაიმარჯვეს და უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს, რაც დიდი სპორტული ტრადიციების გუნდისაგან სრულიადაც არ გახლდათ მოულოდნელი.

მას მერე გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა. მხოლოდ ერთი ლეგიონერი დარჩა, მასაც 2014-15 წლების სეზონის ბოლო რამდენიმე მატჩი ჰქონდა ჩატარებული. ახლად შეკრებილმა გუნდმა კი, წარმატებით რომ ითამაშოს, გუნდის წევრები ერთმანეთში უნდა შეთამაშდნენ, რასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. **"ტედ კოლეჯი"** კი **"ფენერბაჰჩე"** არ არის, უმაღლესი კლასის კალათბურთელებით გავიდეს ფონს და ორი-სამი კაცის ცვლილება არ დაეტყოს.

გემახსოვრებათ, **"ფენერბაჰჩეს"** თავკაცს, ჟელკო ობრადოვიჩს პირველ სეზონში ძალიან გაუჭირდა, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ევროლიგის ფინალურ ოთხეულში გუნდი ვერ გავიდა. შემდეგ კი სპორტსმენები ათამაშდნენ და ახლა ეს გუნდი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**"ტედ კოლეჯი"** სეზონის დაწყების შემდეგ უკვე შეთამაშდა, როგორც ამბობენ – მოთამაშეები **"უსიტყვოდ"** უგებენ ერთმანეთს და მას მერე ბევრი კარგი მატჩი ჩავატარეთ.

### თურქეთი

– უცნაური ლიგაა, საკმაოდ ძნელად ასახსნელი. ხშირია შემთხვევა, როცა ფავორიტებს თანაბრად ეთამაშებიან ლიგის აუტსაიდერები. შეიძლება ეს სუსტის ძლიერთან შერკინებაში გამარჯვების მიღწევის ფსიქოლოგიითაც იყოს განპირობებული, მაგრამ მხოლოდ სურვილი არ კმარა მიზნის მისაღწევად. ლიდერებს შედარებით სუსტებთან განსაკუთრებით გასვლით შეხვედრებში უჭირთ და ვერავინ იტყვის, რომ თუნდაც "ფენერს" სტუმრად აუტსაიდერთან გამარჯვება გარანტირებული აქვს.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დაფინანსება ყველას მეტ-ნაკლებად კარგი აქვს და შემადგენლობასაც ძლიერი კალათბურთელებით კრებს.

### იგორ კოკოშკოვი

– დეკემბერში საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იგორ კოკოშკოვმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კალათბურთის სრულყოფისა და შემდგომი განვიტარების საქმეში, ქართველ საზოგადოებას დამშვიდობების წერილი გამოუგზავნა. მეორე დღეს დავწერე, ის, რასაც ვფიქრობდი.

იგორ კოკოშკოვს მადლობა გადავუხადე. მან ხომ ჩვენთან ერთად 2008 წლის შემდეგ ძალიან ბევრი იშრომა. მასთან თანამშრომლობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო.

### ილიას ზუროსი

– მისი გუნდის წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ ვითამაშე. 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთს რომ დავუპირისპირდით, გუნდს მაშინ სწორედ ზუროსი წვრთნიდა. როგორც ყოველთვის, საბერძნეთის ნაკრები მაშინაც ძლიერი იყო.

სხვათა შორის, ზუროსი შარშან თურქულ გუნდში ჩემი გადაყვანითაც იყო დაინტერესებული. **"უნიქსში"** რომ ვირიცხებოდი და მწვრთნელი არ მათამაშებდა, ჩემმა მენეჯერმა მითხრა, თურქულ **"თოფაზში"** ილიას ზუროსი გეპატიჟებაო.

თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი თანამშრომლობა არ შედგა.

### ჩერნოგორია

– საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე საინტერესო მეტოქეები ერგო: ჩერნოგორია, სლოვაკეთი და ალბანეთი. ჩემს გუნდში თამაშობს ჩერნოგორიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი დრაგიჩევიჩი, რომელიც პეკოვიჩის მეგობარია. სწორედ მან მითხრა, რომ პეკოვიჩი არც 2016 წელს აპირებს სანაკრებო მატჩებისთვის ჩამოსვლას.

გუნდის წამყვანი მოთამაშეა მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელი ბიელიცაც. შემადგენლობაში ბევრი იქნება ჩერნოგორიის ჩემპიონი "ბუდუჩნოსტის" წარმომადგენელი.

ყველაზე სახიფათო კი ტაირის რაისი იქნება, ამერიკელი კალათბურთელი, რომელიც ნატურალიზებული სტატუსით ჩერნოგორიის ნაკრებში ითამაშებს. თავად განსაჯეთ: შარშან ევროთასი მოიგო და შეჯიბრების საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა, 2014 წელს – "მაქაბისთან" ერთად ევროლიგაზე გაიმარჯვა და ფინალური ოთხეულის MVP-ის წოდება ერგო.

### ევრობასკეტი 2015

– გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მხოლოდ ერთი თამაში მახსენდება – საქართველო-ლიტვა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ხორვატიაში, ჯგუფურ ეტაპზე ჩატარებული შეხვედრები მხოლოდ შესარჩევისა იყო.

საფრანგეთში, მერვედფინალის წინ თანაგუნდელებსაც ვუთხარი – ლიტვისთვის საქართველო ასე საშიში არასოდეს ყოფილა-მეთქი. ეს მატჩისასაც გამოჩნდა, კარგად ვითამაშეთ, მეტოქეს ბევრ კომპონენტში ვაჯობეთ და მოგებასაც ვიმსახურებდით, მაგრამ...

ეს იყო ყველაზე დასანანი მარცხი ჩემს კარიერაში.

ლილის დარბაზში საოცარი ატმოსფერო იყო. ერთ მხარეს უამრავი ლიტველი ქომაგი, მეორე მხარეს ჯგუფ-ჯგუფად მსხდომი ხმაურიანი ქართველები, შეხვედრას ბევრი ფრანგიც დაესწრო და არენა მთლიანად გაივსო. მანამდე ყველა მერვედფინალური შეხვედრა დამთავრებული იყო და მთელი საკალათბურთო საზოგადოება ჩვენს თამაშს ელოდა.

დამატებითი ემოცია შეგვძინა მატჩის წინ, ჩაბნელებულ დარბაზში საქართველოსა და ლიტვის დროშების გამოჩენამ. მეტოქის დროშის გასწვრივ ეწერა – მეოთხე ადგილი მსოფლიოს რეიტინგში...

ვგრძნობდით, რომ ლიტველების გარდა, ყველა ჩვენ გვქომაგობდა... ცოტა დაგვაკლდა. ძალიან ცოტა...

---

### ზურიკო შამათავას მონატრება



სამი წელი გავიდა იმ ტრაგიკული დღიდან. მარტის თვე ყველაზე მძიმე თვეა ჩვენთვის, შენი ყველა ახლობლისათვის. სამუდამოდ წახვედი, დაგვიტოვე დიდი სევდა და დარდი. მაშინ შენ ხომ სულ რაღაც 25 წლის ახალგაზრდა იყავი. კეთილშობილებით, სითბოთი, სიყვარულითა და კარგი იუმორით გამორჩეული. შენით ვამაყობდით, ვხარობდით. შენი ლამაზი სულით ყველას ამშვენებდი. უზომო სიყვარულსა და სითბოს აფრქვევდი.

ყველას აკლიხარ, მაგრამ გაუსაძლისია უშენობა შენი მშობლებისათვის, შენი დისათვის. ჩვენთვის, შენი ბებიასა და ბაბუასათვის. გვიჭირს შეგუება რომ არასოდეს დაგვიბრუნდები და აღარასოდეს შემოაღებ ჩვენი სახლის კარებს. შენ მუდმივად ჩვენთან ხარ, ჩვენს გულში, სულ ჩენთან ტრიალებ. ძალიან გვენატრები, უშენოდ ვცხოვრობთ რა თქმა უნდა, მაგრამ უშენობას ვერაფრით მივეჩვიეთ, ჩვენო საამაყო ადამიანო. არასოდეს მოშუშდება ის დიდი ტკივილი, რომელიც შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა დაგვიტოვა.

უფალს შევთხოვთ, ნათელში გამყოფოს და დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

შენი ბებია და ბაბუა

**ნანული და მურმან ბახარიები**

---

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

---

### იუმორი

– მამიკო, მეგობარს რომ უჭირდეს, ხომ უნდა დავეხმარო?

– კი შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?

* * *

– რატომ არის ეს მინისტრი ასე იდიოტად გამოყვანილი, რის თქმა უნდოდა ამით რეჟისორს?

– კაცო, ეს ფილმი კი არ არის, ახალი გადაცემაა, პირდაპირ ეთერში...

* * *

სამსახურში პროგრამისტს ღებულობდნენ. ანკეტის შევსებისას გრაფაში "ბავშვები" მან ჩაწერა 6/9. ჩავარდა კადრები საგონებელში, ბევრი იფიქრეს, რა ვერსიები არ წამოაყენეს – 6 ბიჭი და 9 გოგო ყავსო, ბავშვები 6-დან 9 წლამდეო, 6 ცოლი და ცხრა ბავშვიო... ბოლოს კითხეს:

– რას ნიშნავს 6/9 ბავშვი?

განსაცვიფრებელი პასუხი: – ცოლი მეექვსე თვეშია.

* * *

კაცი სახეზე მაზუთს ისვამს. ჰკითხეს:

– რას შვრები, რატომ ითხუპნები? –

– რა ვიცი, განცხადებაში წერია, შავი მუშები გვჭირდებაო და...

---

**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 593-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია

გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge